პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 ივნისი ოთხშაბათი 2013
№142 (14 058) ფასი 80 თეთრი

## უკანასკნელ საათს

# ალვარაო

## დინამოს ესპანელი ლეგიონერი კარიერას ბაქოს ინტერში გააგრძელებს



გორის „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ საჩემპიონო მატჩში ერთადერთი გოლი მიკელ ალვარომ გაიტანა ფოტო: www.fcdianmo.ge

## დინამოს ავსტრიული სამზადისი

დინამოელები მომავალი სეზონისთვის მზადებას ავსტრიაში განაგრძობენ. დედაქალაქელები დღეს, გამთენიისას, ავსტრიაში ჩაფრინდნენ და ქალაქ მაირჰოფენში დაბინავდნენ. „დინამო“ ავსტრიაში სავარაუდოდ, ოთხ საპრინგშეხვედრას გამართავს:

20 ივნისი:
„დინამო“ (კიევი)
23 ივნისი:
„შახტარი“ (დონეცკი)
27 ივნისი:
„კლუჟი“ (რუმინეთი)
30 ივნისი:
„კრასნოდარი“ (რუსეთი)

ავსტრიულ შეკრებაზე დინამოელთა მთავარი მწვრთნელის, დუშან უჰრინის განკარგულებაში 25 ფეხბურთელი იქნება:
მეკარეები: გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა, ლევან ტყეშელაშვილი;
მცველები: გივი კვარაცხელია, გიორგი შაშიაშვილი, დავით კვირკველია, გიორგი სეთურიძე, დარკო გლიშიჩი, გიორგი გველესიანი, სანდრო გურეშიძე, ოთარ კაკაბაძე, უსტარიცი, დავით ხურცილავა;
ნახევარმცველები: ლევან ხმალაძე, ირაკლი ძარია, პეტერ გრაიციარი, გიორგი მერებაშვილი, გიორგი პაპავა, ირაკლი ლექვთაძე, ელგუჯა გრიგალაშვილი, გიორგი მიქაბერიძე;
თავდამსხმელები: ჩისკო, ჯაბა დვალი, დავით ხოჭოლავა, ლაშა შინდაგორიძე.
აქვე გეტყვით, რომ კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა და თბილისის „დინამოს“ დატოვება გადაწყვიტა მიკელ ალვარომ, რომელიც კარიერას ბაქოს „ინტერში“ გააგრძელებს.



9

## ოთხეული გაირკვა

იაპონიის შემდეგ, მუნდიალის საგზურები ავსტრალიამ, სამხრეთ კორეამ და ირანმა მოიპოვეს

## ჩემპიონობა?

## რატომაც არა, როდესაც გუნდში გყავს ალკანტარა




ტიაგო ალკანტარამ ფინალში 3 გოლი გაიტანა

სავარაუდო ტრანსფერები

# დინამოელები ჩიხურასა და სპარტაკში

## ვინ იქნება შემდეგი?


ბუბა ტყავაძე

**გიუმრის "შირაქთან" შეხვედრაში** თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. ზოგი მათგანი გუნდში გასინჯვაზე მიიწვიეს, ზოგსაც სხვაგან იჯარა დაუსრულდა და დუშან უჰრინმა შეამოწმა, რამდენად მზად არიან კლუბის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მარცხენა მცველად მოსინჯული იგორ პროკურორი უკრაინელი ნახევარმცველია, რომელიც ბოლოს მოლდოვის A დივიზიონის "აკადემიაში" თამაშობდა. დავით ხურცილავას "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი დაუსრულდა და თავისუფალი აგენტი გახდა; ირაკლი ლექვთაძე შარშან ბოლნისის "სიონში" გაანათხოვრეს და იჯარა დაუმთავრდა; რუსთავის "მეტალურგის" შემტევი ნახევარმცველი გიორგი მიქაბერიძე კი გასინჯვაზე მიიწვიეს.

რომელი მათგანი დარჩება და რომელს შეელევიან? სატრანსფერო საკითხებზე "ლელო" კლუბის სპორტულ დირექტორს, ბუბა ტყავაძეს ელაპარაკა.

**- საინტერესოა, რა ბედი ელით გასინჯვაზე მიწვეულ მოთამაშეებს – მეტ-ნაკლებად შეხვედრამ თითოეულის შესაძლებლობები გამოაჩინა.**

- ლექვთაძე "დინამოს" მოთამაშეა, მოსამზადებელ ეტაპზე დავაკვირდებით და ამის შემდეგ მწვრთნელი გადაწყვეტს, დარჩება თუ არა.

რაც შეეხებათ ხურცილავასა და მიქაბერიძეს: მიგვაჩნია, რომ აქვთ გარკვეული თვისებები, რაც შესაძლოა, ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩნდეს. ვაკვირდებით და გვინდა, წარმატება ვუსურვოთ. მიქაბერიძე "მეტალურგში" ჩემი ხელმძღვანელობის დროს თამაშობდა და ვიცი, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა. მაგრამ ფეხბურთის თამაში შეუძლია და თუ გუნდს მოსამზადებელ ეტაპზე აჰყვება და ფიზიკურად გაძლიერდება, მიმაჩნია, რომ ბევრს მოახერხებს. ხურცილავას კი დადებითი თვისებები აქვს, ფიზიკურად ძლიერი და სწრაფია. დღეს გვაინტერესებდა, ტაქტიკას ალლოს როგორ აუღებდა.

კიდევ ერთ პოტენციურ ახალწვეულს, პროკურორს ჩვენს მწვრთნელთან რეკომენდაცია გაუწიეს და უთხრეს, რომ საინტერესო თვისებები აქვს. დუშანს მისი თამაშში ნახვა სურდა. ახლა დავსხდებით და მოვიფიქრებთ, დარჩება თუ არა გუნდში.

**- თამაშიდან და თქვენი ლაპარაკიდან გამომდინარე, პროკურორის დარჩენა ნაკლებად სარწმუნოა.**

- სავარაუდოდ, ასე იქნება.

**- "შირაქთან" "დინამოს" თამაშის ხარისხზე რას იტყვით?**

- შეხვედრისთვის საგანგებოდ არ ვემზადებოდით, ბიჭებმა საკმაოდ დიდი დატვირთვების ფონზე ივარჯიშეს და ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გუნდს თავი ურიგოდ არ წარმოუჩენია.

**- ბევრი დინამოელის ამბავია გასარკვევი.**

- სავარაუდოდ, კვლავ "ჩიხურაში" ითამაშებს გიორგი რეხვიაშვილი და მასთან ერთად, ჯაბა ჯიღაურიც. ცხინვალის "სპარტაკში" წავიდა გიორგი თექთურმანიძე და ალბათ, ნიკა კვეკვესკირსაც იქვე გავუშვებთ.

კიდევ არის რამდენიმე მოთამაშეზე მოლაპარაკება. მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა ახლა გაიხსნა და ჯერ ბევრი მოთამაშის საკითხია გასარკვევი. მალე სხვა შეთანხმებებზეც შეიტყობთ. ჩვენი სურვილია, რომ უმაღლესი ლიგის კლუბებში გავუშვათ ის ახალგაზრდა მოთამაშეები, რომელთაც სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. მათ უნდა ითამაშონ და გაიზარდონ.

**- გიორგი დევდარიანი გორის "დილაში" გადავიდა და მისთვის ნაცნობი ფეხბურთელების წაყვანა სურდა.**

- გორის "დილადან" იყო თხოვნა და იქ სანდრო რეხვიაშვილი გავანათხოვრეთ.

**- არჩილ ტვილდიანისა და ლაშა პარუნაშვილის იჯარა არ უთხოვიათ?**

- ჩვენ არ გვინდა, რომ პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელები პრაქტიკის გარეშე დარჩნენ და თუ უმაღლეს ლიგაში კონკრეტული შემოთავაზება ექნებათ, უარს არ ვიტყვით.

**- მეკარე კოკა სეფიაშვილი საერთოდ აღარ ჩანს - მისი ამბავი როგორ გადაწყდა?**

- მისით დაინტერესებულ კლუბებს შარშანაც ველოდებოდით და სამწუხაროდ, არავინ გამოჩნდა. ახლა თუ რომელიმე გუნდს მისი წაყვანა მოუნდება, ხელს არ შევუშლით.

**მერაბ მამულაშვილი**

***P.S.* გუშინ ავსტრიაში გასამგზავრებელთა სიის გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რომ „დინამო" იგორ პროკურორს დაემშვიდობა.**


ნიკა კვეკვესკირი


ჯაბა ჯიღაური

ინტერვიუ


დავით ყიფიანს 18 ივნისს 62 წელი შეუსრულდებოდა...

# ფეხბურთელი დავალების გარეშე

ლეგენდარული ათი ნომერი, დავით ყიფიანი გუშინ 62 წლის გახდებოდა. ის სახალხო ფეხბურთელი იყო და ასეთები განსაკუთრებულად უყვართ. ყიფიანი უყვარდა საქართველოს და საბჭოთა კავშირს, ყიფიანს იცნობდნენ და აფასებდნენ ევროპაში.

ყიფიანზე არაერთ უცხოელთან მილაპარაკია. თბილისის „ამერი" ბერლინის „ჰერტას" რომ ეთამაშებოდა, გერმანელებს თბილისში „ჰერტას" მენეჯერი დიტერ ჰიონესიც ჩამოჰყვა, ული ჰიონესის ძმა, რომელსაც გოლები მიუნხენის „ბაიერნში" გაჰქონდა, 1986 წელს კი დასავლეთ გერმანიის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალიც მოინაგრა. ჰერ დიტერს ინტერვიუ რომ ვთხოვე, თითქმის ყველა კითხვა-პასუხში ყიფიანს ახსენებდა. მისთვის საქართველო ჯერ ყიფიანი იყო და მერე სხვა.

ყიფიანზე ახალს ვერაფერს დაწერ და იტყვი. ის ემოცია კი, რაც ამ ნიჭიერი ადამიანისგან მოდის, მომნუსხველი და დამაფიქრებელია.

იური როსტის ფოტოებიც მახსოვს, „დინამოს" სტადიონი და ყიფიანი, რომელიც უკვე მიდის ფეხბურთიდან.

ყიფიანს ალბათ ცუდ დროს მოუწია ფეხბურთელობამაც და მწვრთნელობამაც. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს რომ ჩამოაშორეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ ასეთი განმარტება გააკეთა - ვერ უზრუნველყო კონტაქტი ნაკრების ფეხბურთელებსა და ფედერაციას შორისო.

ყიფიანი ყოველთვის გულნაკლული ჩანდა და ჰქონდა ამის მიზეზები...

იმ „დინამოში", რომელშიც ყიფიანი თამაშობდა, მთავარი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის თანაშემწე სერგო კუტივაძე იყო. ბატონი სერგო საინტერესო მოსაუბრეა და ერთხელაც ჩამოვუგდეთ სიტყვა ლეგენდარულ დინამოელზე...

- დათო ყიფიანი 1971 წელს მოვიდა „დინამოში", როცა გუნდს გავრილ კაჩალინი თავკაცობდა. მანამდე ყიფიანი ბორია ჭელიძის გუნდში თამაშობდა, კარგი პლეადა იყო, რომელმაც საკავშირო მასშტაბითაც მიაღწია წარმატებებს. დათო „დინამოში" მოიყვანეს, ჯერ გამოსაცდელი ვადით. ყიფიანი მყისვე მოეწონა მწვრთნელს, რადგან ძალიან კარგად აზროვნებდა მოედანზე. ფიზიკური კონდიციები კი მას ჯერ ისეთი არ ჰქონდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში რომ ეთამაშა. იყო სხვა პრობლემაც - რა პოზიციაზე უნდა ეთამაშა ყიფიანს, რადგან დისტანციური სისწრაფე ისეთი არ ჰქონდა, რომ გარემარბად ეთამაშა. ის ფორვარდი იყო, თუმცა ეს პოზიციაც ვერ იყო ზედგამოჭრილი მისთვის. გაურკვევლობა მაშინ დასრულდა, როცა „დინამო" ნოდარ ახალკაცს ჩააბარეს - მან ყიფიანს ზუსტად შეურჩია პოზიცია.

**- ნიჭიერ ადამიანებს თავისებური ხასიათი აქვთ - როგორი იყო დამწყები ფეხბურთელი დავით ყიფიანი?**

- ცუდს მასზე ვერავინ იტყოდა, თავაზიანი იყო. ბევრს შრომობდა, თანაც მიზანმიმართულად. შრომა ის არ არის, რომ გამოხვიდე, ორმოცდაათი კილომეტრი ირბინო და ოფლი მოიდინო. ყიფიანმა ძალიან კარგად იცოდა საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები. ნიჭი ერთია, თუმცა ფეხბურთელობის საფუძველი ნიჭთან ერთად სათანადო ფიზიკური მომზადებაცაა. მუშაობდა ამ კომპონენტზე და საბოლოოდ მოხდა შერწყმა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გუნდთან ერთად ვარჯიშის შემდეგ ის მოედანზე იმისთვისაც რჩებოდა, რომ ტექნიკაზეც ემუშავა - ჩაწოდებები, დარტყმები... მწვრთნელის დამსახურებაა, რომ ყიფიანის ტალანტს ხელი არ შეუშალა, მიუხედავად მისი ნიჭისა, ამ ფეხბურთელის ჩარჩოში ჩასმა ძნელი იყო. ის არაორდინარული მოთამაშე გახლდათ, როდის რას გააკეთებდა, ვერ წარმოიდგენდი, გაკვირვებას იწვევდა მისი ეს თვისება.


სერგო კუტივაძე

**- სანამ ახალკაცის თანაშემწე გახდებოდით, ყიფიანთან თამაშმაც მოგიწიათ...**

- კაჩალინმა ის ერთხელ შეტევის მარჯვენა ფლანგზე გაამწესა. ყიფიანმა მითხრა, მეტოქის ზურგს უკან ნუ მომცემ პასს, ბურთი ფეხში მომეციო. იცოდა, ბურთს ფეხში რომ მოიგდებდა, მერე უკვე ძალიან მაგარი იყო.

**- რას ავალებდა მას ახალკაცი? ყველაზე უფრო რაზე მიუთითებდა?**

- პერსონალური დავალება ახალკაცს მისთვის არასდროს არ მიუცია, მწვრთნელის მას სრულ თავისუფლებას აძლევდა, ყიფიანი თვითონ ირჩევდა მოქმედებებს იმის გათვალისწინებით, თუ რა მეტოქეს ვეთამაშებოდით. ის მართლაც შემოქმედი ფეხბურთელი იყო.

**- უკვე ჩამოყალიბებული, სახელგანთქმული ფეხბურთელი - როგორი იყო ასეთი ყიფიანი?**

- ძალიან მძიმე ხასიათი ჰქონდა მიშა მესხს, მაგრამ ამით რა?! არ მესმის, როცა ვილაცაზე იტყვიან, ხასიათის ფეხბურთელია და ამიტომ ვერ თამაშობსო. მთავარია, მოედანზე საქმე გააკეთო, თორემ ხასიათი ყველას ერთნაირი ვერ ექნება. ყიფიანი ითვალისწინებდა იმას, რომ მაშინდელ „დინამოში" სხვა არანაკლებ ნიჭიერი ფეხბურთელებიც იყვნენ - შენგელია, ჩივაძე, გუცაევი, დარასელია...

**- 1981 წელს, სანტიაგო ბერნაბეუს თასის ტურნირში მიღებული ტრავმის შემდეგ ყიფიანმა მალევე დაანება ფეხბურთელობას თავი...**

- 1981 წლის წარმატების შემდეგ ახალკაცმა უცბად მოინდომა გუნდის გადახალისება, „დინამოდან" ექვსი-შვიდი წამყვანი ფეხბურთელის გაშვება გადაწყვიტა. ეს დიდი შეცდომა იყო. ახალკაცს ახალგაზრდების იმედი ჰქონდა, გრიგოლ ცაავა და სხვა ნიჭიერი ბიჭები მოდიანო... ყიფიანს მაშინ ტრავმა ჰქონდა და არ ჩანდა იმის დიდი სურვილი, ის კიდევ რომ დარჩენილიყო „დინამოში". დათო ალბათ თვითონაც გრძნობდა ამ ყველაფერს და ფეხბურთელისთვის ძნელია იმუშაო მწვრთნელთან, ვისგანაც ამის დიდი ინიციატივა არ მოდის...

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

# ახალი თავისტკივილი ყადაღა

თითქოს "ზესტაფონს" პრობლემები არ აკლდაო, იმერულ კლუბს კიდევ ერთი გასაჭირი აქვს – მის ანგარიშებს დაყადაღება ემუქრება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ "ზესტაფონი" ბიუჯეტში ქონების გადასახადს, 50 ათას ლარს ვერ იხდის. აღნიშნული გადასახადი კი კლუბს იმიტომ დაუგროვდა, რომ უძრავი ქონების სახით სტადიონსა და საწვრთნელ ბაზას ფლობს.

შეგახსენებთ, "ზესტაფონი" ერთადერთი უმაღლესლიგელია, რომლისგანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობაზე თანხმობა ჯერ არ მიუღია. დღეისთვის სრულიად გაუგებარია, როგორი იქნება კლუბის მომავალი.

"უახლოეს საათებში ველით შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ კლუბის ანგარიშები დაყადაღებულია. საუბარი სწორედ იმ უსამართლო სქემაზეა, რომელზეც ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ბევრს საუბრობენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ კერძო კლუბიდან ამოღებულ თანხებს სხვა, სახელმწიფო დოტაციაზე მყოფ კლუბზე ან კლუბებზე გადაანაწილებენ. ეს, ალბათ, იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი კლუბის ვიმპელი უკიდია თავის კაბინეტში ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელსა თუ მინისტრს. ყველამ ვნახეთ ფოტო, სადაც ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს კაბინეტში საპატიო ადგილას გორის "დილას" ვიმპელი ჰქონდა ჩამოკიდებული", - გვითხრა "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ.**

ლევან ჯანეზაშვილი

საავარაუდო ტრანსფერები

# ურალმა რუხაია დაიმატა და ანანიძეს უმიზნებს



ჯანო ანანიძე

როგორც ჩანს, რუსეთის პრემიერლიგაში წელს აღზევებული ეკატერინბურგის „ურალი" ქართველი ფეხბურთელების დამატებით ძალიანაა დაინტერესებული.

კლუბის ოფიციალური საიტი იუწყება, რომ პირველ ლიგაში აღზევებულმა გუნდმა უკვე დაიმატა ნალჩიკის „სპარტაკის" ნახევარმცველი **გუჯა რუხაია,** რომელთანაც 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბათუმში დაბადებული 26 წლის ფეხბურთელი ახალ კლუბში უახლოეს მომავალში გაივლის სამედიცინო შემოწმებას და გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგება.

ამასობაში „ურალის" პრეზიდენტმა **გრიგორი ივანოვმა** დაადასტურა მოსკოვის „სპარტაკის" ქართველი ჰავბეკით, **ჯანო ანანიძით** დაინტერესების შესახებ მანამდე გავრცელებული ხმები.

*„რა თქმა უნდა, გვინდა ჯანო ანანიძის იჯარით აყვანა. ამაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.*

ჯერჯერობით კი სიჩუმეა, მაგრამ თუკი შევძლებთ „სპარტაკთან" გარიგებას, ამის შესახებ ჟურნალისტები უმალ გაიგებთ", - უთხრა მასმედიის წარმომადგენლებს ივანოვმა.

www.sportall.ge



გუჯა რუხაია

# სად წავა ბექვაია?

გორის „დილას" ხელახალი დაკომპლექტება ახლახან დაიწყო, თუმცა ზოგიერთი ფეხბურთელის საკითხი უკვე გარკვეულია, მაგალითად, „დილაში" აღარ ითამაშებს 26 წლის ნახევარმცველი **გიგა ბექვაია.**

2012-13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ „დილას" ყველა ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და შესაძლოა, ბევრი მათგანი ისევ ამ გუნდში დარჩეს. რაც შეეხება ბექვაიას, შევიტყვეთ, რომ მისით სამი გუნდია დაინტერესებული: საჩხერის „ჩიხურა", ბოლნისის „სიონი" და რუსთავის „მეტალურგი".

ბექვაიას რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში - ნახევარდაცვის ცენტრში ან მარჯვნივ, კიდევ განაპირა მცველად. „დილამდე" ის „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელი იყო.

დავით თავართქილაძე

წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს



ლევან გეგეჭკორი (№5) ბელგიის ნაკრებთან მატჩისას

## ლევან გეგეჭკორი:

# როდესაც ქვეყნისთვის თამაშობ, უკვე არავის გეშინია

როდესაც მარტვილის "მერანი" უმაღლეს ლიგაში გადმოვიდა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, მალხაზ ჟვანიამ 17 წლის ლევან გეგეჭკორი "გამოაჩინა". ახალგაზრდა სპეციალისტი ნიჭიერ მოთამაშეს მოედანს ნელ-ნელა აჩვევდა. შეიძლება ითქვას, ლევანი პირველ ნაბიჯებს გუნდთან ერთად დგამდა, მასთან ერთად გაიზარდა და მარტვილის ფეხბურთის სახე და წარმომადგენელი გახდა 19-წლამდელთა ნაკრებში, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე გასვლით საქართველოს დიდი სიხარული მიანიჭა.

დღეს ლევან გეგეჭკორი ჩვენი რუბრიკის სტუმარია.

**- სად და ვისთან დაიწყე ფეხბურთზე სიარული და რომელმა მწვრთნელმა მოახდინა შენს ჩამოყალიბებაზე გავლენა?**

- ფეხბურთზე საკმაოდ გვიან, 12 წლის შევედი. ვარჯიში "მერანის" საფეხბურთო სკოლაში დავიწყე, პირველი მწვრთნელი კი მიხეილ ხელაია იყო. სკოლის შემდეგ "მერანში" მიმიწვიეს, რომელიც მაშინ პირველ ლიგაში ასპარეზობდა. უმაღლესში გადასვლის მერე, დუბლებში გადამიყვანეს, სადაც მწვრთნელი შეგვეცვალა და დაინიშნა არჩილ ჩხაბერიძე. ეტყობა, ბატონი აჩიკო და "მერანის" მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჟვანია მაკვირდებოდნენ და უმაღლეს ლიგაში მათამაშეს.

**- 12 წლამდე ფეხბურთი არ გიყვარდა?**

- როგორ არ მიყვარდა, ნებისმიერი პატარა ბიჭივით, მეც ფეხბურთზე ვგიჟდებოდი და როცა დრო მქონდა, სულ ვთამაშობდი. მაგრამ რატომღაც, სერიოზულად ვარჯიშზე არ ვფიქრობდი.

**– 19-წლამდელების ნევრებიდან უმაღლეს ლიგაში ყველაზე დიდხანს თამაშობ - ეს შენს გაზრდაზე გავლენას მოახდენდა.**

- ამაში ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემმა ამჟამინდელმა მწვრთნელმა მალხაზ ჟვანიამ. ჩემ მიმართ დიდი ნდობა გამოიჩინა და უმაღლეს ლიგაში სადებიუტო შეხვედრა 17 წლის ასაკში მათამაშა. სწორედ ამის შემდეგ შემამჩნიეს 19-წლამდელთა ნაკრებში. ამისთვის მთელი ცხოვრება ბატონი მალხაზის მადლიერი ვიქნები. დამეთანხმებით, 17 წლის ბიჭს უმაღლეს ლიგაში ყველა გუნდის მწვრთნელი არ ენდობა, მით უფრო, იმ დებიუტანტ გუნდში.

**– ელიტრაუნდზე ნაკრებში დაცვის რომელ ფლანგზე თამაშობდი?**

- ელიტრაუნდშიც და შესარჩევ ციკლშიც მარჯვენა მცველად ვითამაშე.

**- შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში ისლანდიასთან უცნაური ამბავი შეგემთხვა: 94-ე და 97-ე წუთებზე (?!) არბიტრმა ორი ყვითელი ბარათი გაჩვენა და მოედნიდან გაგაძევა, რის გამო ელიტრაუნდში ინგლისთან მატჩი გამოტოვე.**

- მიზეზი უდისციპლინობა არ ყოფილა: ბარათები ჯერ მეტოქესთან უხეშობისთვის, მეორე კი – ინგლისურის არცოდნის გამო მიჩვენეს! ისლანდიას 2:0 ვუგებდით, როდესაც არაბულს ეუხეშნენ და ბიჭები ბაჩანას გამოექომაგნენ. ვითარება ისე დაიძაბა, ჩვენს დასამშვიდებლად მოედანზე ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა შემოვარდა. სანამ სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდებოდა, მსაჯმა ინგლისურად მითხრა, აუტი არ ჩამოაწოდოო. ენის უცოდინრობის გამო, ვერ გავიგე, რას ამბობდა და აუტზე მეორე ყვითელი ბარათი ამიფრიალა. უდისციპლინო კი ნამდვილად არ ვარ, რაზეც ფაქტები მეტყველებს - ბოლო ორ სეზონში 36 შეხვედრაში სულ 2 ყვითელი დავიმსახურე.

**– ამ მინიტურნირმა ქართულ ფეხბურთსა და მის მომავალზე რა წარმოდგენა შეგიქმნა?**

- საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ზედიზედ ორჯერ, შარშან და წელს ევროპის 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდნენ. აქედანაც ჩანს, რომ საქართველოში ნიჭიერი თაობები იზრდებიან. ალბათ, ეს იმიტომაც ხდება, რომ საქართველოში ნელ-ნელა ფეხბურთისთვის მოვიცალეს და დონეც მეტ-ნაკლებად იზრდება. ეს ძალიან მახარებს და მაიმედებს, რომ იქნებ, ჩვენმა თაობამ მაინც ითამაშოს იმ დონეზე, რაზეც ჩვენი გულშემატკივრები ოცნებობენ.

**– ევროპის ჩემპიონატზე ბევრად უფრო მძიმე მატჩები გველის, ვიდრე ელიტრაუნდში - საჩუქარი არც საფრანგეთია და არც თურქეთ-სერბეთი.**

- რა თქმა უნდა, ჯგუფში სერიოზული მეტოქეები გვყავს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან თამაში შეუძლებელია. პირიქით, როდესაც შენი ქვეყნის ღირსებას იცავ და მატჩის დაწყებამდე ქვეყნის ჰიმნს მღერი, იქ ძალა გემატება და მნიშვნელობა აღარ აქვს, მეტოქე ვინ არის – უბრალოდ, შენ უკან არის ხალხი, ვისაც უყვარხარ, ვისაც შენი იმედი აქვს და მათი მოლოდინის გასამართლებლად, მოედანზე თავი უნდა დადო და მოიგო!

**– როდესაც მწვრთნელი შედეგს აღწევს, ყველას აინტერესებს, როგორ მუშაობს ფეხბურთელებთან და სხვებისგან რა თვისებები გამოარჩევს – დამაჯერებლობა, მოთამაშეების გახსნის უნარი თუ სხვა რამ – გია ცეცაძეზე გეკითხები.**

- რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის გასვლა ბატონი გიას და მისი შტაბის დიდი დამსახურებაა. ამ ადამიანებს აქვს ქვეყნის, ქართული ფეხბურთის დიდი სიყვარული, ცოდნა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი. შედეგს ამიტომაც მივაღწიეთ. ნაკრებში გატარებული თითოეული დღე ჩვენთვის იყო დიდი სიხარული, ძალიან მეგობრული გუნდია და წარმატებას ამიტომაც აღწევდა. ამ გუნდის წევრობით მე ბედნიერი ადამიანი ვარ.



**დოსიე**

**ლევან გეგეჭკორი**

დაიბადა: 1994 წლის 5 ივნისს
პოზიცია: მარჯვენა მცველი

**სანაკრებო კარიერა:**

U 19 – 5 მატჩი, 0 გოლი

**საკლუბო კარიერა**

მარტვილის „მერანი"
(36 მატჩი, 0 გოლი)

**– ახლა ყველა წარმატებულ და ნიჭიერ მოთამაშეებს ეძებს - შენ უფრო ძლიერ კლუბში გადასვლა არ შემოგთავაზეს?**

- ჯერჯერობით, კლუბის შეცვლაზე მართლა არ მიფიქრია.

**– ევროპის ჩემპიონატამდე "მერანში" ივარჯიშებ?**

- როგორც მითხრეს, "მერანი" 24 ივნისს შეიკრიბება და შეკრებას გუნდთან ერთად გავივლი. ნაკრებთან ერთად კი 6 ივლისს ლატვიაში გავემგზავრები, სადაც ევროპის ჩემპიონატამდე მოვემზადებით.

მერაბ მამულაშვილი

● მერანი



გივი დიდავა

# ბაბუნაშვილი და სხვა ტრანსფერები

## დიდავა მერანის მწვრთნელია

მომავალი სეზონისთვის მზადებას "მერანი" 24 ივნისს დაიწყებს. უკვე გაცნობეთ, რომ მარტვილური კლუბის ახალი ბიუჯეტი დამტკიცდა და სამწვრთნელო შტაბს შეუძლია, მოსამზადებელი ეტაპი მშვიდად დაგეგმოს.

შეკრების პირველ ორ ეტაპს "მერანი" მარტვილში გაივლის, რის შემდეგაც საქართველოს შავიზღვისპირეთში გადაინაცვლებს - ან ურეკში, ან ქობულეთში. ჯერ უცნობია, ვისთან და როდის გამართავს "მერანი" საკონტროლო მატჩებს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ** იმ ფეხბურთელების ვინაობა შეგვატყობინა, რომლებიც გუნდიდან წავიდნენ და განხორციელებული და სავარაუდო ტრანსფერების შესახებაც გვესაუბრა.

"მერანიდან" წასული მოთამაშეების სია ასეთია:

მეკარე: **მიხეილ მუჯირიშვილი,**

მცველები: **ვალერი იობაშვილი** და **თევდორე ლურსმანაშვილი.**

ნახევარმცველი: **გაგა გუგუნაშვილი**

თავდამსხმელები: **მამუკა ტორონჯაძე, ბერდია შარვაძე** და **ბექა ზაქრაძე.**

საფეხბურთო კარიერა დაასრულა ვეტერანმა ნახევარმცველმა **გივი დიდავამ,** რომელიც საქმიანობას "მერანის" სამწვრთნელო შტაბში გააგრძელებს.

რაც შეეხება ახალწვეულებს:

"მერანის" ღირსებას დაიცავს მეკარე **მიხეილ ხარშილაძე**, რომელმაც გასული სეზონი ფოთის "კოლხეთში" გაატარა; მარტვილური კლუბი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს "კოლხეთის" კიდევ ორ ფეხბურთელთან, თემურ ფარულავასა და ომარ გოგონაიასთან და სავარაუდოდ, მათთანაც მიაღწევს შეთანხმებას; "მერანში" გადავიდა **შოთა ბაბუნაშვილი**, რომელსაც გულშემატკივართა წინაშე განსაკუთრებული წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. მას "ზესტაფონთან" კონტრაქტი ამოეწურა; მერანელია ასევე ნახევარმცველი **გიორგი მელქაძე**, რომელიც გულშემატკივრებს ყველაზე მეტად "ვიტ ჯორჯიადან" ახსოვთ, გასული სეზონი კი პირველლიგელ "სამტრედიაში" გაატარა; "სამტრედიიდან" "მერანმა" კიდევ ერთი შუახაზელი, **შოთა კერძევაძე** გადაიბირა.

შესაძლოა, "მერანში" **გიორგი ქუცურუაც** ვიხილოთ, რომელსაც არაერთი ქართული უმაღლესლიგური კლუბის ღირსება დაუცავს.

ჯერ უცნობია, დარჩება თუ არა "მერანში" გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **საბა ლომია**. როგორც იცით, იგი "ზესტაფონის" საკუთრებაა. თუ ლომია ვერ შეინარჩუნეს, მარტვილელები ახალი თავდამსხმელის ძიებას დაიწყებენ.

ჟვანიას თქმით, არც სხვა ტრანსფერების განხორციელებაა გამორიცხული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ოვონიკოკო ლოკერენშია?!

## ოქრიაშვილი გუნდს დაუბრუნდა

მარიუპოლის „ილიჩივეცმა" სეზონისთვის მზადება დაიწყო. მოთამაშეებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს და პირველი ორმხრივი მატჩიც გამართეს, რომელშიც ქართველებიდან მხოლოდ **დავით თარგამაძე** მონაწილეობდა.

**გიორგი ჯგერენაიას** ამბავი ცნობილი იყო: 19 წლის ფლანგის მცველს „ილიჩივეცში" იჯარა დაუსრულდა და „გაგრას" დაუბრუნდა. მერე ცნობილი გახდა, რომ **თორნიკე ოქრიაშვილი** ინდივიდუალურად ემზადებოდა, სათამაშოდ ბოლომდე მზად არ არის, რადგან სეზონის ბოლოს მცირე ტრავმა მიიღო.

პარალელურად, "ლელო" უკვე წერდა, რომ უკრაინის დასრულებულ ჩემპიონატში ქართველებიდან ყველაზე უკეთ თავი სწორედ მარიუპოლის "ილიჩივეცის" 20 წლის ქართველმა ნახევარმცველმა გამოავლინა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **ნიკოლაი პავლოვმა** გაამხილა, რომ ოქრიაშვილის დარჩენა საეჭვოა, მისით სხვა კლუბები დაინტერესდნენო.

არის რამდენიმე ვარიანტი: პირველი - ოქრიაშვილი დონეცკის "შახტარში" დაბრუნდეს (თორნიკეს ტრანსფერი დღემდე დონბასურ კლუბს ეკუთვნის). მეორე - უკრაინის თუ ევროპის უკეთეს კლუბში გააგრძელოს კარიერა.

თუმცა, თორნიკე ისევ მარიუპოლელებს შეუერთდა და უკვე საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშობს.

დაბოლოს, "გაგრას" კიდევ ერთ მოთამაშეზე: გუნდის საკუთრებაში მყოფი **აბაიომო სეუნ ოვონიკოკოს** უკრაინის პრემიერლიგელ ლუცკის "ვოლინთან" იჯარა დაუსრულდა და თბილისში დაბრუნდა. აქ არკვევდა, სად გააგრძელებდა კარიერას. გუშინ შევიტყვეთ, რომ საქართველოს პასპორტის მფლობელი 20 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი 4 დღის წინ ბელგიაში გაემგზავრა და მის ტრანსფერზე მოლაპარაკება "ლოკერენთან" მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**



აბაიომო ოვონიკოკო

# საჭრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მზადება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| დინამო (თბ)<br>დუშან უჰრინი (ჩეხეთი) | **ალვარო (ინტერი, აზერბაიჯნი), მენდი (?), კოტო(?), ტატანაშვილი (?), მილხრაუმი(?),** ხიზანეიშვილი (დილა), თექთურმანიძე, კვეკვესკირი (ორივე სპარტაკი, იჯრით), ტვილდიანი (?), პარუნაშვილი (?), ჯილაური (ჩიხურა - იჯარით), სეფიაშვილი (?) | **დ. კვირკველია (დილა) ე. გრიგალაშვილი (ტორპედო),** მიქაბერიძე (მეტალურგი), ხურცილავა (ვიტ ჯორჯია) | 10 ივნისიდან - თბილისში<br>შირაქი (გიუმრი, სომხეთი) 1:1<br>19 ივნისიდან - ავსტრიაში |
| დილა<br>გიორგი დევდარიანი | **ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი, სკა ენერგია, რუსეთი), გოგუა (?), ნათან ჟუნიორი (?), ლეონარდო (?), არზიანი (?), მამალაძე (?), თოთაძე (?), ბეჭვაია (?), ალადაშვილი (?)** | **გ. დევდარიანი (მთ. მწვრთნლი)** ხიზანეიშვილი (დინამო თბ), თ. ლონლაძე (ზეტაფონი), დოლიძე, ბერიაშვილი (ორივე - ტორპედო), გაბაშვილი (ზიმბრუ, მოლდოვა) | 10 ივნისიდან - გორში<br>ჩიხურა 2 2:1 |
| ტორპედო<br>ჟერარდ სარაგოსა | **გ. გეგუჩაძე (მთ. მწვრთნლი, ?), გ. დათუნაიშვილი (?), რიგვავა (?), ბერიაშვილი (?),დოლიძე (?), ვ. ბოლქვაძე (?), გ. ონიანი (?), ბ ცინცაძე (?), შერგელაშვილი (?), ე. გრიგალაშვილი (დინამო თბ)** | **ჟერარდ სარაგოსა (მთ. მწვრთნელი, ლოკომოტივი თბ), მიქავა, მთივლიშვილი, ჩიტეიშვილი, გაბაძე, პატარკაციშვილი, სულთანიშვილი, ნ. ჭანტურია, გოროზია, კიკაბიძე, დ. ჯიქია, მ. ცინცაძე, მზევაშვილი, ზარანდია, ბარაბაძე (ყველა ლოკომოტივი) უბილავა (ვიტ ჯორჯია), კაპანაძე (სამგურალი)** | 10 ივნისიდან - ქუთაისში<br>18 ივნისიდან - ავსტრიაში |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | — | ჯილაური (დინამო თბ - იჯარით) | — |
| ზესტაფონი<br>? | — | — | — |
| ზუგდიდი<br>? | **ე. ქომეთიანი (მთ. მწვრთნელი) (?), აფაქიძე (?), გაბედავა (?)** | — | — |
| მეტალურგი<br>გელა სანაია | **გ. ყიფიანი (მთ. მწვრთნელი, ?),** მიქაბერიძე (დინამო თბ) | **გ. სანაია (მთ. მწვრთნელი, ჭიათურა),** | 24 ივნისიდან - რუსთავში |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | დიდავა (კარიერა დაასრულა), ზაქრაძე (?), ტორონჯაძე (?), მუჯირიშვილი (?), შარვაძე (?), გუგუნაშვილი (?), იობაშვილი (?) | **ხარშილაძე (კოლხეთი ფ), ბაბაუნაშვილი (ზესტაფონი),** ფარულავა, გოგონაია (ორივე - კოლხეთი ფ), გ. მელქაძე, შ. კერძევაძე (ორივე - სამტრედია), ქუცურუა (სასკო) | 24 ივნისიდან - მარტვილში |
| ვიტ ჯორჯია<br>ზურაბ ბერიძე | **უბილავა (ტორპედო),** ხურცილავა (დინამო თბ), **გურ. გურეშიძე (?), გოგიაშვილი (?), გაბრიჭიძე (?),** | — | — |
| სიონი<br>არმაზ ჭელაძე | — | — | 20 ივნისიდან - ბოლნისში |
| გურია<br>თემურ ლორია | — | — | — |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **ლემონჯავა (?)** | **კვეკვესკირი, თექთურმანიძე (ორივე - დინამო თბ, იჯარით),** ჩიმაკაძე (დინამო ბთ), ფანცხავა (სამგურალი) | 16 ივნისიდან - თბილისში |

*მუქი შრიფტით მოცემულია უკვე გადაწყვეტილი ტრანსფერები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



სტივენ რიდი

## ირლანდიელი რჩება

„ვესტ ბრომვიჩმა“ 32 წლის **სტივენ რიდთან** კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. წინა ხელშეკრულებით ირლანდიელს „ჰოტორნსზე“ კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა. მიუხედავად ხშირი ტრავმიანობისა, მთავარ მწვრთნელ **სტივ კლარკს** შეგირდის იმედი ჯერ კიდევ აქვს. ვეტერანი „ვესტ ბრომვიჩში“ 2010 წლის იანვრიდან თამაშობს.

## ჰაკერების ახალი შეტევა

სულ რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ უცნობმა ჰაკერებმა, რომელთა ვინაობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, „მანჩესტერ სიტის“ სერვერი გატეხეს და იქიდან კლუბისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპარეს. ნამდვილად ვერ გეტყვით, იმავე ჯგუფის გაკეთებულია თუ არა, მაგრამ ბრაზილიის სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, სერიოზული შეტევა იქნა მიტანილი 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზეც, რომელიც იმდენად არის დაზიანებული, რომ როდის განაახლებს მუშაობას, ჯერ არავინ იცის. ბრაზილიელი ჟურნალისტების თქმით, შესაძლოა, ეს კონფედერაციის თასისა და მომავალ წელს ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის გამო გალებული ხარჯებით უკმაყოფილო მოქალაქეების გაკეთებული იყოს. მილიარდიანმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა ქვეყანაში მგზავრობის გაძვირება გამოიწვია, რასაც ხალხი საპროტესტო გამოსვლებით შეხვდა.

## დორტმუნდიდან ჰანოვერში

გერმანული ფეხბურთის იმედად შერაცხილმა 19 წლის ნახევარმცველმა, ბრაზილიური ფესვების მქონე **ლეონარდო ბიტენკურმა**, ვინც აქამდე „დორტმუნდის“ ღირსებას იცავდა, „ჰანოვერთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. შარშან მან „შავ-ყვითლების“ ღირსება სულ რალაც 5 შეხვედრაში დაიცვა. ლეონარდოს პროფესიული ზრდისთვის მეტი სათამაშო პრაქტიკა სჭირდებოდა და გადაწყვეტილების მიზეზიც ეს გახდა. რურელებთან ხელშეკრულება მას 2015 წლამდე აკავშირებდა. **მირკო სლომკას** ნიჭიერი შუახაზელის ხელში ჩაგდება 6 მილიონი ევრო დაუჯდა. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ივლისში კოტბუსის „ენერგიმ“ ბუნდესლიგის მოქმედ ჩემპიონებს ფეხბურთელი 2,7 მილიონად დაუთმო.



ლეონარდო ბიტენკური

დანაშაული და სასჯელი

# წუთიერი აფეთქება და ტრაგედია

### ჰოლანდიელი თინეიჯერები ციხეში 2-2 წელს გაატარებენ

ორშაბათს ჰოლანდიის სასამართლომ საფეხბურთო არბიტრის, **რიხარდ ნიუვენჰუიზენის** სიკვდილში შვიდი პიროვნების ბრალი დაადასტურა. თითოეული მათგანის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა. ყველაზე მკაცრად დაისაჯა ბედშავი არბიტრის ცემაში მონაწილე მოზარდის მამა. ის ციხეში 6 წელიწადს გაატარებს. რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვან ფეხბურთელებს, სასამართლომ ხუთ მათგანს 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ერთი კი საზოგადოებისთვის სასარგებლო 30-დღიან გამასწორებელ სამუშაოებს შეასრულებს.

ტრაგედიის დეტალებს ზოგადად შეგახსენებთ: 2012 წლის 2 დეკემბერს ჰოლანდიის ახალგაზრდული ჩემპიონატის შეხვედრაში სამი შვილის მამა, 41 წლის რიხარდ ნიუვენჰუიზენი გვერდითა არბიტრად იყო მიწვეული. მისმა გადაწყვეტილებებმა მასპინძელი ფეხბურთელების განრისხება გამოიწვია, რის გამოც თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. მან მიმალვა სცადა, მაგრამ ამაოდ. ფეხბურთელები მის ცემას მიწაზე დაცემის შემდეგაც აგრძელებდნენ. სასწრაფო დახმარების მანქანით ნიუვენჰუიზენი მალევე გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ თავის არეში მიღებული მრავლობითი დაზიანებების გამო ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს. ტრაგედიას ამძიმებს ისიც, რომ დალუპულის შვილი იმ დღეს მოედანზე იყო და მან ეს ყველაფერი საკუთარი თვალით იხილა.

მიუხედავად სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენისა, მსჯავრდადებულები ამტკიცებენ, რომ ისინი უდანაშაულონი არიან, რასაც სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს დაადასტურებენ. მათი ადვოკატების თქმით, ნიუვენჰუიზენს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, რამაც გამოიწვია კიდეც მისი სიკვდილი. ადვოკატების მტკიცებას აბათილებს საქმეში არსებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცნობა, რომ სიკვდილი სწორედ მიყენებულმა ფიზიკურმა დაზიანებებმა გამოიწვია.

მოსამართლემ განაჩენის სამოტივაციო ნაწილი უკვე გამოაქვეყნა. აი, რას ვკითხულობთ მასში: *„უნდა გავითვალისწინოთ მომხდარი ტრაგედიის სერიოზულობა, ასევე ის, რომ თავდასხმა ყოველგვარი სერიოზული საფუძვლის გარეშე მოხდა, თანაც განსასჯელებმა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისასაც კი იუარეს ბრალის აღიარება, რამაც საზოგადოებაში კიდევ უფრო დიდი შოკი გამოიწვია. ამის გამო გადავწყვიტეთ, რომ ქმედების ჩამდენთა წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი სანქცია გამოგვეყენებინა. ტრაგედიის მონაწილე ზრდასრული მამაკაცის საქციელი ყველაზე მკაცრად იმიტომ შეფასდა, რომ იმის მაგივრად, ახალგაზრდებისთვის მაგალითი მიეცა, თავადაც ჩაება ჩხუბში და დამდგარ შედეგში დიდი წვლილი დაიდო“.*

*„რაც მოხდა იმის დაჯერება დღემდე ძალიან გვიჭირს. ეს ბიჭები 15-16 წლიანები არიან. იმ დღეს სტადიონზე უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი ფეხბურთის საყურებლად. ნიუვენჰუიზენი ბავშვთა ფეხბურთის მატჩებზე ხშირად მუშაობდა ხოლმე და ეს საქმე ძალიან უყვარდა,“ - განაცხადა შემთხვევის ერთ-ერთმა თვითმხილველმა.*



რიხარდ ნიუვენჰუიზენის დალუპვამ ჰოლანდიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია

მწვრთნელები

# საუკეთესოთა შორის საუკეთესონი



2012/13 სეზონის ტრიუმფატორმა იუპ ჰაინკესმა ამერიკელი ჟურნალისტების რეიტინგში პირველობა არავის დაუთმო

ამერიკულმა გამოცემა Bleacher Report-მა თანამედროვეობის საუკეთესო მწვრთნელების რეიტინგი შეადგინა. ჩვენი კოლეგები დაეყრდნენ არა მხოლოდ 2012/13 წლების სეზონის შედეგებს, არამედ გაითვალისწინეს მთლიანად კარიერის განმავლობაში მიღწეული წარმატებებიც. სიაში ვერ მოხვდა სერ **ალექს ფერგიუსონი**. შოტლანდიელმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მწვრთნელად აღარასოდეს იმუშავებს. სწორედ ამიტომ არის, რომ რეიტინგს **იუპ ჰაინკესი** ლიდერობს, ვისაც მსგავსი რამ არ უთქვამს.

მაშ ასე, საუკეთესოთა შორის საუკეთესოების ოცეული ასე გამოიყურება:

1. იუპ ჰაინკესი (გერმანია, ბაიერნის ყოფილი მთავარი მწვრთნელი), 2. **ჟოზე მოურინიო** (პორტუგალია, ჩელსი), 3. **ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთი, ესპანეთის ნაკრები), 4. **ხოსეპ გვარდიოლა** (ესპანეთი, ბაიერნი), 5. **ოტმარ ჰიტცფელდი** (გერმანია, შვეიცარიის ნაკრები), 6. **ლუის ვან გაალი** (ჰოლანდია, ჰოლანდიის ნაკრები), 7. **მარჩელო ლიპი** (იტალია, გუანჩჟოუ), 8. **რაფა ბენიტესი** (ესპანეთი, ნაპოლი), 9. **კარლო ანჩელოტი** (იტალია, პარი სენ-ჟერმენი), 10. **არსენ ვენგერი** (საფრანგეთი, არსენალი), 11. **გუუს ჰიდინკი** (ჰოლანდია, ანჟი), 12. **ლუიშ ფელიპე სკოლარი** (ბრაზილია, ბრაზილიის ნაკრები), 13. **იურგენ კლოპი** (გერმანია, დორტმუნდი), 14. **მანუელ პელეგრინი** (ჩილე, მანჩესტერ სიტი), 15. **ფათიჰ თერიმი** (თურქეთი, გალათასარაი), 16. **მირჩა ლუჩესკუ** (რუმინეთი, შახტარი), 17. **ანტონიო კონტე** (იტალია, იუვენტუსი), 18. **მარსელო ბიელსა** (არგენტინა, სანტოსი), 19. **ანდრე ვილაშ ბოაში** (პორტუგალია, ტოტენჰემი), 20. **ლუჩანო სპალეტი** (იტალია, ზენიტი).

ლივერპული

# ლივერპული მოითხოვს

**ლუის სუარესის** ტრანსფერზე იმდენი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება, რომ თავისა და ბოლოს გაგება უკვე ძალიან ჭირს. ურუგვაელმა ფეხბურთელმა ესპანური პრესისთვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რატომ უნდა მინდოდეს წასვლა, როცა ჩემი ოჯახი ინგლისში თავს ბედნიერად გრძნობს, ჩემმა გოგონამ კი „ლივერპულის“ ჰიმნი ზეპირად იცისო.

ფეხბურთელის მტკიცების მიუხედავად, ინგლისური მასმედია არ ცხრება და მადრიდის „რეალის“ ინტერესზე ყოველდღე ახალ-ახალ ამბებს აცხობს. „დეილი მეილის“ მტკიცებით, კლუბმა ლუისს წერილობითი სთხოვა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება, რადგან გაზეთებში გავრცელებული მისი გამონათქვამები სულაც არ არის ამისთვის სანდო წყარო. ხელმძღვანელობა მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რა გზას დაადგეს - დააყენოს ტრანსფერზე თუ სამომავლო გეგმები სუარესთან ერთად მოხაზოს. ურუგვაელი 50 მილიონ ევროდ არის შეფასებული. მიუხედავად საგაზეთო ჭორებისა, მერსისაიდელებს კონკრეტული შეთავაზება ჯერ არავისგან მიუღიათ. ასე რომ, **ბრენდან როჯერსი** ამ ეტაპზე მას ჯერ კიდევ მოიაზრებს საკუთარ გუნდში.

რაც შეეხება „ლივერპულის“ სხვა სატრანსფერო გეგმებს: **კოლო ტურესა** და **იაგო ასპასის** გარდა ძირითად გუნდში გადაიყვანეს 17 წლის ცენტრალური მცველი **ლოიდ ჯონსი**. ნესით, მალე უნდა გადაწყდეს სევილიელი **ლუის ალბერტოსა** და სანდერლენდელი **სიმონ მინიოლეს** ტრანსფერები. და რაც მთავარია, კვირის ბოლომდე დაესმება წერტილი „ვესტ ჰემში“ **ენდი კეროლის** გადაბარგების საქმესაც, რაც კლუბს დამატებით სახსრებს მისცემს შემადგენლობის გასაძლიერებლად.



ლუის სუარესი

ამბები



მიროსლავ პელტა

## დაზარალდა ფედერაციის პრეზიდენტი

რამდენიმე დღის წინ ჩეხეთში სამოყვარულო ლიგის გუნდების ტურნირზე დასაჯილდოებლად მიწვეული ფედერაციის პრეზიდენტი **მიროსლავ პელტა** სერიოზულად დაზარალდა. მაყურებლებს ნასვამი ახალგაზრდა ფერმერი **პაველ იანატა** გამოეყო და მოულოდნელად პელტას ცემა დაუწყო. სანამ ხალხი გონს მოვიდოდა, თავდამსხმელმა დაბნეულ მალალჩინოსანს პიჯაკი და პერანგი შემოახია. პოლიციამ ის მალევე დააკავა. დაკითხვაზე საკუთარი ქმედება იანატამ იმით ახსნა, რომ 2012 წელს ჩეხურ ფეხბურთში მძვინვარე კორუფციული სკანდალების შემდეგ პელტას მორალური უფლება აღარ ჰქონდა თანამდებობაზე დარჩენილიყო.

## დინამოდან გლადბახში

„კიკერის“ ცნობით, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ კიევის „დინამოსთან“ ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველის, 28 წლის **რაფაელის** ტრანსფერი შეათანხმა. გერმანელებს სამხრეთამერიკელის გადაბირება 6 მილიონი ევრო დაუჯდებათ. რაფაელმა „დინამოსთან“ კონტრაქტი 1 წლის წინ გააფორმა, მაგრამ რამდენიმე ულიმღამო თვის შემდეგ იჯარით „შალკეს“ შეაფარა თავი. „ბორუსია პარკზე“ მას **ლუსიენ ფავრთან** მოუწევს მუშაობა. შვეიცარიელი სპეციალისტი მას „ციურიხსა“ და „ჰერტაშიც“ წვრთნიდა. ასე რომ, მწვრთნელ-შეგირდი ერთმანეთს კარგად იცნობენ.

## კინეარი სკანდალით დაბრუნდა

ირლანდიელმა **ჯო კინეარმა** 60-70-იან წლებში „ტოტენჰემში“ ასპარეზობით გაითქვა სახელი. აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მან მწვრთნელობაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „პიკი“ მას 2008/09 წლებში ჰქონდა, როცა პრემიერლიგაში „ნიუკასლს“ წვრთნიდა. „კაჭკაჭები“ მაშინ ჩემპიონშიპში გავარდნენ. ამის მიუხედავად კინეარმა **მაიკ ეშლისთან** კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა, რისი წყალობითაც ის „სენტ ჯეიმს პარკზე“ კიდევ ერთხელ დაბრუნდა, ოღონდ სპორტულ დირექტორად. აღმასრულებელმა დირექტორმა **დერეკ ლამბიასმა** კინეარს მაღალი დონის სპეციალისტი უწოდა და „ნიუკასლს“ მასთან ერთად სერიოზული წარმატებები უწინასწარმეტყველა. ირლანდიელმა პირველივე ინტერვიუში დაამტკიცა, თუ რამდენად „ახლოს“ იცნობს ამჟამინდელ გუნდს. მას ჟურნალისტთან საუბრისას რამდენიმე ფეხბურთელის გვარი შეეშალა. მაგალითად მან ახსენა: იოან კებაბი (**იოან კაბაი**), ატემ ბენ აფრი (**ჰატემ ბენ არფა**), შოლა ამანობი (**შოლა ამეობი**), იონას გოლტიტეროსი (**ხონას გუტიერესი**).

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

იუვენტუსი

# ცხელი ამბები ტურინიდან

იტალიური საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში „აძურა“ და „აძურინი“ რჩებიან, მაგრამ აქა-იქ კლუბებზეც ვრცელდება საინტერესო ინფორმაციები. მაგალითად, აქტიურ სატრანსფერო კამპანიაშია ჩაბმული იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი“. სწორედ ტურინელთა ბანაკში შევიხედავთ...

## პელუზო სრულფასოვანი იუვენტინო

**ფედერიკო პელუზო** „ატალანტადან“ „იუვენტუსში“ იჯარის წესით გადავიდა, ტურინელებს კი ფეხბურთელის ბედი ამ ზაფხულს უნდა გადაეწყვიტათ... „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „იუვეს“ მესვეურები უკვე შეუთანხმდნენ ბერგამოულ კლუბს და სულ მალე, ფედერიკო „ვეკია სენიორას“ სრულფასოვანი წევრი გახდება. სატრანსფერო ფასი არ სახელდება, სამაგიეროდ, ვიცით, რომ პელუზოს 2017 წლამდე გათვლილი კონტრაქტი შეუდგინეს.

29 წლის პელუზომ გასულ სეზონში 25 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა - ერთი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასი მიითვალა. 3-5-2 სქემაში მეტწილად მარცხენა ნახევარმცველად ირჯებოდა, თუმცა რამდენჯერმე დაცვაშიც ითამაშა. **ანტონიო კონტემ** საგანგებოდ აღნიშნა, რომ პელუზომ გუნდი გააძლიერა - ამიტომ, მისი გამოსყიდვა არავის გაკვირვებია.

## ჯაკერინი რჩება

ბოლო პერიოდში, ხშირად წერდნენ **ემანუელე ჯაკერინის** „იუვენტუსიდან“ შესაძლო აბარგების შესახებ. 28 წლის შემტევი ნახევარმცველი „ვეკია სენიორას“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და უკეთეს შემთხვევაში, ბოლო 15-20 წუთი უწევს თამაში. არადა, ემანუელეს იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ენდობა და მას ხშირად სასტარტო თერთმეტეულში ათამაშებს. „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელისთვის გუნდში „სათადარიგოთა სკამის ხეხვა“ მთლად სასიამოვნო არ უნდა იყოს და მისი სავარაუდო აბარგების შესახებ ხმები ამიტომ გავრცელდა. თუმცა, ჯაკერინის აგენტმა გავრცელებულ ინფორმაციას ჭორი უწოდა:

*„ჩემი კლიენტი ვერ იქნება ბედნიერი იმით, რომ გუნდში მეტწილად თადარიგში უწევს ყოფნა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „იუვენტუსიდან“ წასვლას აპირებს. კონფედერაციათა თასზე გამგზავრებამდე, ემანუელე ანტონიო კონტეს ესაუბრა და ვიცი, რომ მისგან გარკვეული გარანტიები მიიღო. ასე რომ, ჯაკერინი არსად წასვლას არ აპირებს და ის ისევ „იუვენტუსში“ ითამაშებს“.*

## გაურკვევლობა ისლას გარშემო

გასულ ზაფხულს, „იუვენტუსმა“ **მაურისიო ისლას** სატრანსფერო უფლებების ნახევარი გამოისყიდა და 25 წლის ჩილელი „უდინეზედან“ თავისთან წაიყვანა. ტურინულ-ფრიულური შეთანხმების თანახმად, პიემონტელებს სეზონის დასრულებისთანავე შეეძლოთ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების დარჩენილი ნახევრის გამოსყიდვა და სანაცვლოდ, უდინელთა ბიუჯეტში კიდევ 5 მილიონი ევროს გადარიცხვა. ფრიულელები დიდი ხანია ელოდებიან ტურინელთა გადაწყვეტილებას, თუმცა ჯერჯერობით, ვერანაირი პასუხი ვერ მიიღეს - ამიტომ, პრესასთან საგანგებო განცხადება „უდინეზეს“ ვიცე-პრეზიდენტმა **ჯინო პოცომ** გააკეთა:



ფელიპე მელოს „იუვენტუსში“ დაბრუნება არ სურს

*„კარგი იქნება თუ ტურინელები მალე ჩამოყალიბდებიან მაურისიო ისლასთან დაკავშირებით. თუ უნდათ მისი ბოლომდე გამოსყიდვა, იციან, რამდენი უნდა გადაიხადონ - თუ არა და გვითხრან, როგორ მოვიქცეთ. არც იმის წინააღმდეგი ვართ, რომ მაურისიო რომელიმე მესამე კლუბში აღმოჩნდეს, აღებულ თანხას კი ჩვენ და ტურინელები შუაზე გავიყოფთ. მოკლედ, ხელშეკრულებით ყველაფერი იდეალურადაა დალაგებული და მთავარია, ტურინელებმა არჩევანი გააკეთონ“.*

სავარაუდოდ, პიემონტელები ისლას გამოსყიდვაზე უარს იტყვიან და პოცოს თქმის არ იყოს, მას რომელიმე მესამე გუნდს შესთავაზებენ. ცნობილია, რომ ისლას გადაბირებით მილანის „ინტერია“ დაინტერესებული და მზადაა, მიზნის მისაღწევად ჯიბეზე ხელი გაიკრას.

## ფელიპე მელოს უარი

**ფელიპე მელომ** ორი სეზონი თურქულ „გალათასარაიში“ გაატარა, მაგრამ მთელი ეს პერიოდი, მის სატრანსფერო უფლებებს „იუვენტუსი“ ფლობდა. თურქებმა 29 წლის ბრაზილიელის გამოსყიდვა არ ისურვეს და შედეგად, მელო ტურინულ გრანდს დაუბრუნდა. საინტერესოა, სად ითამაშებს მომდევნო სეზონში ფელიპე? - ამ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*„ბოლო ორი სეზონი სტამბოლში გავატარე და სამი ტროფეი მოვიგე, ამით ძალიან ვამაყობ. საწყენია, რომ თურქებმა ჩემი გამოსყიდვა არ ისურვეს და ტურინში მომიწია დაბრუნებამ. უკვე ველაპარაკე ანტონიო კონტეს და პირდაპირ ვუთხარი მას, რომ „იუვენტუსში“ თამაში არ მსურს. „იუვე“ წარსულია, სადაც არ მსურს დაბრუნება. იმედია, ტურინელები ახალი კლუბის მოძებნაში დამეხმარებიან და ჩემს სანაცვლოდ დიდ თანხას არ მოითხოვენ“.*

ამ თემაზე „იუვეს“ სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამაც** გააკეთა კომენტარი და პირველ რიგში, თვითონ ფეხბურთელს მიანიშნა, რომ ასე მარტივად არ არის საქმე: *„ფელიპე მელოს „იუვენტუსში“ თამაში არ სურს და ბუნებრივია, მის აზრს ვითვალისწინებთ. ბრაზილიელს ტრანსფერზე დავაყენებთ და მასში იმ თანხას მოვითხოვთ, რაც რეალურად ღირს. ზუსტ ოდენობას ვერ დავასახელებ, რადგან ეს თემა ჯერ კიდევ გასავლელია. თუმცა, ერთი ფაქტია, მელო 3 და 5 მილიონი ვერ ეღირება. „გალათასარაის“ ბოლო წარმატებებში მან ლომის წილი დაიდო და ფასიც შესაბამისი ექნება. თუ ფეხბურთელის გამოსყიდვას არ მოისურვებენ, ჩვენთან მოუწევს თამაში. პირდაპირ ვიტყვი, რომ მისი ისევ იჯარით გაშვება არ გვსურს - ფაქტია, „გალათასარაიმ“ მელოს სამსახურით კარგად ისარგებლა და თუ ხელფასს არ ჩავთვლით, მასში არაფერი გადაუხდია. ასეთი რამ ველარ განმეორდება“.*

ფელიპე მელოს „იუვენტუსთან“ 2015 წლის 1-ელ ივლისამდე აკავშირებს ხელშეკრულება და მაროტას კომენტარიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, მისი ბოლომდე შესრულება მოუწიოს.

ფიორენტინა

# ვიოლა ნახევარდაცვას აძლიერებს

## ხოაკინის შემდეგ - ამბროზინი...

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ მომდევნო სეზონიდან **მასიმო ამბროზინი** „ფიორენტინაში“ ისპარეზებს. 36 წლის ვეტერანის გადაბირება ინგლისურ „ვესტ ჰემს“ და რამდენიმე ამერიკულ კლუბს სურდა, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა იტალიაში დარჩენა ამჯობინა.

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, მასიმომ უკვე შეათანხმა კონტრაქტის დეტალები ფლორენციულ კლუბთან და რადგან „მილანთან“ მას უკვე აღარაფერი აკავშირებს, ხელშეკრულების გაფორმებას წინ აღარაფერი უდგას. ორიოდე დღის წინ, ამბროზინიმ მოკლე კომენტარი გააკეთა და მაშინვე გაცხადდა, რომ ყველაზე სავარაუდო მისი „ვიოლაში“ გადაბარგება იყო:

*„ფლორენცია მსოფლიოს ულამაზესი ქალაქია, სადაც დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი. მომწონს „ფიორენტინაც“ და ის გეგმებიც, რაც ამ კლუბის მესვეურებმა დაისახეს. ამასთან, გუნდს ვინჩენცო მონტელას სახით შესანიშნავი მწვრთნელი უდგას სათავეში“.*

ერთი სიტყვით, ამბროზინიმ ყველანაირად მიგვანიშნა, რომ „ფიორენტინაში“ აპირებდა გადასვლას და გუშინ, ეს ცნობა პრაქტიკულად დადასტურდა. ამრიგად, ვეტერანი ფეხბურთელისთვის „ვიოლა“ კარიერაში მეოთხე გუნდი იქნება - „მილანის“ გარდა, მან ცოტა ხანი ისპარეზა „ჩეზენასა“ და „ვიჩენცაში“.

## კუადრადო რჩება

გასულ ზაფხულს, „უდინეზედან“ „ფიორენტინაში“ იჯარის წესით **ხუან კუადრადო** გადავიდა და ბოლო დრომდე გაურკვეველი იყო, გამოისყიდდა თუ არა ფლორენციული კლუბი 25 წლის შემტევს... კუადრადომ ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და ამ მხრივ, კითხვის ნიშნები არ ყოფილა, მაგრამ ფრიულელები ითხოვენ საკმაოდ დიდ თანხას, რასაც შეეძლო კიდეც ტოსკანელთა დაფრთხობა. თუმცა, ასე არ მოხდა და „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, ფლორენციელები მზად არიან, კოლუმბიელის სანაცვლოდ უდინელთა ბიუჯეტში 8 მილიონი ევრო გადარიცხონ. აქვე ვთქვათ, რომ გასულ სეზონში კუადრადომ 36 მატჩი ჩაატარა, 5 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი მიითვალა აქტივში. „ვიოლას“ პრეზიდენტმა **ანდრეა დელა ვალემ** უკვე დაადასტურა, რომ ხუანი აუცილებლად დარჩება მის გუნდში.

## ნახევარდაცვა კარგია, თავდასხმა?

გასულ სეზონში, „ფიორენტინას' ძლიერი რგოლი ნახევარდაცვა იყო, სადაც ხუან კუადრადო, **ბორხა ვალერო, დავიდ პისარო, ალბერტო აკვილანი** და **მანუელ პასკუალი** ბრწყინვალედ მოქმედებდნენ. სატრასფერო კამპანია ხეირიანად დაწყებული არაა, რომ ფლორენციელებმა შუა ხაზი კიდევ უფრო გააძლიერეს - ჩამოთვლილ მოთამაშეებს **ხოაკინ სანჩესი** და მასიმო ამბროზინი ემატებათ, რაც სახუმარო ამბავი ნამდვილად არ არის. გავიგეთ ისიც, რომ „ვიოლაში“ რჩება ხუან კუადრადოც და მოკლედ, ნახევარდაცვაში ფლორენციელებს ყველაფერი რიგზე აქვთ. მაგრამ, რა იქნება თავდასხმაში? - **სტევან იოვეტიჩმა** ღიად განაცხადა, რომ ფლორენციის დატოვება სურს და ასეც მოიქცევა, **ჯუზეპე როსიმ** კი წელინადნახევრიანი ტრავმა გადაიტანა და მის იმედზე მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი



მასიმო ამბროზინი „ფიორენტინაში“ ითამაშებს

გუნდი ვერ იქნება. **ლუკა ტონი** „ვიოლას“ ტოვებს... გამოდის, რომ თავდასხმაში ფლორენციელთა იმედი **ადემ ლიაიჩია...** ეს არაა საკმარისი და ამიტომაც ანდრეა დელა ვალე მაღალი კლასის ფორვარდის ძიებაშია. ყველაზე ხშირად **მარიო გომესზე** საუბრობენ და კლუბის პრეზიდენტიც ყველაფერს აკეთებს, რომ გერმანელი თავისთან წაიყვანოს:

*„მარიო ჩვენი უპირველესი სამიზნეა და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ტრანსფერი შედგეს. გერმანელები ფორვარდში დიდძალ თანხას ითხოვენ და არც ამაზე ვიხევთ უკან. მთავარია, თვითონ გომესს მოსწონს ფლორენციული ვარიანტი, რაც იმედს მაძლევს. ჩვენ ინტერესებში კიდევ რამდენიმე თავდამსხმელია და ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი“.*

ამბები

## ჩელინო: ნაინგოლანი არ იყიდება

„კალიარის“ 25 წლის ნახევარმცველ **რაჯა ნაინგოლანზე** დიდი მოთხოვნაა და მის გადაბირებას იტალიური ფეხბურთის გრანდები ლამობენ. ყველაზე მეტად მაინც „ინტერი“ აქტიურობს, რომელიც მზადაა ბელგიელის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. ამ თემაზე კომენტარი „კალიარის“ პრეზიდენტმა **მასიმო ჩელინომ** გააკეთა:

*„ნაინგოლანი გუნდის ლიდერია და მისი გაყიდვის შემთხვევაში, სერია A-ში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაგვიჭირდება. იცით რა ზარალს გამოიწვევს ელიტარული დივიზიონიდან დაქვეითება? - სადღაც 45 მილიონ ევროს დავკარგავთ და მიღირს კი ასეთი რისკის გაწევა? - მოკლედ, ნაინგოლანი არ იყიდება და ჯობია მოვრჩეთ ამ თემაზე საუბარს“.*

## გაცვლიან კასანოს ანტონელიში?

საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც, „ჯენოასა' და „ინტერის“ მესვეურები ბარტერის დეტალებს ათანხმებენ. ლაპარაკია **ანტონიო კასანოს** გენუურ გუნდში გადასვლაზე და სანაცვლოდ, **ლუკა ანტონელის** „ნერაძურიში“ გადაბარგებაზე. გარიგების ფინანსური დეტალები არ სახელდება, მაგრამ სავარაუდოდ, არც ერთ მხარეს ფულის დამატება არ მოუწევს. მართალია, კასანო მსოფლიო ფეხბურთის ვარსკლავია, მაგრამ 26 წლის ანტონელიზე 4 წლით უფროსია და ამიტომ, მათი სატრანსფერო ღირებულება დაახლოებით თანაბარია.

შეგახსენებთ, რომ 2008-2011 წლებში კასანო მეორე გენუურ გუნდ „სამპდორიაში“ ასპარეზობდა, მისი „ჯენოაში“ გადასვლა საპორტო ქალაქში დიდ ხმაურს გამოიწვევს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**


ანტონიო კასანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა

# რა ღირს ლეო მესი და მთელი ბარსელონა

## რიბერი რონალდოს წინ, ბეილი თამაშგარეში



ლიონელ მესი

**ახლახან „CIES საფეხბურთო ობსერვატორიამ“ (მომავალში მოკლედ - ობსერვატორიად მოვიხსენებთ) გამოაქვეყნა მორიგი (მე-8) ყოველწლიური წიგნი, სადაც პროფესიულ დონეზე შეჯამებულია ევროპის 5 მოწინავე საფეხბურთო ქვეყნის (ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია და საფრანგეთი) პირველობა: სტატისტიკური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და საფეხბურთო ანალიტიკა.**

### შესავლის მაგიერ

ყოველწლიური შეჯამებით, მაგალითად, ვარკვევთ: **ლიონელ მესის** ტრანსფერი რომ შესაძლებელი იყოს, ის **კრიშტიანო რონალდოს** 94-მილიონიან რეკორდს ბევრად გააუმჯობესებდა. ეკონომიკური მოდელის გაცნობის შემდეგ ობსერვატორია ასკვნის, რომ არგენტინელის რეალური ფასი დღეს 217-დან 252 მილიონ ევრომდე შუალედში მერყეობს! თავისივე რეკორდზე მეტი ღირს რონალდოც - 102-დან 118 მილიონ ევრომდე.

საკლუბო დონეზე „ბარსელონას“ ფეხბურთელთა საერთო ფასი 658 მილიონი ევროა, რაც საშუალოდ სამჯერ მეტია, ვიდრე ამ ფეხბურთელებში „ბარსამ“ გადაიხადა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს კატალონიელთა საფეხბურთო სკოლის სხვებთან შედარებით უდიდეს უპირატესობაზე.

ლიონელ მესი არა მარტო ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი იყო 2012/13 წლების საფეხბურთო სეზონში, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანიც. ობსერვატორიამ ფეხბურთელების ასპარეზობა 5 მთავარი ატრიბუტის (დარტყმა, შანსის შექმნა, შანსის გამოყენება, პასი, ბურთის ართმევა) მიხედვით შეისწავლა. ამ მახასიათებლების ჯამით, არგენტინელი უსწრებს ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორ **ფრანკ რიბერის** და იმავე რონალდოს.

ახალგაზრდებს შორის საუკეთესო **მარიო გიოტცე** იყო, რომელსაც კუდში ორი ბელგიელი მიჰყვება, **კევინ დე ბრუინი** და **რომელუ ლუკაკუ**.

საკლუბო დონეზე ასპარეზობათა შედარებამ დაგვანახა, რომ მიუნხენის „ბაიერნის“ ბრწყინვალე ჰეთთრიკი ამ გუნდის დიდებული ბალანსით არის გამოწვეული შეტევას, დისტრიბუციასა და დაცვას შორის. „ბაიერნი“ ბუნდესლიგაში საუკეთესო იყო ობსერვატორიის სამივე მახასიათებლით: სოლიდური დაცვა, შეტევა და შეკრული თამაში. არსად, სხვა არც ერთ ჩემპიონატში არ მოუგია გუნდს სამივე კომპონენტით - „ბაიერნი“ გამონაკლისია.

რა კავშირი აქვს ფულს წარმატებასთან? როგორც ობსერვატორიის გამოკვლევის მიხედვით - პირდაპირი! ხუთივე ლიგაში 2012/13 წლების სეზონისთვის სამეულებში მხოლოდ ის გუნდები ასრულებდნენ ჩემპიონატებს, რომელთაც ყველაზე მეტი დახარჯეს.

### ფული და წარმატება

შესავალში ალვნიშნეთ, რომ ფულს უეჭველად მოაქვს წარმატება თანამედროვე ფეხბურთში, თუმცა ჩადებული თანხა პირდაპირპროპორციულად მაინც არ აისახება ტიტულებში.

2012/13 წლებში გუნდის გაძლიერებისთვის ყველაზე მეტი მადრიდის „რეალმა“ დახარჯა, თუმცა ტოპათეულის დანარჩენი 9 წევრიდან 5 ინგლისურია. საერთო ჯამში, „სამეფო კლუბმა“ 507 მილიონი ევრო დახარჯა, რაც ორჯერ და მეტად ბევრია, ვიდრე ტიტულის მფლობელ „ბარსელონას“ ხარჯი. ინგლისშიც „მანჩესტერ სიტიმ“ უფრო მეტი დახარჯა, ვიდრე ჩემპიონმა „იუნაიტედმა“. იგივე შეიძლება ითქვას, „ინტერსა“ და „იუვენტუსზეც“. დანარჩენ ორ ლიგაში კი ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა: საფრანგეთში „პარი სენ-ჟერმენმა“ დახარჯა ყველაზე მეტი და ამ გუნდმა შეძლო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, გერმანიაში კი - „ბაიერნმა“.

**გაგაცნობთ ტოპ-20 მხარჯველებს**

| კლუბი | თანხა | ადგ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 507 | 2 |
| 2. მანჩ. სიტი | 442 | 2 |
| 3. ჩელსი | 396 | 3 |
| 4. მანჩ. იუნაიტედი | 343 | 1 |
| 5. პსჟ | 290 | 1 |
| 6. ლივერპული | 265 | 7 |
| 7. ბარსელონა | 229 | 1 |
| 8. ბაიერნი | 228 | 1 |
| 9. ინტერი | 204 | 9 |
| 10. არსენალი | 197 | 4 |
| 11. იუვენტუსი | 179 | 1 |
| 12. ტოტენჰემი | 178 | 5 |
| 13. ლიონი | 136 | 3 |
| 14. ნაპოლი | 134 | 2 |
| 15. მილანი | 113 | 3 |
| 16. ვოლფსბურგი | 113 | 11 |
| 17. ატლეტიკო | 111 | 3 |
| 18. ლაციო | 110 | 7 |
| 19. ასტონ ვილა | 105 | 15 |
| 20. სანდერლენდი | 104 | 17 |

როგორც ხედავთ, 20-ეულშიც კი არ არიან „დორტმუნდი“ და „მარსელი“, თუმცა თავიანთ ჩემპიონატებში ვიცე-ჩემპიონობას შესწვდნენ. სიაში ვერც ბუნდესლიგის მესამეადგილოსან „ლევერკუზენს“ შეხვდებით. სამაგიეროდ, სიაში მყოფი „სანდერლენდი“ ბეწვზე გადაურჩა გავარდნას. მაინცდამაინც ვერც „ვოლფსბურგმა“, „ინტერმა“ და „ასტონ ვილამ“ იყოჩალეს.

### ყველაზე ახალგაზრდები და ყველაზე ასაკოვანები

გერმანული ბუნდესლიგა ტოპ-5-ში ყველაზე ახალგაზრდულია - ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 25,7 წელია. ყველაზე ასაკოვანი ლიგა კი იტალიურია, სადაც ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 27,4-ია. როგორც ხედავთ, სხვაობა მაინცდამაინც დიდი არაა. სხვათა შორის, იტალიაში 22-წლამდელ ფეხბურთელთა წილი საკმაოდ მაღალი იყო - 12% (მაგალითად, ესპანეთში მხოლოდ 8%), თუმცა ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი გერმანიაშია - 15%.

ტოპხუთეულის ევროპულ ლიგებში ყველაზე მეტად ახალგაზრდებს ენდობოდნენ ფრანგულ „სოშოში“, სადაც 22-წლამდელთა ხვედრითი წილი ნათამაშები წუთების 33%-ია. ამ ლიგებში ხუთ კლუბს საერთოდ არ გამოუყვანია თუნდაც ერთი 22-წლამდელი ფეხბურთელი! ხოლო ინგლისური „ფულჰემის“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 30 წელზე მეტია.

ჩემპიონებში ყველაზე ახალგაზრდული იყო „ბაიერნის“ შემადგენლობა (26,2), ყველაზე ასაკოვანი - „იუვენტუსის“ (27,9). როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაში სხვაობა დიდი არ არის.

### მესი და ჩავი

საუკეთესო ფეხბურთელის გამორკვევაში ობსერვატორია ხუთი მახასიათებლით სარგებლობს, რომლებზეც შესავალშიც ვთქვით. ყველაფრის შეჯამების შემდეგ მივიღეთ, რომ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო ლიონელ მესი (ბარსელონა). მას კვალში უდგას ფრანკ რიბერი (ბაიერნი) და კრიშტიანო რონალდო (რეალი).

ეს სამი ფეხბურთელი ობსერვატორიის შარშანდელი კვლევების ტოპათეულში იყო, მესის და რონალდოს ადგილები არ შეუცვლიათ. აი, ფრანგმა კი მე-7 პოზიციიდან მე-2-ზე გადაინაცვლა.

ალსანიშნავია, რომ 12 საუკეთესო ფეხბურთელიდან 10-ის კლუბი ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა (3-3 „ბარსელონა“ და „ბაიერნი“, 2-2 „დორტმუნდი“ და „რეალი“). ოცეულში მხოლოდ ორი ფეხბურთელია, რომელთაც ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში მონაწილეობა არ მიულიათ: **ლუის სუარესი** (ლივერპული) და **საბოლჩ ჰუსტი** (ჰანოვერი). ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩემპიონთა ლიგა მართლაც საუკეთესოებს უყრის თავს და იმის ნიშანიცაა, რომ ლიგაზე თამაში ნებისმიერ ფეხბურთელს პროფესიულ ზრდაში ეხმარება.

თქვენ წინაშე ტოპ 20-ეულია. რეიტინგში გამარჯვებულ ფეხბურთელს (ამ შემთხვევაში მესის) ენიჭება 100 ქულა და დანარჩენთა ქულები მასთან მიმართებაში ითვლება. სიაში ვერ მოხვდნენ ფეხბურთელები, რომელთაც თამაშების ნახევარი მაინც არ ჩაატარეს.

**სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი**

| | | |
|---|---|---|
| 1. ლიონელ მესი | ბარსელონა | 100 ქ. |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 82,1 |
| 3. კრიშტიანო რონალდო | რეალი | 66,7 |
| 4. მესუთ იოზილი | რეალი | 64,4 |
| 5. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 61,8 |
| 6. ანდრეს ინიესტა | ბარსელონა | 61,2 |
| 7. სესკ ფაბრეგასი | ბარსელონა | 61,1 |
| 8. ტონი კროოსი | ბაიერნი | 60,3 |
| 9. თომას მიულერი | ბაიერნი | 59,2 |
| 10. ლუის სუარესი | ლივერპული | 58,9 |
| 11. არტურო ვიდალი | იუვენტუსი | 58,2 |
| 12. მარკო როისი | დორტმუნდი | 57,8 |
| 13. საბოლჩ ჰუსტი | ჰანოვერი | 57,6 |
| 14. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | პსჟ | 57,6 |
| 15. სანტი კასორლა | არსენალი | 57,3 |
| 16. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | 56,1 |
| 17. ხუან მატა | ჩელსი | 55,1 |
| 18. ქარიმ ბენზემა | რეალი | 54,8 |
| 19. უეინ რუნი | იუნაიტედი | 54,3 |
| 20. გონსალო იგუაინი | რეალი | 53,4 |

საოცარია, მაგრამ ოცეულში ვერ ვხედავთ **გარეთ ბეილს** (ტოტენჰემი), რომელიც 51,5 ქულით 23-ე პოზიციაზეა.

იმავე მახასიათებლებით ობსერვატორიამ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის სეზონი შეაჯამა. აქ ყველას **ჩავი ერნანდესმა** აჯობა.

**ჩემპიონთა ლიგა. ტოპ 5**

| | | |
|---|---|---|
| 1. ჩავი | ბარსელონა | 100 ქ. |
| 2. ლიონელ მესი | ბარსელონა | 98 |
| 3. ხუან მატა | ჩელსი | 88,5 |
| 4. არტურო ვიდალი | იუვენტუსი | 84,8 |
| 5. ვილიანი | შახტარი | 82,6 |

ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი კრიშტიანო რონალდო 77,2 ქულით მხოლოდ მე-8 ადგილზეა.

### რონალდოს მოგებით გაყიდვის ბოლო შანსი

ლიონელ მესის ტრანსფერი ფიზიკურად შესაძლებელი, რომ იყოს, რა ეღირებოდა ობიექტურად 25 წლის არგენტინელი? ობსერვატორია ამ ძნელ საქმესაც ჩაეჭიდა. აღმოჩნდა, რომ ლეოს ღირებულება დაახლოებით 250 მილიონი ევროა. საოცარი ისაა, რომ მესის კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად ზუსტად 250 მილიონი ევრო უწერია - „ბარსელონამ“ იცის თავისი მთავარი ვარსკვლავის ნამდვილი ფასი!

ობსერვატორიამ ასე დაახასიათა მესი: კლუბში მთავარი ვარსკვლავი, სტაბილურად ბრწყინვალე ასპარეზობა, საუკეთესო მეგოლე, ეროვნული გუნდის მაღალი დონის შემსრულებელი, შემტევი, კარიერის შუახანა, ახლახან გაგრძელებული ხანგრძლივი კონტრაქტი.

ტრანსფერის შემთხვევაში კრიშტიანო რონალდოც მოხსნიდა თავის რეკორდს. რადგან მას კონტრაქტით 2 წელი რჩება „რეალში“ და უკვე 28 წლისაა. „რეალს“ ამ ზაფხულს ბოლო შანსი აქვს, მსოფლიო რეკორდად ნაყიდი ფეხბურთელი მოგებით გაყიდოს!

**ფეხბურთელთა ღირებულება.ტოპ 10**

| | | |
|---|---|---|
| 1. ლიონელ მესი | ბარსელონა | 217-252 მლნ. |
| 2. კრიშტიანო რონალდო | რეალი | 102-118 |
| 3. ედინსონ კავანი | ნაპოლი | 58-67 |
| 4. ედენ აზარი | ჩელსი | 55-64 |
| 5. სერხიო აგუერო | სიტი | 48-56 |
| 6. რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | 46-53 |
| 7. მარიო ბალოტელი | მილანი | 45-52 |
| 8. უეინ რუნი | იუნაიტედი | 45-52 |
| 9. გარეთ ბეილი | ტოტენჰემი | 43-50 |
| 10. დავიდ სილვა | სიტი | 43-50 |

დღეისათვის აქტიურად განიხილება ლუის სუარესის შესაძლო გადასვლა მადრიდის „რეალში“. ობსერვატორიის მონაცემებით, „ლივერპულის“ ურუგვაელი ფორვარდი 37-დან 43 მილიონ ევრომდე ღირს. დაახლოებით ამ თანხის გაღება მოუწევს „სამეფო კლუბსაც“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფრანკ რიბერი

AUTOPIA.GE
ავტონაწილების სუპერმარკეტი
5000 მეტი დასახელების ძარის ნაწილები
იტალიური PRASCO ოფიციალური წარმომადგენელი
მინდელის ხიდის მიმდებარე ტელ.:514 933 933
ქუთაისი, ქვიტირი ტელ.: 514 923 923
www.tuv.com TÜV

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციის თასი. ბრაზილია 2013.

# ყველაფერი ან არაფერი

| 19 ივნისი | |
|---|---|
| A ჯგუფი | |
| ბრაზილია-მექსიკა | 23:00 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 37 მატჩი: +21 =6 -10 (69-36) | |
| იტალია-იაპონია | 02:00 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| სულ 1 მატჩი: +0 =1 -0 (1-1) | |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. მექსიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |


ერთი წლის წინ მექსიკელებმა ამხანაგურ მატჩში იმარჯვეს

საქართველოს დროით, 23 საათზე ქალაქ ფორტალეზაში ერთმანეთს მასპინძლები და მექსიკელები შეხვდებიან. გუნდებმა რადიკალურად განსხვავებული სტარტი აიღეს - ბრაზილიამ იაპონიის ეროვნული ნაკრები გაანადგურა (3:0), მექსიკამ კი **მარიო ბალოტელის** გოლის გამო, იტალიასთან წააგო (1:2) და მორიგი მარცხის შემთხვევაში ტურნირსაც გამოეთიშება.

ამ გუნდების ბოლო დაპირისპირება **ხოსე მანუელ დე ლა ტორეს** შეგირდების გამარჯვებით დასრულდა: შარშან, ივნისში, აშშ-ში გამართული ამხანაგური მატჩი მექსიკამ **ჯოვანი დოს სანტოსის** და **ხავიერ ერნანდესის** გოლების წყალობით, 2:0 მოიგო. გარდა ამისა, ეს გუნდები ერთმანეთს ოლიმპიადის ფინალშიც შეხვდნენ, სადაც ასევე მექსიკელებმა იმარჯვეს (2:1). საინტერესოა, რომ მაშინდელი შემადგენლობებიდან დღეს ორივე ნაკრების რიგებში 14 ფეხბურთელია, აქედან 8 მექსიკის ღირსებას იცავს (**ხოსე კორონა, ირამ მიერი, დიეგო რეიესი, ხავიერ აკინო, კარლოს სალსიდო, ექტორ ერერა, ჯოვანი დოს სანტოსი** და **რაულ ხიმენესი**), 6 კი ბრაზილიის (**ტიაგო სილვა, მარსელო, ოსკარი, ნეიმარი, ლუკას მოურა** და **ჰალკი**).

**კომენტარები**

*„მექსიკა ყოველთვის რთული დასამარცხებელია. მათ რამდენიმე თვის წინ ძალიან გამაბრაზეს, მაგრამ ამ შეხვედრას რევანშის შესაძლებლობად არ განვიხილავ. ჩემი აზრით, ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი გუნდისთვის, ასევე ჩემი კარიერისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ამჯერად ოლიმპიადის ფინალზე რთული მატჩი გველის, რადგან მათ ახლა უფრო მეტი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ,“* - განაცხადა **ტიაგო სილვამ.**

*„ვფიქრობ, ბოლო პერიოდში საკმაოდ კარგად ვთამაშობთ, უბრალოდ, მნიშვნელოვანია, რომ სიმშვიდე შევინარჩუნოთ. შრომა აუცილებლად დაგვიფასდება და ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რომ კვლავ 100 პროცენტით დავიხარჯოთ. ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ და ბრაზილიასთან შესახვედრად ვემზადებით. ეს მატჩი იტალიასთან გამართულ შეხვედრაზე რთული იქნება,“* - ეს უკვე **ფრანსისკო როდრიგესის**, იმავე მასას, სიტყვებია.

## ძაკერონის სამშობლოს დამარცხება სურს

იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალბერტო ძაკერონი** თანამემამულეებს დაუპირისპირდება. „მილანის“, „ლაციოს“ და „ინტერის“ ყოფილი მწვრთნელი, რომელიც „სამურაებს“ 2010 წლიდან წვრთნის, სამი ქულის ასაღებად ყველაფერს გააკეთებს. მისმა გუნდმა პირველ ტურში წააგო და მეორე მარცხი, დიდი ალბათობით, გავარდნის ტოლფასი იქნება.

ამ გუნდებს ისტორიაში სულ ერთხელ, 2001 წელს ამხანაგურად აქვთ ნათამაშები. 12 წლის წინ გამართული ის მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა (გოლები: **იანაგისავა** და **დონი**). აღსანიშნავია, რომ მაშინდელ შეხვედრაში მონაწილეობდა ერთი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მინდორზე დღესაც გავა. საუბარი, რა თქმა უნდა, **ჯანლუიჯი ბუფონზე** გვაქვს, ვინც ეროვნული გუნდის ფორმას 130-ედ მოირგებს.

**კომენტარები**

*„იაპონიას მცირე უპირატესობა აქვს, რადგან მათ ერთი დღით მეტი დაისვენეს. გარდა ამისა, ალბერტო ჩვენ ძალიან კარგად გვიცნობს და მან იცის როგორ ვმუშაობთ. ვეღი, რომ ის ხაფანგს მოგვიმზადებს, მაგრამ ჩვენ ამისთვის მზად ვიქნებით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ წინააღმდეგ საინტერესო სტრატეგიას მოიფიქრებს,“* - განაცხადა იტალიელთა დამრიგებელმა **ჩეზარე პრანდელიმ** *„პირლო? ის გუნდის ტვინია. საოცარი ფეხბურთელი. თავიდანვე წნეხში უნდა მოვაქციოთ, თორემ პრობლემები შეგვექმნება. იტალიას დიდებული გუნდი ჰყავს, რომელიც საოცრად ორგანიზებულია, მათი დაცვა კი პრაქტიკულად გაუვალი,“* - ეს იაპონელთა ნახევარმცველის, **მაკოტო ჰასებეს** სიტყვებია.

ურუგვაის ნაკრები

# სუარესი: ჩვენ დავბრუნდებით

ურუგვაიმ კონფედერაციის თასი მარცხით დაიწყო, თუმცა გუნდის თამაშში აშკარად შეინიშნებოდა პოზიტიური მომენტები. ესპანეთთან გამართული შეხვედრის მეორე ნახევარში „სელესტემ“ მოუმატა, ბოლოსკენ გოლიც გაიტანა და მინიმალური ანგარიშით წააგო (1:2) იმ გუნდთან, რომელიც ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

*„ესპანელებს 10-ჯერ რომ ვეთამაშოთ, ნორმალურ ვითარებაში, ისინი 9 მატჩს მოგვიგებენ,“* - განაცხადა ესპანეთთან მატჩის წინ ურუგვაელთა დამრიგებელმა **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა** და ამ ფრაზის ფონზე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ურუგვაელები პირველი მატჩის შემდეგ დიდად არ დაღონებულან და მომდევნო შეხვედრების წინ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

*„ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ესპანეთი უკეთესი გუნდი იყო. გარდა იმისა, რომ ისინი ბურთს საოცრად აკონტროლებენ, რის გამოც მთელი თამაში უბურთოდ გიწევს სირბილი, მათ ნახევარდაცვაში გამოცდილი და ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. ესპანეთი ფავორიტი გახლდათ და შეხვედრის საბოლოო შედეგი გასაკვირი ნამდვილად არ იყო,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ ლუის სუარესმა.


ლუის სუარესი

სამხრეთამერიკელთა მარცხი გასაკვირი არ იყო იმ ადამიანებისთვისაც, ვინც იციან, რომ ურუგვაი ბოლო პერიოდში ცუდად თამაშობს და შესარჩევი ეტაპის მეხუთე ადგილზე იმყოფება. ვენესუელასთან 11 ივნისს გამართულ მატჩამდე, საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო 6 შეხვედრაში ტაბარესის გუნდს მხოლოდ 2 ქულა ჰქონდა აღებული. მიუხედავად არცთუ ისე სასიამოვნო მდგომარეობისა, 26 წლის სუარესი მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„კონფედერაციის თასზე ასპარეზობა მხოლოდ ახლა დავიწყეთ, წინ კიდევ ორი მატჩი გვაქვს და თუ მათ მოვიგებთ, მომდევნო ეტაპზეც გავალთ. შესარჩევ ეტაპს რაც შეეხება: გაიხსენეთ როგორ გავედით 2010 წლის მუნდიალზე და ჩვენი გამარჯვება ვენესუელასთან. ურუგვაი განსაკუთრებით ძლიერი რთულ სიტუაციაშია და დარჩენილ შეხვედრებში ჩვენ საუკეთესო თვისებებს წარმოვაჩენთ“.*

სუარესმა გვერდი ესპანეთის კარში გატანილ გოლსაც ვერ აუარა, რადგან ბურთი ძალიან ლამაზი, თანაც ისტორიული გამოდგა.

*„გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა, თანაც კარამდე საკმაოდ შორი იყო და კუთხეც არ გახლდათ იდეალური, თუმცა, სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო. გოლი ოდნავ ადრე რომ გაგვეტანა, იქნებ ქულაც აგვეღო“.*

ზემოთ სიტყვა „ისტორიული“ ვახსენეთ: **იკერ კასილიასის** კარში გატანილი ბურთი სუარესისთვის ნაკრებში 33-ე იყო. „ლივერპულის“ ფორვარდი **დიეგო ფორლანს** წამოეწია, რომელიც ურუგვაის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობდა.

*„ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. გოლებით ფორლანს დაეწიო და თანაც ნაკრების ყველა დროის ბომბარდირი იყო, მართლაც განსაკუთრებული რამ გახლავთ,“* - განაცხადა სუარესმა.

ესპანეთთან გამართულ შეხვედრაში, სტადიონზე შეკრებილი ბრაზილიელები ურუგვაის ქომაგობდნენ, რაც ძალიან ბევრ ადამიანს გაუკვირდა, თუმცა მათ შორის სუარესი არ არის: *„ნამდვილად არ გამკვირვებია. მართალია, ჩვენ საფეხბურთო მტრები ვართ, მაგრამ ბრაზილიელებს და ურუგვაელებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ. ბრაზილიაში ბევრ ურუგვაელს უთამაშია. დღეს იქ ფორლანია, ადრე გოდინი და აბრეუ თამაშობდნენ. ჩემი აზრით, პირველ რიგში, გულშემატკივრები კარგი ფეხბურთის სანახავად მოვიდნენ და არა კონკრეტულად რომელიმე გუნდის მხარდასაჭერად“.*

თავისი მინი-ინტერვიუ ლუისმა ოპტიმისტური განცხადებით დაასრულა: *„ურუგვაის ყველა გუნდთან შეუძლია თანაბრად თამაში. ტურნირი მხოლოდ ახლა დაიწყო, წინ დიდი გზაა გასავლელი და ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით“.*

ტაიტის ნაკრები


მარამა ვაირუა (შუაში) და ტაიტელები, ჯონათან ტეჰაუს (17) გოლს აღნიშნავენ

# ტეჰაუს ისტორიული გოლი

ზოგი გოლი გამარჯვებაზე მნიშვნელოვანია. **ჯონათან ტეჰაუს** მიერ ნიგერიის კარში გატანილი თავური სწორედ ასეთი გახლავთ.

ტაიტიმ პირველი, ისტორიული მატჩი 1:6 წააგო, მაგრამ მათ გასწვრივ დაწერილი ერთიანი, იმ ექვს გაშვებულ ბურთზე მნიშვნელოვანია.

*„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავიტანე და საკუთარი სახელი, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, ტაიტის ფეხბურთის ისტორიაში ჩავწერე,* - განაცხადა ჯონათან ტეჰაუმ და დაამატა - *გოლის შემდეგ გონება დამიბნელდა. ერთადერთი, რაზეც ვფიქრობდი, იყო ის, რომ მეგობრებთან ერთად სათანადოდ უნდა მეზეიმა“.*

ტეჰაუ ძალიან გახარებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა 1:6 წააგო, მან კი, გოლის გატანის შემდეგ, საკუთარ კარშიც გაიტანა. *„მოდით, ეს ფაქტი დავივიწყოთ,“* - იხუმრა ტაიტელთა გმირმა.

გოლის შემდეგ ხანგრძლივი ზეიმი დაიწყო - ტაიტელი ფეხბურთელები კანოეს მართვის იმიტაციას აკეთებდნენ, ასე კი გოლებს **მარამა ვაირუა**, ნაკრების ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი აღნიშნავს. საფრანგეთის ჩემპიონატში გატარებული 14 სეზონის განმავლობაში, ვაირუას ასე გოლი 91-ჯერ აღუნიშნავს.

*„გოლის ასე აღნიშვნაზე საავტორო უფლებებს ნამდვილად არ ვფლობ, ის მთელ გუნდს და მთელ ქვეყანას ეკუთვნის,“* - აღნიშნა ვაირუამ, ვინც ტეჰაუს საგოლე პასი გაუკეთა.

ისევ ვაირუა: *„ეს ყველაფერი უბრალოდ კარგ იდეად მოგვეჩვენა. მეგობრებმა ამისგან სიამოვნება მიიღეს - მათ გაიგეს, თუ რა შეგრძნებაა, როდესაც უამრავი ქომაგის და მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე გოლი გაგაქვს. ეს უბრალოდ ძალიან ლამაზი მომენტი იყო და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გოლი მე გამეტანოს“.*

*„ჩვენ გოლი კი გავიტანეთ, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და მთელი გულით ვითამაშეთ. გვინდა მსოფლიომ ასეთ გუნდად დაგვიმახსოვროს,“* - განაცხადა ტაიტის სარეზერვო კიპერმა **მიკაელ როშმა.**

ტაიტელთა მომდევნო მეტოქე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრებია. მატჩი ლეგენდარულ „მარაკანაზე“ უნდა გაიმართოს.

პროტესტი

# ბრაზილიაში უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება

ბრაზილიაში უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან იზრდება. გუშინაც მოგახსენეთ, რომ ქვეყნის რამდენიმე დიდ ქალაქში, ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოვიდა. დემონსტრანტები მთავრობის მიერ კონფედერაციის თასის ორგანიზებისთვის დახარჯულ მილიარდებს და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაძვირებას აპროტესტებდნენ. ამჯერად, გარეთ გაცილებით მეტი ადამიანი გამოვიდა. სან პაულოში 30 000-მდე ადამიანმა საპროტესტო მსვლელობა მოაწყო.

*„მე აქ იმისთვის მოვედი, რომ მსურს ბრაზილიამ გამოიღვიძოს. ამ პროტესტის მიზეზი მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირება არ არის. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ კონფედერაციის თასის გამო, ჯანდაცვისა და განათლებისთვის გამოყოფილი თანხები შემცირეს,“* - განაცხადა ერთ-ერთმა დემონსტრანტმა.

პოლიციის მონაცემებით, რიო დე ჟანეიროს ქუჩებში 6 000-მდე, ხოლო ქალაქ ბრაზილიაში 5 000-მდე ადამიანი შეგროვდა. ასევე საპროტესტო აქციები გაიმართა ბელუ ორიზონტეში, ფორტალეზაში, სალვადორსა და სხვა ქალაქებში.

კვირას პოლიციამ დაშალა დემონსტრანტები, რომლებიც იტალიისა და მექსიკის მატჩის დაწყებამდე, „მარაკანასთან“ მიახლოებას აპირებდნენ. ბრაზილიელები ასევე უკმაყოფილონი არიან იმ თანხით, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ჩასატარებლად არის გამოყოფილი. საუბარია 15 მილიარდ დოლარზე. დემონსტრანტები ითხოვენ, რომ ანალოგიური სიდიდის თანხა სოციალურ პროგრამებს მოხმარდეს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ევროპის ჩემპიონატი. U 21.




ესპანელთა ტრიუმფის სულისჩამდგმელი ტიაგო ალკანტარა

**იტალია-ესპანეთი 2:4**

**გოლები:** 0:1 ტ. ალკანტარა (6), 1:1 იმობილე (10), 1:2 ტ. ალკანტარა (31), 1:3 ტ. ალკანტარა (38), 1:4 ისკო (65-პენ), 2:4 ბორინი (80)

**იტალია (4-4-2):** ბარდი - დონატი, ბიანკეტი, კალდიროლა, რეჯინი - ფლორენცი (58. ჯაპონარა), როსი, ვერატი, ინსინიე - ბორინი, იმობილე (57. გაბიადინი).

**ესპანეთი (4-3-3):** დე ხეა - მონტონია, ი. მარტინესი, ბარტრა, მორენო - კოკე (86. ნაჩო კამაჩო), ილიარამენდი, ტ. ალკანტარა - ტელიო (70. მუნიაინი), მორატა (80. როდრიგო), ისკო.

ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ისრაელის დედაქალაქ იერუსალიმში წარმატებით დაიცვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. **ხულიენ ლოპეტეგის** გუნდის უპირატესობა იტალიელებზე აშკარა იყო.

**ტიაგო ალკანტარამ ისკოს** და **ალვარო მორატას** შესანიშნავი კომბინაციის შემდეგ თავურით გაიტანა. მალევე იტალიელებმა გაათანაბრეს **ბიანკეტის** 50-მეტრიანი პასით **ჩირო იმობილემ** იხეირა, მან **დავიდ დე ხეას** თავზე გადაუგდო ბურთი. ამის შემდეგ „როხიტას" უპირატესობა იმდენად აშკარა გახდა, რომ სხვანაირად შეუძლებელი იყო - ტიაგომ ტაიმის ბოლომდე შეასრულა ჰეთ-თრიკი, ჯერ თამაშიდან, შემდეგ **ტელიოს** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტით.

65-ე წუთზე იტალიელები **მონტოიას** ეუხეშნენ საჯარიმოში და ყველა კითხვას პასუხი გაეცა - ისკომ 4:1 გახადა (არადა, ალკანტარა ჯერაც მოედანზე იყო). ერთადერთი, რაც იტალიამ მოახერხა, ბორინის გოლი იყო, რომელიც შესანიშნავი კომბინაციის ასეთივე დაგვირგვინება იყო - ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბრაზილია 2014. საკვალიფიკაციო ეტაპი. აზია. ბოლო ტური

# ოთხეული გაირკვა

## იაპონიის შემდეგ, მუნდიალის საგზურები ავსტრალიამ, სამხრეთ კორეამ და ირანმა მოიპოვეს

**A ჯგუფი**

**ს. კორეა-ირანი 0:1**

გოლი: 0:1 გოჩანეჯადი (60)

**უზბეკეთი-ყატარი 5:1**

გოლები: 0:1 აბდულქადირ ილიასი (37), 1:1 ნასიმოვი (60), 2:1 ზოტეევი (72), 3:1 ნასიმოვი (74), 4:1 ახმედოვი (88), 5:1 ბაკაიევი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირანი | 8 | 5 | 1 | 2 | 8-2 | 16 |
| 2. ს. კორეა | 8 | 4 | 2 | 2 | 13-7 | 14 |
| 3. უზბეკეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| 4. ყატარი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-13 | 7 |
| 5. ლიბანი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-12 | 5 |

**B ჯგუფი**

**ავსტრალია-ერაყი 1:0**

გოლი: 1:0 კენედი (83)

**იორდანია-ომანი 1:0**

გოლი: 1:0 იბრაჰიმი (57)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იაპონია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-5 | 17 |
| 2. ავსტრალია | 8 | 3 | 4 | 1 | 12-7 | 13 |
| 3. იორდანია | 8 | 3 | 1 | 4 | 7-16 | 10 |
| 4. ომანი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-10 | 9 |
| 5. ერაყი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-8 | 5 |

აზიაში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დასრულდა და მუნდიალის ფინალური ეტაპის ოთხივე მონაწილე გაირკვა. იაპონიას, რომელმაც საგზური თვის დასაწყისში გაინაღდა, ავსტრალია, სამხრეთ კორეა და ირანი შეუერთდნენ.

ავსტრალიამ **ჯოშუა კენედის** გოლის წყალობით ერაყს მოუგო და ჯგუფში მეორე ადგილი გაინაღდა. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა შესარჩევი ეტაპი არცთუ ისე დამაჯერებლად დაიწყეს, მაგრამ ყველაფერი მათთვის სასიკეთოდ დასრულდა.

გაცილებით დაძაბული ბრძოლა იყო პირველ ჯგუფში, სადაც ორი საგზურისთვის სამხრეთ კორეა, ირანი და უზბეკეთი იბრძოდნენ. ირანელებს კორეაში სულ მცირე, ფრე სჭირდებოდათ, ოღონდ უზბეკეთს დიდი ანგარიშით არ უნდა მოეგო. საბოლოოდ, უზბეკებმა 4-ბურთიანი სხვაობით კი იმარჯვეს, მაგრამ ფეხი არც ირანს დასცდენია - **კარლოს კეიროშის** შეგირდებმა, **რეზა გოჩანეჯადის** გოლის წყალობით, სეულიდან სამი ქულა წამოიღეს და მუნდიალზე თამაშის უფლება მიიღეს. უზბეკებს მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი გოლი დააკლდათ. ახლა, **მირჯალოლ კასიმოვის** შეგირდები საგზურის მოპოვებას პლეი ოფიდან ეცდებიან.

**ტატო ბაციკაძე**




ამბები

### რეალი რონალდოს 5 წლიწადში 155 მილიონ ევროს ჰპირდება

GOAL.COM-ის ინფორმაციით, **კრიშტიანო რონალდო** ახლოსაა მადრიდის „რეალთან" ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირიანი კონტრაქტი გააფორმოს.

ჯამში, კონტრაქტით რონალდო 155 მილიონ ევროს მიიღებს. პორტუგალიელს ანგარიშზე გადასახადების გადახდის შემდეგ სეზონში 15 მილიონი ევრო ჩაერიცხება.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ რონალდომ უარყო, თითქოს, მან უკვე მიაღწია შეთანხმებას კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე.

ესპანური კანონებით, ვისი ხელფასიც ასე მაღალია, ის გადასახადის სახით 52%-ს იხდის. იმისთვის, რომ პორტუგალიელს სუფთა ხელფასი 15 მილიონი ერგოს წელიწადში, მადრიდულმა კლუბმა 31 მილიონი უნდა დაუნიშნოს.

### ლენსი დინამოელია

ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი, **ჯერმეინ ლენსი** კარიერას კიევის „დინამოში" გააგრძელებს.

უკრაინულმა კლუბმა მიაღწია შეთანხმებას „პსვ ეინდჰოვენთან" და 25 წლის შემტევი ნახევარმცველი უკვე დინამოელია.

კონტრაქტი, რომლის შესახებაც ოფიციალურად უახლოეს საათებში გამოცხადდება, 4-წლიანია.

ჰოლანდიის ნაკრებში ლენსმა 13 თამაშში 6 გოლი გაიტანა.

### მესის საქმეზე პროკურატურა 2010-2012 წლებითაც დაინტერესდა

როგორც ჩანს, **ლეო მესი** და მისი მამა ასე იოლად ვერ გადაურჩებიან ფინანსურ სკანდალს - პროკურატურა ახლა 2010-12 წლის საგადასახადო დეტალებით დაინტერესდა.

მესისა და მამამისზე ეჭვი აქვთ, რომ 2007-09 წლებში, საერთო ჯამში, სახელმწიფოს 4,1 მილიონი ევრო დაუმალეს.

ცნობილი გახდა დეტალებიც: ლეო მესი და მამამისი ყიდდნენ ფეხბურთელის ფოტოს პროდუქტზე გამოყენების უფლებას სხვადასხვა ფირმებზე, რომლებიც ბელიზში და ურუგვაიშია რეგისტრირებული.

ახლა პროკურატურაში მიაჩნიათ, რომ მათ ასეთივე დანაშაული მომდევნო წლებშიც აქვთ ჩადენილი.

### ტიაგომ და ტიტომ იჩხუბეს?

ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ **ტიაგო ალკანტარა** შეხვდა „ბარსელონას" მთავარ მწვრთნელ **ტიტო ვილანოვას** და მას გუნდიდან გაშვება სთხოვა.

პრესა ირწმუნება, რომ ტიტოსთან ახალგაზრდა ფეხბურთელის საუბარი საკმაოდ გულახდილი და დაძაბული ყოფილა, შედეგი არც ერთ მხარეს არ მოეწონა, ამიტომ ფეხბურთელმა მტკიცედ გადაწყვიტა, დატოვოს „ბარსა".

ამბობენ, რომ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი მადრიდის „რეალს" სურს, თუმცა ამას წინათ, **ფლორენტინო პერესმა** პირობა დადო, რომ „ბარსელონას" ზურგს უკან არ იმოქმედებს.

### ასტონ ვილას ახალწვეულს სამედიცინო შემოწმებისას ჩაეძინა

ქურიოზი შეემთხვა ბირმინგემის „ასტონ ვილას" ახალწვეულ **ყორეს ოკორეს**.

დანიის ნაკრების ცენტრალური მცველი „ნორშელანიდან" გადავიდა „ასტონ ვილაში". ის აუცილებელ სამედიცინო შემოწმებას გადიოდა, როცა ტესტირების დროს... ჩაეძინა.

*„მეგონა ამ შემოწმებას ცოტა დრო სჭირდებოდა, აღმოჩნდა, რომ აპარატში გაუნძრევლად 2 საათი უნდა ვყოფილიყავი. რადიოს ვუსმენდი და მომავალ კარიერაზე ვფიქრობდი, როცა დამეძინა. გამეღვიძა ერთი საათის შემდეგ. ირგვლივ დიდი მხიარულება იყო"*, - იხსენებს ოკორე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



19 ივნისი ოთხშაბათი 2013 11
ქართული სპორტი

ოლიმპიზმი

# ვიზიტი სოკ-ის შტაბბინაში

**ლოზანაში (შვეიცარია) გაიმართა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის (ANOC) რიგგარეშე გენერალური ასამბლეა, რომელსაც საქართველოდან სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი ესწრებოდნენ. გუშინ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ბატონ ლერი ხაბელოვს ვესაუბრეთ.**

- სპორტში და მით უფრო ოლიმპიურ მოძრაობაში ახალი კაცი არ მეთქმის, მაგრამ ისე მოხდა, რომ სოკ-ის შტაბბინაში პირველად ვიყავი ვიზიტით და თანაც სეოკ-ის პრეზიდენტის რანგში. ANOC-ის ხელმძღვანელობა ახლახან შეიცვალა. ამ ოლიმპიურ ინსტიტუტს მრავალი წლის მანძილზე მარიო ვასკეს რანია ედგა სათავეში, გასული წლიდან კი მას შეიხი აჰმად ფაჰად ალ-საბახი (კუვეიტი) ხელმძღვანელობს. საგანგებო ასამბლეაზე მიიღეს ANOC-ის ახალი წესდება, გაიმართა ამ ორგანიზაციის შტაბბინის პრეზენტაცია, რომელიც მეხიკოდან ლოზანაში გადმოიტანეს.

**- რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა ასამბლეაში და რა საკითხები განიხილეს?**



ჟაკ როგი (მარცხნივ) და ლერი ხაბელოვი

- ლოზანაში 201 ქვეყნის ეოკ-ის წარმომადგენლები შევიკრიბეთ. დელეგატებს შორის იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 40-მდე წევრი, 25 საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები და სხვა ხელმძღვანელები. მათ შორის იმ სამი ფედერაციისა (ჭიდაობა, სკვოში, ბეისბოლი), რომელთა სპორტის სახეობების ოლიმპიურ პროგრამაში შეტანის საკითხი სექტემბერში ბუენოს-აირესის სოკ-ის სესიაზე გადაწყდება. ბუნებრივია, ისინი სოკ-ის წევრებთან აქტიურად მუშაობენ მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

გენერალურმა ასამბლეამ მოისმინა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ოლიმპიური თამაშებისთვის: სოჭი (ზამთრის, 2014), ნანჯინგი (ზაფხულის ახალგაზრდული, 2014 წ), რიო დე ჟანეირო (ზაფხულის, 2016 წ), პიონჩანგი (ზამთრის, 2018 წ ) და ლილეჰამერი (ზამთრის ახალგაზრდული, 2016 წ). ასამბლეის წინაშე ანგარიშით წარდგნენ აგრეთვე 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების მასპინძლობაზე კანდიდატი ქალაქების – სტამბოლის, ტოკიოსა და მადრიდის საორგანიზაციო კომიტეტების ხელმძღვანელები.

ლოზანაში ყოფნის პერიოდში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გავმართეთ სოკ-ისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების მესვეურებთან.

მართალია, ჯერ საკმაო დროა, მაგრამ „რიო 2016"-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებთან უკვე შევათანხმეთ სეოკ-ის დელეგაციის ბრაზილიაში სტუმრობის საკითხი. ვფიქრობთ, რომ ასეთი გაცნობითი ხასიათის ვიზიტი ჩვენთვის სასარგებლო იქნება და იგი მომავალ წელს შედგება.

**- ბატონო ლერი, რამდენადაც ვიცით, ჩვენმა დელეგაციამ შეხვედრა სოკ-ის პრეზიდენტთანაც გამართა...**

- დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო სოკ-ის პრეზიდენტს რეზიდენციაში არ ჰქონია შეხვედრა არც ერთი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციასთან და გამონაკლისი მხოლოდ ჩვენ ვიყავით. ხანმოკლე შეხვედრაზე დოქტორმა ჟაკ როგმა სიამოვნებით გაიხსენა თბილისში ვიზიტები, ხაზი გაუსვა ჩვენს სპორტულ მიღწევებს და კიდევ ერთხელ გულისტკივილი გამოთქვა ვანკუვერში ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვის გამო. აღნიშნა, რომ სეოკ-ის ბოლოდროინდელი აქტივობითა და ერთობლივი ძალისხმევით ბაკურიანში ნოდარის სახელობის საციგაო ტრასა აუცილებლად აიგება და წუხილი გამოთქვა, რომ ეს პროექტი მისი პრეზიდენტობის პერიოდში ვერ დამთავრდება, თუმცა მშენებლობას ხელი აღარ შეეშლება.

ჩვენის მხრივ მას მადლობა გადავუხადეთ შეხვედრისა და იმ თანადგომისთვის, რომელსაც იგი ქართული ოლიმპიური მოძრაობის მიმართ წლების მანძილზე იჩენდა. იქვე ბატონი ჟაკ როგი სოკ-ის უმაღლესი ჯილდოთი – ღირსების ოლიმპიური ორდენით დავაჯილდოვეთ და ბაკურიანში ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასის გახსნაზე მოვიპატიჟეთ.

**- ალბათ მსოფლიო ოლიმპიური ოჯახის სხვა მაღალჩინოსნებთანაც გექნებოდათ შეხვედრები...**

- საქმიანი და ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტთან, პატრიკ ჰიკთან, აღმასკომის წევრებთან, EOYF-ის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე გვიდო დე ბონდთან და „თბილისი-2015"-ის სადამკვირვებლო კომისიის თავმჯდომარე ჟოზეფ ლიბასთან. გამოითქვა კმაყოფილება, რომ კარგი ტემპით მიმდინარეობს ოლიმპიური სოფლის მშენებლობა და თუ ის დროულად და პროექტის მიხედვით დამთავრდება – ფესტივალების ისტორიაში თბილისში იქნება საუკეთესო ოლიმპიური სოფელი. ამასთან გამოითქვა რეკომენდაციები და სურვილები ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის, აპარატის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების აუცილებლობაზე, 2013 წლის ივლისში ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში ახალგაზრდულ ფესტივალზე დამკვირვებელთა მეშვეობით გამოცდილების ეფექტურად გამოყენების, განსაკუთრებით სპორტის სახეობათა მიხედვით, საკითხებზე. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ უცხოეთში მივლენილ იქნას კვალიფიციური და კარგად განსწავლული პიროვნებები. გამოითქვა რწმენა, რომ EOC-ის სადამკვირვებლო კომისიის ვიზიტის დროს თბილისში (სექტემბრის ბოლო – ოქტომბრის დასაწყისი) მიღწეულ იქნება მნიშვნელოვანი პროგრესი ფესტივალისთვის მზადების საქმეში და „თბილისი-2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტი ღირსეულად წარდგება ნოემბერში რომში გასამართ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე ფესტივალისათვის მზადების პრეზენტაცია-ანგარიშით.

სოკ-ში შედგა სეოკ-ის ხელმძღვანელობის შეხვედრა ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორ პერე მიროსთან და მის მოადგილე პამელა ვაიპონდთან. საუბარი შეეხო ოლიმპიური პროგრამების კიდევ უფრო ეფექტურად გამოყენების საკითხებს. პერე მირომ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სეოკთან ურთიერთობა ტრადიციულად იყო და არის საქმიანი.

**- დაბოლოს ჭიდაობაზეც გკითხავთ. როგორ ემზადება FILA სოკ-ის სექტემბრის სესიისთვის?**

- ფედერაციის პრეზიდენტის ნენად ლალოვიჩის მიწვევით FILA-ს შტაბბინაშიც გახლდით. ლალოვიჩმა გვიამბო იმ მუშაობის შესახებ, რომელიც FILA-ს ახალმა ხელმძღვანელობამ ამ კუთხით ჩაატარა და დღესაც ატარებს სოკ-ის წევრებთან. რამდენიმე თვეში ბუენოს-აირესში გასამართ სოკ-ის სესიის წინ FILA-ს პრეზიდენტი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი.

**კახა ბერიძე**

კალათბურთი. ერთი-ერთზე

# ჯერ რაბათის, შემდეგ ალკატრასის ციხე

თბილისში, საბავშვო ქალაქ „მზიურში" გაიმართა შესარჩევი ტურნირი ერთი-ერთზე კალათბურთში. შეჯიბრება მსოფლიოს მასშტაბით ასეთი სახელწოდებითაა ცნობილი: Red Bull King of The Rock. იგი საქართველოშიც „რედ ბულის" ინიციატივით იმართება. შეგახსენებთ, რომ შარშან ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული **ვატო თევზაძე** ამერიკაში, ალკატრასის ციხეში, ფინალურ ეტაპზე გაემგზავრა.

- თბილისში გასამართ ტურნირში მონაწილეობაზე განაცხადი 220-მა კალათბურთელმა გააკეთა, - გვითხრა საქართველოში „რედ ბულის" წარმომადგენელმა **ბექა გოლეთიანმა**, - რომელთაგან „მზიურში" 200-მდე შეიკრიბა და საუკეთესო 56 გამოვლინდა. მათ დაემატნენ განთესილები და საბოლოოდ, ფინალისთვის 64 მოთამაშე შეიკრიბა.

ფინალური შეჯიბრება ახალციხეში, რაბათის ციხეში 22 ივნისს გაიმართება. მასში სხვა კალათბურთელებთან ერთად სუპერლიგის წარმომადგენლებიც ითამაშებენ: **ვახტანგ ქადარია, ირაკლი ჩლაიძე, ვატო თევზაძე, დავით ბარბაქაძე, რევაზ ათანელიშვილი, ვანო აბულაძე, მიხეილ ჭოჭუა...**

**ვაჟა სიმონიშვილი**



კალათბურთი.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# ღია კარი იტალიამდე



| მოთამაშე | პოზიცია | სიმაღლე | გუნდი (2012-13) |
|---|---|---|---|
| ოთარ ფხაკაძე | უკანახაზელი | 183 | ვერმონტი, NCAA, აშშ |
| რევაზ როგავა | უკანახაზელი | 185 | შსს-აკადემია |
| ნოდარ გოგოძე | უკანახაზელი | 190 | ოლიმპი |
| ირაკლი მიქელაძე | უკანახაზელი | 180 | ოლიმპი |
| ნიკა რამიშვილი | უკანახაზელი | 180 | ბათუმი |
| ლევან გრძელიძე | უკანახაზელი | 190 | ქუთაისი |
| გიორგი ორმოცაძე | ფორვარდი | 193 | დინამო |
| კახა ჯინჭარაძე | ფორვარდი | 193 | სოხუმი |
| გიორგი ცირეკიძე | ფორვარდი, ცენტრი | 202 | ოლიმპი |
| ლერი კვანტალიანი | ფორვარდი | 203 | შსს-აკადემია |
| შოთა გელაზონია | ცენტრი | 205 | დინამო |
| თემურ ფხაკაძე | ცენტრი | 201 | ოლიმპი |
| ბექა ბურჯანაძე | ფორვარდი | 202 | კახასოლი, ესპანეთი |

| სამწვრთნელო შტაბი | |
|---|---|
| დავით უსტიაშვილი | მთავარი მწვრთნელი |
| არჩილ ჟღენტი | მწვრთნელის ასისტენტი |
| გელა წულაძე | გუნდის უფროსი |
| შალვა ონიანი | მენეჯერი |
| ზურაბ იოსელიანი | ექიმი |



სპორტის სამინისტროს დარბაზში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების ვარჯიშს მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ახალგაზრდებისადმი ყურადღება იმით იყო განპირობებული, რომ მათ მალე იტალიაში სერიოზული გამოცდა ელით. აი, რას ვკითხულობთ ფედერაციის ოფიციალურ პრეს-რელიზში:

„საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მზადების ფარგლებში იტალიაში მიემგზავრება. **დავით უსტიაშვილის** გაწვრთნილი გუნდი აპენინებზე 2 საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. 21-23 ივნისს ქართველები ქალაქ სანტ-ანჯელოში რუსეთის, გერმანიისა და იტალიის ნაკრებებთან ერთად ოთხთა ტურნირში იასპარეზებენ.

მეორე საერთაშორისო ტურნირი 28-30 ივნისს დომეჯი დი კადორეში გაიმართება, სადაც საქართველოსა და იტალიის ნაკრებებთან ერთად უკრაინისა და ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრებები ითამაშებენ.

20-წლამდელთა გუნდი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს შორის ერთადერთია, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობს. 9-დან 21 ივლისის ჩათვლით დავით უსტიაშვილის შეგირდები ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ევროპის პირველობაზე ითამაშებენ. ჯგუფში ქართველების მეტოქეები საბერძნეთი, გერმანია, ლიტვა და სერბეთი იქნებიან."

ცნობილია მატჩების განრიგიც: სანტ-ანჯელოს ტურნირზე ქართველები პირველ შეხვედრას მასპინძელ იტალიელებთან 21 ივნისს გამართავენ, მეორე დღეს რუსებს დაუპირისპირდებიან, ბოლოს კი გერმანელებს. სხვათა შორის, ალემანები ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების მეტოქეები არიან. რაც შეეხება დომეჯი დი კადორეში გასამართ შეჯიბრებას, იქ უკრაინით ვიწყებთ (28 ივნისს), 29-ში იტალიას დავუპირისპირდებით, ხოლო შეჯიბრების ბოლო დღეს ბულგარელებთან ვიპაექრებთ.

იტალიიდან საქართველოში დაბრუნებული ნაკრები ესტონეთისთვის მზადებას თბილისში განაგრძობს, რის შემდეგაც, 7 ივლისს ტალინში გაფრინდება.

გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ 20-წლამდელთა თავკაც დავით უსტიაშვილს.

- „დინამოს" ბაზაზე 11-დღიანი შეკრება გავიარეთ. ვვარიშობდით ფიზმომზადებაშიც და ბურთთანაც. ჩვენი მიზანია ნაკრებმა ოპტიმალურ კონდიციებს ივლისის დასაწყისისთვის მიაღწიოს, რაშიც ძალიან დაგვეხმარება იტალიაში გასამართი ორი შეჯიბრება.

**- გუნდში ტრავმიანობა ხომ არ არის?**

- მცირე ტრავმები ჰქონდათ ოთარ ფხაკაძესა და გიორგი ორმოცაძეს, თუმცა სადღეისოდ მწყობრში არიან. კოჭი გადაუბრუნდა ლერი კვანტალიანს. ექიმის თქმით, დაზიანება სერიოზული არ არის და მალე ისიც სრული დატვირთვით ვარჯიშს შეუდგება.

**- თუ სხვა დროს ახალგაზრდულ ნაკრებში 210 სმ-ს მიახლოებული კალათბურთელები თამაშობდნენ, წლეულს ფარქვეშ საქმე დალხენილად არ უნდა გვქონდეს.**

- ამ მხრივ მართლაც არ არის სახარბიელო სიტუაცია, თუმცა ვეცდებით არსებული რესურსით მაქსიმუმი ვუჩვენოთ. ყველაზე მაღალი წევრი 205 სმ სიმაღლისაა...

**- ბექა ბურჯანაძეს რა პოზიციაზე გაამწესებთ?**

- ისევე როგორც შარშან, მძიმე ფორვარდად დაგვჭირდება. ბექას შეუძლია თამაში როგორც ფარქვეშ, ასევე პერიმეტრზე. დანარჩენს უშუალოდ შეხვედრები გვიჩვენებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ბიატლი



# ცურვისა და რბენის ჯამით

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით პირველად გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბიატლში, რომელსაც აპრილში თბილისის ღია შეჯიბრება უსწრებდა. ამჯერად სამ ასაკში საასპარეზოდ 110-მა გოგონამ და ვაჟმა მოიყარა თავი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს სიამოვნებით შეხვდნენ ევროპული ტრიატლონის ოჯახში, რომლის ივნისის კონგრესს პირველად დაესწრო ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ვიაჩესლავ მალიშევი.**

ბიატლის ეროვნულმა ჩემპიონატმა სტარტი გლდანის საცურაო აუზში აიღო და „ვარდების რევოლუციის" პარკში დაასრულა. სპორტსმენები ორ დისციპლინაში - ცურვასა და რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულები და პრიზიორები, რომლებიც მედლებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ, საერთაშორისო ჰანდიკაპის სისტემით გამოავლინეს (ცურვის შედეგების გადაანგარიშებით დგინდება რბენის სტარტის დრო).

**ვიაჩესლავ მალიშევი:** "ჩემპიონატის შედეგებით კმაყოფილი ვარ. უპირველესად, აღსანიშნავია მონაწილეთა სიმრავლე - 110 ახალგაზრდა, რაც ლონისძიების მასობრიობაზეც მეტყველებს. ათლეტებმა კარგად იასპარეზეს ცურვაში. ასეთი შედეგებით ევროპის ჩემპიონატის ხუთეულში მოხვედრაც შეუძლიათ, რბენაში კი მოიკოჭლებენ. მწვრთნელებმა და შეგირდებმა ამ მიმართულებით მეტი უნდა იმუშაონ"...

**ნანი ჭუმბაძე,** მწვრთნელი, ყოფილი ხუთჭიდელი, საბჭოთა კავშირის ექსრეკორდსმენი გულაღმა ცურვაში: "ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული. პირველი ქართველი ქალი ვარ ამ სპორტულ დისციპლინაში, მაგრამ მხოლოდ ექსრეკორდსმენის სტატუსი შემომრჩა, რადგან თინათინ ლეკვეიშვილმა გააუმჯობესა ჩემი მიღწევა. ახლა პატარებს ვავარჯიშებ და ვცდილობ, მათ გადავცე მთელი ცოდნა და გამოცდილება. იმის მიუხედავად, რომ ცოტა დრო გვქონდა მოსამზადებლად, ვფიქრობ, ახალგაზრდებმა კარგად გაართვეს თავი სირთულეს. მომავალ ტურნირებში ბევრად უკეთესი შედეგები გვექნება".

**ელენე უნდილაშვილი:** "მსგავს შეჯიბრებაში მეორედ ვიასპარეზე. მიხარია, რომ ორჯერვე კვარცხლბეკზე ავედი. მადლობა მწვრთნელებს - ნანი ჭუმბაძესა და მანანა ზამბახიძეს. ჩემი წარმატება მათი გარჯის შედეგიცაა".

### კვარცხლბეკი

**2000-2004 წ.წ. დაბადებულნი**

**ვაჟები.** 1. რატი კერვალიშვილი („ტონუსი", **ცურვა** - 1.08,48, **რბენა** - 4.06,00, **ჯამური ქულა** - 1873), 2. გიორგი ბახუტაშვილი (რუსთავი, 1.08,62 - 4.08,00 - 1865).

**გოგონები:** 1. ნატალია ჯაფარიძე („ტონუსი", 1.11,47 - 4.40,00 - 1875), 2. ნათია მაჭავარიანი (საჩხერე, 1.21,53 - 4.42,00 - 1777), 3. ელენე ბერაია („ლაგუნა-ვერე", 1.08,61 - 4.48,00 - 1870).

**1998-1999 წ.წ. დაბადებულნი**

**ვაჟები.** 1. აკაკი ვაშაკიძე („ტონუსი", 1.59,59 - 9.04,00 - 1752), 2. ჯუდურ ბიჭიკაშვილი (რუსთავი, 2.12,03 - 9.31,00 - 1492), 3. დავით ბოკერია („ტონუსი", 2.22,66 - 9.59,00 - 1252).

**გოგონები:** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 2.31,03 - 9.49,00 - 1312), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 2.36,95 - 11.26,00 - 916).

**1995-1997 წ.წ. დაბადებულნი**

**ვაჟები.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა-ვერე", 1.54,50 - 8.19.00 - 2004), 2. დავით შახნაზაროვი (თბილისი, 2.04,37 - 8.35,00 - 1808), 3. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 2.05,89 - 8.56,00 - 1704).

**გოგონები.** 1. ელენე უნდილაშვილი (დილომი, 2.33,42 - 10.02,00 - 1232), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 2.48,47 - 10.26 - 836), 3. ქეთევან ცომაია („ნეპტუნი", 2.54,35 - 11.28,00 - 708).

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი.

# აკადემიას დუბლი

| 18 ივნისი | |
|---|---|
| **ფინალი** | |
| **ჰიუნდაი-აკადემია** | **43:65** |

15:10, 5:14, 13:19, 10:22

**ჰიუნდაი:** ბ. ფეიქრიშვილი (24), დ. ქავთარაძე (17), დ. გოგაძე (2)...

**აკადემია:** მ. ზურაბაშვილი (30), რ. ანდრონიკაშვილი (19), ლ. მიქელაძე (5)...

| მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| **ორბი-გორი** | **50:30** |

7:10, 11:2, 21:12, 11:6

**ორბი:** გ. გორგაძე (18), ნ. ნიკოლაიშვილი (14)...

**გორი:** ვ. ქურდაძე (14), ვ. თავაქარაშვილი (8)...

| 17 ივნისი | |
|---|---|
| **ნახევარფინალი** | |
| **ჰიუნდაი-ორბი** | **43:35** |

9:4, 13:13, 13:6, 8:12

**ჰიუნდაი:** ფეიქრიშვილი (24)...

**ორბი:** ნიკოლაიშვილი (14)...

| **აკადემია-გორი** | **65:30** |
|---|---|

24:7, 11:8, 12:11, 18:4

**აკადემია:** ზურაბაშვილი (22ქ)...

**გორი:** თავაქარაშვილი (9ქ)...

„აკადემიამ" დუბლი შეასრულა. **ალექსი ჯაფარიძისა და ირაკლი ტომარაძის** გაწვრთნილმა გუნდმა 2001-წლიანებში მოგებულ თბილისის ჩემპიონატს საქართველოს პირველობაც მოაყოლა. „აკადემიამ" ფინალურ მატჩში „ჰიუნდაის" დამაჯერებლად - 65:43 მოუგო და 12-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.



სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირისა და კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ თბილისის მინისაკალათბურთო ფესტივალის ფინალში: 4 ივნისს გამართულ შეხვედრაში „აკადემიამ" 49:39 დაამარცხა „ჰიუნდაი" და დედაქალაქის საუკეთესო გუნდის ტიტული მოიპოვა. დღეს კი ეს გუნდები უკვე საქართველოს ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ.

შეხვედრის პირველი ტაიმი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველ მეოთხედში „ჰიუნდაიმ" **დაჩი ფეიქრიშვილის** აქტიურობით ლიდერობა მოიპოვა და საწყისი 8-წუთეული (მინიკალათბურთში მეოთხედი 8 წუთს გრძელდება) 15:10 მოიგო. თხუთმეტივე ქულა ფეიქრიშვილმა ჩააგდო.

წესების თანახმად, მეორე პერიოდში ის მოთამაშეები ველარ გადიან მოედანზე, რომლებმაც პირველში ითამაშეს. აკადემიელთა მეორე ხუთეული „ჰიუნდაიზე" გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა. **რატი ანდრონიკაშვილმა** მეტოქის დამცველები ინდივიდუალურობის ხარჯზე დაჯაბნა და მეორე პერიოდში 14 ქულა ჩააგდო - „აკადემიამ" კი 8-წუთეული 14:5 მოიგო და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

მესამე მეოთხედში გუნდებს ნება დაერთოთ გაერთიანებული ხუთეულებით ეთამაშათ - ანუ მოედანზე ნებისმიერი კალათბურთელი გაეყვანათ. ფიცარნაგს დაუბრუნდა ჰიუნდაელი ფეიქრიშვილი, მაგრამ ის ისეთივე შედეგიანი აღარ იყო, როგორიც პირველ მეოთხედში. „აკადემიამ" მესამე პერიოდი 19:13 მოიგო, საბოლოოდ კი 22 ქულის სხვაობით - 65:43 გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მატჩის ბომბარდირი 30 ქულით **მიხეილ ზურაბაშვილი** იყო.

ტურნირზე პლეი ოფში გასული 8 გუნდის 2-2 გამორჩეული მოთამაშე კალათბურთის ფედერაციისგან ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურებით დაჯილდოვდა. ფინალის მონაწილეებს მედლები, დიპლომები, სიგელები და ნაკრების წევრთა მაისურები სუპერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი ზაბახიძემ** და მსაჯთა კავშირის პრეზიდენტმა **როლანდ ხომერიკმა** გადასცეს.

მე-3 ადგილისთვის მატჩში „ორბმა" 50:30 დაამარცხა „გორი" და ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონა.

გთავაზობთ იმ მოთამაშეთა სიას, რომლებიც ჩემპიონატში გამორჩეულნი იყვნენ და ორგანიზატორებისგან ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურები გადაეცათ:

2001 წელს დაბადებულთა ჩემპიონატი

**დინამო**
ირაკლი სულხანიშვილი
გიორგი წირღვავა

**სოხუმი**
ნიკა გიორგაძე
ირაკლი ზაქარეიშვილი

**გორი**
ვოვა თავაქარაშვილი
ვახტანგ ქურდაძე

**ჰიუნდაი**
ბიძინა ფეიქრიშვილი
დაჩი ქავთარაძე

**მართვე**
სანდრო მთვარაძე
რომან კოხრეიძე

**აკადემია**
რატი ანდრონიკაშვილი
მიხეილ ზურაბაშვილი

**რუსთავი**
ზურაბი ნოზაძე
გიგი ტაბაღუა

**ორბი**
ნიკა ნიკოლაიშვილი
გაბრიელ გორგაძე

gbf.ge



[illegible] მოთქვამენ ჩვენი ფალავნების უმაღლესი წარმატებების თანამოზიარის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერის, ბრწყინვალე ინტელიგენტის, პროფესორ

** გურამ რატიშვილის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

ძიუდო. ევროპის თასი ჭაბუკებში

# ჭაბუკების უნგრული მარში

საქართველოს ჭაბუკთა უმცროსი ასაკის ნაკრები დიდი წარმატებით გამოვიდა უნგრულ დიორში ჩატარებულ 15-წლამდელთა ევროპის თასზე. **თამაზ კარიაულმა, გიგა ბოჭოიძემ, ნესტორ ხერგიანმა** და **დავით თევდორაძემ** უნგრეთში 14 მონაწილე წაიყვანეს (მათ შორის - გოგოებიც), რომელთაგანაც 13-მა მედალი მოიპოვა, ერთი კი მეხუთეზე გავიდა ანუ ბრინჯაოსთვის პაექრობა დათმო. ჩვენებურთა საერთო მონაგარი ბრინჯაოა. აქედან 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო გოგოების მოპოვებულია. ტურნირის გამარჯვებულები **ნიკოლოზ კობაიძე** (40), **შათირ შერაზადიშვილი** (66), **ოთარ გოგიძე** (73) და **ამირან წიქორიძე** (+81) გახდნენ. **ალექსანდრე მამიაშვილი** (50), **ალექსანდრე სულაკაძე** (60), **ნატა ყიფშიძე** (40) და **ეთერ ლიპარტელიანი** (52) მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი **გიორგი თუთაშვილი** (40), **გიორგი მღებრიშვილი** (45), **ნუგზარ ტაბლიაშვილი** (55), **ნინო მგელაძე** (48) და **სალომე მჭედლიშვილი** (63) გავიდნენ. უმედლოდ მხოლოდ **მარიამ თოდუა** (44) დარჩა, თუმცა მასაც ერთი მოგება დააკლდა კვარცხლბეკამდე.

ეს ის ასაკია, რომელმაც 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იასპარეზოს. იმ შეჯიბრებისთვის მოზარდები საგანგებო პროგრამით ემზადებიან და მისასალმებელია მათი ასეთი კარგი გამოსვლა. მით უფრო, რომ ტურნირი ფრიად წარმომადგენლობითი და ძალზე ძლიერი იყო.

**ირაკლი თავაძე**

სამბო. საქართველოს ნაკრები. ინტერვიუ ჯონდო მუზაშვილთან



- ვერ წარმომედგინა, თუ შინ ოქროს მედლის გარეშე დავბრუნდებოდით. მეტიც, რამდენიმე ფალავნისგან ველოდი ჩემპიონობას. გულდასაწყვეტია, რომ სამი ფინალური პაექრობა წააგეს ჩვენმა სამბისტებმა. განსაკუთრებით ვახტანგ ჩიდრაშვილის (57 კგ) მარცხი უნდა ალვნიშნო. იგი შეხვედრას იგებდა, ბოლო წამებში გადაწყვიტა დროის გაყვანა და მოწინააღმდეგის (ბელორუსი არიფ ბაგიროვი) ილეთზე მოჰყვა. ნოდარ მეტრეველმა (+100 კგ) კი ფინალამდე მართლაც უძლიერეს და ტიტულოვან რუს და ბელორუს სამბისტებს დამაჯერებლად მოუგო, მეტრეველი ფინალს ბულგარელ ილიევთანაც იგებდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. ნიკო კუციას (82 კგ) ოქროს მედლის გარეშე დარჩენა კი დიდწილად მსაჯების სინდისზეა. მისი მეტოქე რუსი პოლიანსკოვი იყო. მოგეხსენებათ ჩვენამდე ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა გუნდური შედეგით აჯობა რუსეთს და უფროსებში იმავეს აღარ შეკრებებზე ისეთ ქვეყნებში, სადაც ეს სახეობა უმაღლეს დონეზეა განვითარებული და შედეგსაც სასურველს იღებს. იგივე ჩვენც რომ შეგვეძლოს, შედეგები უკეთესი გვექნებოდა უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებზე. წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ვგეგმავთ მინსკში ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას, რაც უდავოდ წაგვადგება.

**- უმედლოდ დარჩენილთაგან რომლის ხელმოცარვა იყო უფრო დასანანი?**

- პაატა ლვინიაშვილის (90), რომელიც არათუ მედლის, პირდაპირ ჩემპიონობის კანდიდატი გახლდათ. იგი ძალიან კარგ ფორმაში შეხვდა კონტინენტის ჩემპიონატს. პაატა ფინალში გადასვლელში უმნიშვნელო უპირატესობით დამარცხდა რუს რუმიანცევთან, რომელიც შემდეგ ოქროს მედალს დაეუფლა. სამწუხაროდ, ამ მარცხის გამო ფსიქოლოგიურად ველარ განეწყო ბრინჯაოს მედლისთვის საბრძოლველად და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა.

# ოქროს გარეშე დარჩენა ვერ წარმომედგინა

## ექვსი მედალი ევროპიდან

საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ქალაქ კრემაში სამ - სამი ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ვახტაგ ჩიდრაშვილმა** (57), **ნიკო კუციამ** (82), **ნოდარ მეტრეველმა** (+100), ბრინჯაოსი **უშანგი კუზანაშვილმა** (62), **კახა მამულაშვილმა** (74), **ლაშა გურულმა** (100). ქართველი სამბისტებისგან წარმატებებს მიჩვეული ვართ და მათგან მედლები ამ შეჯიბრებაზეც მოსალოდნელი იყო. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჯონდო მუზაშვილმა** ეს მოლოდინი კონტინენტის ჩემპიონატის წინ „ლელოსთან" ინტერვიუშიც დაადასტურა. მწვრთნელს ამჯერად შედეგების შეფასება ვთხოვეთ.

**- მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე 6 პრიზიორი გაგიხდათ, თუ ელოდით, რომ ოქროს მედლის გარეშე გუნდის დარჩენა შესაძლებელი იყო?**

დაუშვებდნენ. ამასთან, ყველაფრის არბიტრებზე გადაბრალებასაც არ ვცდილობ. სპორტსმენებს აშკარად მეტი შეეძლოთ, ზოგიერთმა ისეთი შეხვედრა დათმო, რომ თავადაც ვერ ხსნიდნენ მიზეზს და არენიდან გამოსულები თვალებში ვერ მიყურებდნენ.

**- ჩემპიონები რომ ვერ გახდნენ უშანგი კუზანაშვილი (62) წონის გამოცვლამ, ნოდარ მეტრეველი კი ტრავმის შემდეგ საშეჯიბრებო პრაქტიკის უქონლობამ ხომ არ დაალალატა?**

- მეტრეველის შემთხვევაში შესაძლოა ასე იყო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, თითქოს საშეჯიბრებო პრაქტიკა ჩვენი ნაკრების სხვა წევრებს ჭარბად ჰქონდათ. სამბოში წამყვანი ქვეყნები რუსეთი და ბელორუსია. ისინი სეზონის განმავლობაში ძალიან ხშირად ატარებენ ერთობლივ ან ამ სახეობაში ძლიერ ქვეყნების ნაკრებებთან ერთად შეკრებებს. დადიან ერთმანეთთან შეჯიბრებებზე. ეს ყოველივე ჩვენ გვაკლია. მაგალითად, ძიუდოს ნაკრები, დადის

წარმოუდგენლად მიმაჩნდა ლევან ნახუცრიშვილის (68) ხელმოცარვა. ის გამოცდილი სამბისტია და თითქმის არსად უმედლოდ არ რჩება, მაგრამ აქ სხვაგვარად მოხდა. საერთოდ, ჩვენებიდან, ვინც უმედლოდ დარჩა, საწყის ეტაპზე არავის წაუგია, ყველა ფინალში გადასასვლელ შეხვედრებში დამარცხდა.

**- მსოფლიოს ჩემპიონატამდე შეკრება უცხოეთში, ან საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა თუ იგეგმება?**

- იგეგმება ერთობლივ წვრთნებზე ჩვენი მონაწილეობა მინსკში. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გროზნოში ასლახანოვის სახელობის საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირზეც გამოვალთ. შევეცდებით ყველა ეტაპი მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოვიყენოთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ.

**ვასილ ბალახაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის პირველობა

# ბრინჯაოს დუეტი ბარში

ჩერნოგორიულ ბარში გუშინ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის, რომელშიც თავდაპირველად თავისუფალი სტილით მოასპარეზენი ჩაებნენ. ჩვენი ნაკრების მონაგარი ორი ბრინჯაოა, რომლებიც **ალექსანდრე კილაძემ** (42) და **რამაზ ზოიძემ** (58) მოიპოვეს. ამავე სინჯის მედლისთვის კიდევ ორმა ჩვენებურმა - **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (69) და **ვაჟა ომარაშვილმა** (85) იჭიდავა, მაგრამ წააგეს და მეხუთეზე დარჩნენ. გუშინ საასპარეზოდ მეხუთე ქართველიც გავიდა - **გიორგი პასიკაშვილი** (50), მაგრამ ადრევე გავარდა.

სამწუხაროდ, ჭიდაობის საერთაშორისო თუ ევროპული ფედერაციები კვლავაც ვერ ახერხებენ, ფეხი აუწყონ თანამედროვე მოთხოვნებს და 21-ე საუკუნეში, ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრების საინფორმაციო უზრუნველყოფა, პრაქტიკულად, არ არსებობს. პირდაპირ რეპორტაჟზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი და წილისყრის ოქმებიც კი არსად დევს. ამიტომ ინფორმაციების მოპოვება შეუძლებელია. რომ არა ჩვენი ნაკრების მწვრთნელი **გიორგი იანტბელიძე**, რომელსაც ჩერნოგორიაში დავუკავშირდით, ამდენსაც ვერ გავიგებდით. საერთაშორისო ფედერაციის ცნობით, თითქოს ჩერნოგორიულ ფედერაციას ტელერეპორტაჟიც კი უნდა შემოეთავაზებინა, მაგრამ ის საიტი... ან საერთოდ გათიშულია, ან არანაირი ინფორმაცია არ დევს არათუ ამ ტურნირის შესახებ, თვით იქაურ ჭიდაობაზეც კი. ამიტომ ჩვენებურთა გამოსვლაზე ამ მწირი ინფორმაციის გარდა, ვერაფერს გეტყვით. არადა, ფრიად საინტერესოა, ვისთან წააგეს გაფრინდაშვილმა და პასიკაშვილმა, რომლებიც გუნდის გამოკვეთილი ლიდერები არიან. ასევე საინტერესოა, ვისთან დამარცხდა ამომავალი ტალანტი ზოიძე, რომელიც აქამდე ძირითადად ბერძნულ-რომაულში გამოდიოდა და ჭაბუკებში ევროპა-მსოფლიოს ჩემპიონობაც მოასწრო, ახლა კი ისევ „თავისუფალს" დაუბრუნდა, სადაც დაიწყო ვარჯიში. იმედია, მომდევნო დღეებში ორგანიზატორები ვითარებას ცოტათი მაინც გამოასწორებენ.

დღეს ასპარეზობები დარჩენილ ხუთ წონით კატეგორიაში გაიმართება, ჩვენებიდან კი მედლის მოპოვებას **შმაგი თოდუა** (46), **რამაზან მალაკოევი** (54), **ედუარდ ნიკოლიშვილი** (63), **გიორგი გიორგობიანი** (76) და **გივი მაჭარაშვილი** (100) შეეცდებიან.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# შაფათავა 200-იანის ზღვარს მიუახლოვდა

ბოლო დროს საერთაშორისო სარბიელზე სულ უფრო წარმატებით თამაშობს თბილისელი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** და ეს მის რეიტინგსაც დაეტყო: WTA-ს კლასიფიკაციაში წინა კვირის შედეგებით კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელს უწია - 241 ქულით 229 ადგილზე გადაინაცვლა.



სოფიო შაფათავა

საერთოდ, WTA-ს რეიტინგში ამჟამად 7 ქართველია: 79 (78). **ანა ტატიშვილი** (834 ქულა), 229 (242). სოფიო შაფათავა (241), 314 (310). **ოქსანა კალაშნიკოვა** (145), 414 (410). **მაკა ჩახნაშვილი** (80), 490 (490). **სოფიო ქვაცაბაია** (64). 593 (591). **ეკატერინე გორგოძე** (43), 826 (823). **ნათია გეგია** (18).

წყვილებში ჩვენებურთაგან ოქსანა კალაშნიკოვა მეწინავეობს. 1226 ქულით მას 77-ე ადგილი უკავია. ტატიშვილი 572 ქულით - 135-ე, ხოლო შაფათავა 218 ქულით 274-ე ადგილზეა.

ვაჟთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში: 260 (255). **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (179), 984 (978). **ალექსანდრე მეტრეველი** (10), 1530 (1517). **გიორგი ჯავახიშვილი** (2), 1565 (1556). **გიორგი ცივაძე** (2).

ქართველ ჩოგბურთელთაგან სოფიო შაფათავა ამჟამად შვეიცარიულ ლენცერჰეიდეში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან ტურნირში მონაწილეობს და მეორე ნომრადაა განთესილი. სტარტზე იგი კვალიფიკაციიდან ალზევებულ იტალიელს - ჯორჯია ბრეშას დაუპირისპირდება. ტურნირის რეიტინგფავორიტია სლოვენიელი ზეკ-პესკირიჩი. პირველ ტურში მას მასპინძელი ჩიარა გრიმი გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი



მარჯვნივ ბელა ხოტენაშვილი

# ბათჩიმეგი არ ხუმრობს

ფიდეს ქალთა გრან პრის 2013-2014 წლების გათამაშების მონაწილეთა ვინაობა რომ გახდა ცნობილი, სპეციალისტებმა მონგოლი თუვშინთუგს ბათჩიმეგი და რუსი ოლგა გირია აუტსაიდერებად მონათლეს. პირველ რაუნდში, რომელსაც ჟენევამ უმასპინძლა, ფაქტობრივად, ასეც მოხდა, მაგრამ მონგოლმა მოჭადრაკემ მეტოქეთა გამოსაფხიზლებლად შვეიცარიაშივე შემოჰკრა ზარი, როცა ტურნირზე ერთადერთი პარტია მოიგო და ისიც ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანთან.

სომხურ დილიჟანში, სადაც ქალთა გრან პრის მეორე რაუნდი მიმდინარეობს, ბათჩიმეგი სტარტზევე **ნანა ძაგნიძესთან** დამარცხდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი პარტია მოიგო: მეორე ტურში შავი ფიგურებით ოლგა გირიას აჯობა, გუშინ კი ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა) სძლია და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. გათამაშების ცხრილის პირველი საფეხური ნანა ძაგნიძემ ერთპიროვნულად შეინარჩუნა - მესამე ტურში შავი ფიგურებით მასპინძელ ელინა დანიელიანს დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) - ოლგა გირია, ანა უშენინა (უკრაინა) - ჰამფი კონერუ (ინდოეთი), ბელა ხოტენაშვილი - ანა მუზიჩუკი (სლოვენია). მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) შავი ფიგურებით ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) აჯობა.

სამი ტურის შემდეგ: ნანა ძაგნიძე - 2,5, ბათჩიმეგი, მუზიჩუკი, სტეფანოვა, კონერუ - კოსინცევა, ძაგნიძე - უშენინა, გირია - დანიელიანი, ბათჩიმეგი - დრონავალი.

**ვაჟა დანელია**

## ოცეულშიც ვერ მოხვდნენ

ბულგარეთში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი „ოქროს ქვიშები - 2013", რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ისინი საუკეთესო ოცეულშიც ვერ მოხვდნენ: **ზურაბ ჯავახაძემ** 5,5, **ივერი ჭილაძემ** - 5, **თამაზ მგელაძემ** კი 4,5 ქულა მოაგროვა. სამივემ, მართალია, მცირედით, მაგრამ რეიტინგი სამიდან 7 პუნქტით გაიმდიდრა.

ტურნირის მთავარი პრიზი 7,5 ქულით შვედმა დიდოსტატმა ნილს გრანდელიუსმა მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ზბინეკ ჰრაჩეკი (ჩეხეთი), ვლადისლავ ნევედნიჩი (რუმინეთი), ვლადიმირ გეორგიევი (მაკედონია) და ვენკატეში (ინდოეთი), რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მეხუთე ადგილები გაიყვეს.

## ხუთეული ჯერმუკში

სომხური ჯერმუკი მეექვსედ მასპინძლობს კარენ ასრიანის საერთაშორისო მემორიალს, რომელშიც 9 ქვეყნის 55 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის - ხუთი საქართველოდან. სამი ტურის შემდეგ ჩვენებურთაგან დავით არუთინიანს 2,5 ქულა აქვს, ნატო იმნაძეს - 2, ანა შამათავას, ნინო ხომერიკსა და ნოე თუთისანს - თითოთითო ქულა. შეჯიბრებას 3-3 ქულით მასპინძლები - რობერტ ჰოვანესიანი და ჰოვანეს გაბუზიანი ლიდერობენ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინული ტურნე


ბურთით ბელისარიო აგუჯა

# პუმები ბორჯღალოსნებს უფრთხიან

**საქართველოს ნაკრები ბუენოს აირესში გუშინ ღამით ჩავიდა. ჩვენი მორაგბეები არგენტინის ნაკრებთან მატჩისთვის მზადებას დღეიდან შეუდგებიან. „პუმებმა" კი, გასულ უქმეებზე ინგლისის ნაკრებთან დიდი ანგარიშით მარცხის შემდეგ სული მოითქვეს და გუშინ პირველი ვარჯიში გამართეს.**

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** გუნდი დილის ათ საათზე შეკრიბა და ინგლისთან მატჩის ვიდეოანალიზი გააკეთა. კრებაზე გადაწყდა, რომ „ბორჯღალოსნებთან" მატჩში „პუმებს" **გონსალო ტიესი** უკაპიტნებს. არგენტინელთა გარემარბმა განვლილი მატჩის მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„საწყის 30 წუთში შესანიშნავად ვითამაშეთ. მერე გუნდში რაღაც მოიშალა. კარგად გარჯას უკვე ეპიზოდურად ვახერხებდით. ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ინგლისელებთან ორ შეხვედრაში გამოვლენილი ხარვეზები გამოვასწოროთ და ივნისის ტესტები წარმატებით დავასრულოთ"* - თქვა მან.

ამის შემდეგ „პუმებმა" მოედანზე გადაინაცვლეს. ვარჯიში საკმაოდ ხანგრძლივი მოთელვით დაიწყეს. მერე დიდი დრო დაცვაში თამაშის დახვეწას დაუთმეს. დიდი ინტენსიურობით გაისარჯნენ, როგორც სტატიკური მდგომარეობიდან, ისე ღია თამაშიდან შეტევისას. წვრთნაში მონაწილეობა არ მიუღია **გილერმო როანს,** რომელიც კისრის ტრავმის მოშუშების შემდეგ აღდგენით პროცედურებს გადის.

*„საქართველოს ნაკრებთან უმძიმესი მატჩი გველის. ჩვენი გუნდის მოთამაშეთა უმრავლესობას ნათამაშები აქვს ქართველების წინააღმდეგ და შესანიშნავად იციან, რომ ისინი ფიზიკურად ძლიერები, კარგი მოთამაშეები არიან. ეს იქნება დიდი ბრძოლა. ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რადგან ეროვნული ნაკრების კვართით ვთამაშობთ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ინგლისის ნაკრებთან ორი მარცხის შემდეგ ქომაგებს ხასიათი გამოვუკეთოთ"* - დასძინა გილერმო როანმა.

ვარჯიშის შემდეგ მოთამაშეთა ნაწილი ადგილობრივი მედიის განკარგულებაში გადავიდა. აი რა თქვა „პუმების" ერთ-ერთმა ახალბედა მოთამაშე **ტომას კარიომ:**

*„არგენტინის ნაკრებში თამაში ძალიან საამაყოა. ამასთან ერთად, ეს გაუზომელი პასუხისმგებლობაცაა. ყველანაირად ვცდილობ, რომ გუნდის თამაშს პოზიტივი შევმატო, მეც ვისიამოვნო და ქომაგიც გავახარო. საქართველოს ნაკრები ძალიან უხერხული მეტოქეა. წინ უშეღავათო ბრძოლა გველის. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამის შესახებ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა წინა ორ შეხვედრაში დაშვებული შეცდომები არ გავიმეოროთ. არგენტინის ნაკრებს შეუძლია ბევრად უკეთ ითამაშოს და ამის დამტკიცებას ქართველებთან მატჩში შევეცდებით".*

ამასობაში, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს ნაკრები ბუენოს აირესში სასტუმრო „პანამერიკანოში" დაბინავდა. „ბორჯღალოსნები" სან ხუანში, სადაც შაბათს მასპინძელთა გუნდს დაუპირისპირდებიან, ხვალ დილით გაემგზავრებიან.

შეგახსენებთ, რომ მატჩი თბილისის დროით 23 საათსა და 10 წუთზე დაიწყება.

## საქართველო

**პირველი ხაზი:** ჯაბა ბრეგვაძე, ვასილ კაკოვინი (ორივე-ტულუზი), რეზო ბელქანია (ლელო), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი).

**მეორე ხაზი:** ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ნემსაძე (ტარბი).

**მესამე ხაზი:** შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია). ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), გიორგი ჩხაიძე (ტარბი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (აკადემია), დავით კაჭარავა (როდეზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ალექსანდრე თოდუა (ალბი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

## არგენტინა

ბელისარიო აგუჯა, ესტებან ლოსადა (ორივე-აჟენი), გაბრიელ ასკარეტე (კარკასონი), რიდრიგო ბაესი (ლისეო), მარტინ ბუსტოს მოიანო, მაქსიმილიანო ბუსტოსი (ორივე-არგენტინა), ტომას კარიო (როსარიო), ტომას კუბელი (ბელგრანო), ტომას დე ლა ვეგა (სიუბე), მარიანო გალარსა, მაურისიო გუიდონე, ბრუნო პოსტილიონი (სამივე-ლა პლატა), მარტინ ვეიგა (ბუენოს აირესი), ფრანსისკო კოდელა (ბიარიცი), მარტინ ლანდახო (კასი), ტომას ლეონარდი (საუთერნ კინგზი), ბენიამინ მაკონე (ტუკმანი), ბენაიმინ მადერო (ესიკა), მატიას ორლანდო (ურიაპუკა), გილერმო როანი (პრატო), გონსალო ტიესი (ლიბრე), ბენიამინ ურდაპილიეტა (ოიონაქსი), ტომას ვალეხოსი (რედ სპარქსი).

შვიდკაცა რაგბი

# მეტოქეებმა საბრძოლო რაზმები დაასახელეს

**28-30 ივნისს მოსკოვში შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრები პლანეტის 24 საუკეთესო გუნდს შორისაა. „შვიდკაცა ბორჯღალოსნები" აქ D ჯგუფში იასპარეზებენ, სადაც მეტოქეები ახალი ზელანდიის, კანადისა და აშშ-ის ნაკრებები იქნებიან.**

ჩვენი გუნდის მეტოქეებმა უკვე დაასახელეს საბრძოლო რაზმები. ცხადია, არა მარტო D ჯგუფის, არამედ მთლიანად ტურნირის ფავორიტია ახალზელანდიური გუნდი, რომელიც მსოფლიოს სერიის ეტაპებზე ფიჯელებთან ერთად მუდამ პირველობისთვის იბრძვის.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გორდონ ტიტჯენსმა**, რომელიც შარშან შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, ტრავმების მოშუშების შემდეგ შემადგენლობაში დააბრუნა კაპიტანი **დი ჯეი ფორბსი, სკოტ კერი და სემ დიქსონი.**

*„წლევანდელ სეზონში ყველამ ინტენსიურად იმუშავა. მოთამაშეებს საკმარისად დიდი მოტივაცია აქვთ საიმისოდ, რომ შვიდკაცა რაგბის უდიდეს ფორუმზე თავის ქვეყანას წარმოადგენდნენ.*

*მსოფლიოს ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და, ცხადია, იქ ასპარეზობის სურვილი ბევრს აქვს. ამის უფლებას კი, მხოლოდ საუკეთესოები მიიღებენ. ოთხი წლის წინათ დუბაიში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ახლანდელი გუნდიდან მხოლოდ სამმა იასპარეზა. ესენია: დი ჯეი ფორბსი, ტომაზი კამა და ლოტე რაიკაბულა.*

*წლეულს მსოფლიოს სერიის ეტაპებზე საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გამოვცადეთ. ამათგან მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ გუნდში რამდენიმე მოხვდა. ეს ძალიან მახარებს, მაგრამ მათ ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი სულ სხვა რამაა და მოსკოვში ნამდვილი გამოცდა ელით.*

*სამწუხაროა, მაგრამ 2001 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას ვერ ვახერხებთ. ძალიან გვინდა ეს წარუმატებელი სერია დავასრულოთ. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადამდე ბოლო დიდი ტურნირი გაიმართება. ამიტომ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ 2016 წლისთვის უძლეველი გუნდი ავაშენოთ"* - თქვა ახალი ზელანდიის შვიდკაცა რაგბის ნაკრების მწვრთნელმა გორდონ ტიტჯენსმა.

კანადის ნაკრებს, რომელსაც წლევანდელ მსოფლიოს სერიაში ურიგოდ არ უთამაშია, ტრავმების გამო ოთხი წამყვანი მოთამაშე დააკლდება. ესენია: **ჩონსი ოტული, ჯეფ ხესლერი, ტაილერ არდრონი და კონორ ტრაინორი.**

*„ნაკრებში შერჩეულ ყველა მოთამაშეს მთელი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით. მათ ნამდვილად დაიმსახურეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის პატივი. თითოეული მათგანი თავდაუზოგავად შრომობდა, სეზონის განმავლობაში წარმატებებსაც ვაღწევდით და, ვფიქრობ. მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე ასპარეზობა ჩვენი გუნდის მორაგბეებისთვის დიდი ჯილდოა."* - თქვა კანადის შვიდკაცა რაგბის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ გარენტმა.**

აღსანიშნავია, რომ კანადელთა გუნდში ეროვნული ნაკრების მოთამაშეების, **ფილ მაკენზის, მეთ ევანსისა** და **დი ტი ეიჩ ფან დერ მერვეს** კანდიდატურებიც განიხილებოდა, მაგრამ გარენტმა მათ ისევ მთელი წლის განმავლობაში შვიდკაცა რაგბის ტურნირებზე მოასპარეზე მორაგბეები არჩია.

ცხადია, გაამართლებს თუ არა მისი არჩევანი, მოსკოვში გამოჩნდება. ბრძოლა ჯგუფურ ეტაპზე, სავარაუდოდ, მეორე ადგილისთვის იქნება, რადგან ძნელი წარმოსადგენია, ახალმა ზელანდიამ პირველობა ვინმეს დაუთმოს.

კანადელებზე არანაკლებ საინტერესო გუნდი ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებს. „არწივები" მთავარი მწვრთნელის **ალექს მაგლების** ხელმძღვანელობით სიეტლში 9 ივნისიდან ემზადებიან.

*„კარგად დაბალანსებული გუნდი გვყავს. ერთნაირად შეგვიძლია ბრძოლაც, სირბილიც და ცრუ მოძრაობების კასკადის კეთებაც. მოუთმენლად ველი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებას, რათა საქმეში ვიხილო ის, რაზეც რამდენიმე კვირაა მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ."* - თქვა ალექს მაგლებმა.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დიდი ხანია ემზადება. ჩვენმა მეშვიდკაცეებმა რამდენიმე ტურნირში იასპარეზეს და საწვრთნელ შეკრებას დღეიდან დაიწყებენ.

## კანადა

ნანიაკ დელა, ტაისენ დე გუდი, ჯასტინ დაგლასი, შონ დუკი, მიკე ფუაილეფაუ, ლუკას ჰამონდი, კირან ჰირნი, ნათან ჰირაიამა, ჰარი ჯოუნზი, ფილ მაკი, ჯონ მუნლისი, ტეილორ პარისი.

## ახალი ზელანდია

კურტ ბეკერი, ტომასი ცამა, სკოტ ქერი, სემ დიქსონი, დი ჯეი ფრობსი, ბრაის ჰიმი, ჯილის კაკა, ტიმ მიქელსომო, ვაისაკე ნაჰოლო, ლოტე რაიკაბულა, დევიდ რაიკუნა, შერვინ სტოუერსი.

## აშშ

კარლინ იზლისი, ნიკ ედვარდსი, ენდრიუ დურუტალო, შალომ სუნიულა, ზაკ ტესტი, მეთ ჰავკინსი, ფოლან ნიუა, ჯეკ ჰალალილო, მაკა უნუფე, მაიკ პალეფაუ, კოლინ ჰოული, ბრეთ თომპსონი.

**A ჯგუფი:** ავსტრალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ტუნისი.

**B ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია, რუსეთი, იაპონია.

**C ჯგუფი:** სამოა, კენია, ზიმბაბვე, ფილიპინები.

**D ჯგუფი:** ახალი ზელანდია, კანადა, აშშ, საქართველო.

**E ჯგუფი:** ფიჯი, უელსი, ტონგა, ურუგვაი.

**F ჯგუფი:** ინგლისი, არგენტინა, პორტუგალია, ჰონკონგი.

**28 ივნისი**

**საქართველო-აშშ**

**29 ივნისი**

**საქართველო-ახალი ზელანდია**

**საქართველო-კანადა**


ახალი ზელანდიის ნაკრები

სკანდალი

# ჰომოფობია ახალზელანდიურ რაგბიში

**გასულ უქმეებზე ქრაისთჩერჩში ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის ნაკრებების მატჩზე მაყურებელთა ერთი ჯგუფი ჰომოფობიური გამოხდომების გამო ტრიბუნიდან გააძევეს.**

დიდი ხანი არ არის, რაც საფრანგეთის ხელისუფლებამ ერთსქესიანი ქორწინება დააკანონა. ქრაისთჩერჩში მატჩის მსვლელობისას ახალზელანდიელ ქომაგთა ნაწილი საფრანგეთის ნაკრების მისამართით შეურაცხმყოფელ სიტყვებს იძახდა. მათ აგრესია ტრიბუნებზე შეკრებილი ქომაგების მიმართაც გამოამჟღავნეს, რომლებმაც წესრიგისკენ მოუწოდეს.

*„ჩვენ არასდროს არ უნდა შევურიგდეთ მათ გამოხდომებს. სამწუხაროა, რომ ყოველთვის მოიძებნება ისეთი „დებილი", რომელიც ასეთ უმსგავსო საქციელს ჩაიდენს და წესიერ ხალხს სახელს უტეხს."* - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილმა მორაგბემ **ჯონ კრონფილდმა.**

გასაკვირი არ არის, რომ ეს თემა უმალვე აიტაცეს პოლიტიკოსებმა. ახალი ზელანდიის „მწვანეთა პარტიის" ლიდერმა **კევინ ჰააგმა** რაგბის კავშირს და „ოლ ბლექსის" ხელმძღვანელებს მოუწოდა აქტიურად ებრძოლონ ჰომოფობიურ გამოვლინებებს რაგბიში.

აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **დევიდ პოქოკი** ერთსქესიანი ქორწინების აქტიური მხარდამჭერია. იმავე გზას დაადგა ინგლისელი მორაგბე **ბენ კოენიც.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევრობასკეტი 2013


დუშკო სავანოვიჩი

# სერბეთმა ლიდერი დაკარგა

6 ივნისს, სერბეთის ნაკრების დამრიგებელმა **დუშან ივკოვიჩმა** 2013 წლის ევრობასკეტისთვის თავისი გუნდის წინასწარი შემადგენლობა გამოაცხადა.

სიაში მოხვდა თურქეთის „ეფესის" ლიდერი **დუშკო სავანოვიჩი**, მაგრამ, გუშინ გახდა ცნობილი, რომ ის ვერ შეძლებს ევროპის ჩემპიონატზე თავისი გუნდის დახმარებას, რისი მიზეზიც ზურგის ტრავმა გახლავთ. როგორც ახლა ირკვევა, თურქეთის ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩებში ეს კალათბურთელი ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა.

წელს, ევროლიგაზე ჩატარებულ 25 მატჩში სავანოვიჩმა საშუალოდ 9.4 ქულა და 3.7 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

ამასობაში, ევრობასკეტის კიდევ ერთი მონაწილის - ჩერნოგორიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლუკა პავიჩევიჩმა** კონტინენტის პირველობისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. გუნდში ვხედავთ მის ლიდერებს, NBA-ის ლეგიონერებს - **ნიკოლა პეკოვიჩსა და ნიკოლა ვუჩევიჩს.**

შემადგენლობაში ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი კალათბურთელია თავმოყრილი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ნატურალიზებული ამერიკელი **ომარ კუკი**, რომელსაც თანამემამულე **ტეილორ როჩესტი** შეცვლის.

შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები**: ტეილორ როჩესტი (ზიელა, იტალია), ნიკოლა ივანოვიჩი, ვლადიმირ მიხაილოვიჩი, მარკო პოპოვიჩი (ყველა - „ბუდუჩნოსტი"), ბოიან ბაკიჩი („მეტალაკი", სერბეთი), ბორის ბაკიჩი („სკოპიე", მაკედონია), ნიკოლა პავლიჩევიჩი („სუტიესკა");

**ფორვარდები**: სუად შეხოვიჩი, ალექსა პოპოვიჩი (ორივე - „ბუდუჩნოსტი"), სეად შეხოვიჩი („შოლნოკი", უნგრეთი), ვლადიმირ დაშიჩი („მეტალაკი", სერბეთი), მილკო ბიელიცა („კახა ლაბორალი", ესპანეთი), ნემანია რადოვიჩი („მეგა ვიზურა", სერბეთი), მარკო ტოდოროვიჩი („ბარსელონა", ესპანეთი), რადოსლავ სპასოევიჩი („არკადია", ავსტრია), მილოშ კომატინა („იგოკეა", ბოსნია);

**ცენტრები**: ნიკოლა პეკოვიჩი („მინესოტა", NBA), ნიკოლა ვუჩევიჩი („ორლანდო", NBA), ბლაგოტა სეკულიჩი („ტენერიფე", ესპანეთი), ბოიან დუბლევიჩი („ვალენსია", ესპანეთი), ფილიპ ბაროვიჩი („შოლნოკი", უნგრეთი).

ევრობასკეტის ჯგუფურ ეტაპზე ჩერნოგორიელთა მეტოქეები არიან: სერბეთი, ბოსნია, მაკედონია, ლიტვა და ლატვია.

კალათბურთი

# გარნეტი და რივერსი კლიპერსს უახლოვდებიან

ამერიკულ პრესაში კვლავ აქტუალურია „ბოსტონსა" და „კლიპერსს" შორის მოსალოდნელი გარიგება, რომლის მიხედვითაც, „სელტიქსის" დამრიგებელი **დოკ რივერსი** და ვეტერანი ფორვარდი **კევინ გარნეტი** კალიფორნიაში უნდა გადაბარგდნენ.

შაბათს დაწერეს იმის შესახებ, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკებათა პროცესი ჩიხში შევიდა. „ბოსტონის" გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** აცხადებს, რომ მომავალ ტრეიდში, „კლიპერსის" მხრიდან, აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულნი მცველი **ერიკ ბლედსოუ** და ცენტრი **დეანდრე ჯორდანი**, რასაც უნდა დაემატოს დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლება.

გუშინ, მოლაპარაკებები განახლდა, რადგან „ბოსტონის" ხელმძღვანელობამ გარკვეულ კომპრომისზე წასვლა გადაწყვიტა.

Yahoo! Sports წერს იმის შესახებ, რომ „კლიპერსი" მაქსიმალურად ეცდება ამ გარიგების განხორციელებას და ამ მონდომებას აქვს თავისი მიზეზი. საქმე ისაა, რომ თუ კალიფორნიული კლუბი მოახერხებს გარნეტისა და რივერსის გადაბირებას, ამ შემთხვევაში „კლიპერსთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **კრის პოლი.**

ამასობაში, CNN წერს **დოკ რივერსის** მომავალი სავარაუდო პროცესიის შესახებ. თუ „კლიპერსსა" და „ბოსტონს" შორის გარიგება მაინც არ შედგება, დოკი აღარ დაბრუნდება „სელტიქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე და, შესაძლოა, ტელევიზიაში დაიწყოს მუშაობა.

*„ყველანი დიდი ხანია იცნობთ დოკს - ის ხშირად ლაპარაკობდა ამის შესახებ. ეს ბევრს არავის გააკვირვებს. სიმართლე გითხრათ, ახლა სწორედ ამ სამუშაოსთვის შესაფერისი დროა"*, - ამბობს საქმესთან ახლოს მყოფი ერთ-ერთი წყარო.

არადა, დოკ რივერსს კონტრაქტით კიდევ სამი წელი აკავშირებს „ბოსტონთან". ის წელიწადში 7 მილიონ დოლარს იღებს და NBA-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელია.


კევინ გარნეტი


ალენ აივერსონის ოჯახი

# შვილების გამტაცებელი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავის **ალენ აივერსონის** მეუღლემ კალათბურთელს სასამართლოში უჩივლა - ის თავის ქმარს შვილების მოტაცებაში ადანაშაულებს. ამ ინფორმაციას USA Today ავრცელებს.

აივერსონმა საკუთარი ხუთი შვილი არდადეგებზე თავისთან წაიყვანა და 26 მაისს, მეუღლისთვის უნდა დაებრუნებინა. მაგრამ ალენმა ეს არ გააკეთა და ცოლთან კავშირზე გასვლა შეწყვიტა. კალათბურთელის მეუღლეს მიაჩნია, რომ 2001 წლის საუკეთესო მოთამაშე ბავშვებთან ერთად ჯორჯიის შტატის ერთ-ერთ სასტუმროში იმალება.

აღვნიშნავთ, რომ ალენ აივერსონს საკუთარ შვილებზე უფლება არ გააჩნია, მათი დედა - **ტავანა** კი ბავშვების ერთადერთი მეურვეა.

# ელისი ბაქსიდან მიდის... ლეიკერსში?

„მილუოკი ბაქსის" მცველმა **მონტა ელისმა** კლუბის ხელმძღვანელობა ჩააყენა საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, რომ უარს ამბობს მოქმედი კონტრაქტის ბოლო წელზე და თავისუფალი აგენტების ბაზარზე გასვლას აპირებს. ბოლო სეზონისთვის, ელისს 11 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

ვარაუდობენ, რომ თავისუფალი აგენტების ბაზარზე ელისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოთამაშე იქნება. ამერიკულმა პრესამ უკვე დაწერა იმის შესახებ, რომ ამ მცველით „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" დაინტერესდა. თუმცა ასევე ასახელებენ „ატლანტასა" და „დალასს".

2012-13 წლების სეზონში ელისმა 82 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და საშუალოდ 19.2 ქულა, 3.9 მოხსნა და 6.0 შედეგიანი პასი დააგროვა.


მონტა ელისი

## ამბები

კალათბურთი

### რვა გუნდი, ერთი საგზური

ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას 2013-14 წლის სეზონის ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ასეთი რვა გუნდია: „იგოკეა" (ბოსნია, მესამე ადგილი ადრიატიკის ლიგაში), „ლეტუვოს რიტასი" (ლიტვის ვიცე-ჩემპიონი), „სტრასბური" (საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი), „ოსტენდე" (ბელგიის ჩემპიონი), „ნიმბურკი" (ჩეხეთის ჩემპიონი), „ხიმკი" (რუსეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი), „ბანვითი" (თურქეთის ვიცე-ჩემპიონი) და „ოლდენბურგი" (გერმანიის ვიცე-ჩემპიონი).

ევროლიგის საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრა ივლისის ბოლოს გაიმართება. ძირითად რაუნდში საგზურს ამ რვა გუნდიდან მხოლოდ ერთი - საუკეთესო მიიღებს. წარუმატებლები კი, თავის მხრივ, მნიშვნელობით მეორე ტურნირზე - ევროთასზე გადავლენ.

ჩოგბურთი

### ჩილიჩს ივანიშევიჩი გაწვრთნის

24 წლის ხორვატი ჩოგბურთელი **მარინ ჩილიჩი,** უიმბლდონის მიმდინარეობისას, სახელოვანი თანამემამულის **გორან ივანიშევიჩის** ხელმძღვანელობით ივარჯიშებს. ივანიშევიჩი 2001 წელს იყო უიმბლდონის ჩემპიონი.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები კმაყოფილი დარჩებიან თანამშრომლობით, ჩილიჩი და ივანიშევიჩი გააგრძელებენ ერთობლივ მუშაობას.

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის, ჩილიჩი მე-12 ადგილს იკავებს მსოფლიოს რეიტინგში.

ჰოკეი

### 21 მილიონი ვეტერანისთვის

„ნიუიორკაილენდერსის" 35 წლის მცველმა **მარკ შტრაიტმა** „ფილადელფია ფლაიერზში" გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. თავის ახალ კლუბთან მან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჯამში 21 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

2012-13 წლების სეზონში შტრაიტმა 48 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და 27 ქულა (6+21) დააგროვა. პლეი ოფში, მის ანგარიშზე იყო ექვს მატჩში ხუთი ქულა (2+3).

# ევროპელები დრაფტზე: ვინ დარჩა, ვინ მოიხსნა...

გუშინ ამოიწურა ვადა, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო 2013 წლის დრაფტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენება.

ბოლო დღის მთავარი სენსაცია ის გახდა, რომ დრაფტზე უარი თქვა ცენტრმა **მუამადუ ჟეტემ** - 18 წლის ფრანგს ყველა უწინასწარმეტყველებდა პირველ რაუნდში არჩევას. თუმცა კალათბურთელის აგენტებმა გადაწყვიტეს, რომ NBA-ის კლუბების მიერ მიცემული გარანტიები არასაკმარისი იყო იმისთვის, რომ ჟეტეს მომავლისკენ დამაჯერებლად გაეხედა. ამასთან, ფრანგი მხოლოდ 18 წლისაა და წინ კიდევ ბევრი ასეთი შესაძლებლობა ექნება.

დრაფტზე დარჩა „ბარსელონას" ორი წარმომადგენელი - **ალეხანდრო აბრინესი** და **მარკო ტოდოროვიჩი**, რუსი **სერგეი კარასიოვი** და გერმანელი **დენის შრიოდერი** - ესენი ის კალათბურთელები არიან, რომლებიც, წესით, პირველ რაუნდში უნდა აირჩიონ. რაც შეეხება ფრანგ **ლივიო ჟან-შარლს**, ის მეორე რაუნდის პოტენციური წევრია. სხვა ფრანგმა ახალგაზრდებმა დრაფტზე უარი განაცხადეს.

ბოლო დღეს, დრაფტზე მონაწილეობა შემდეგმა ევროპელებმა დაადასტურეს:

ალეხანდრო აბრინესი (მცველი, ესპანეთი)
მარკო ტოდოროვიჩი (ფორვარდი, ჩერნოგორია)
სერგეი კარასიოვი (ფორვარდი, რუსეთი)
დანიელ ტეისი (ფორვარდი)
დენის შრიოდერი (მცველი, გერმანია)
ლუკას ნოგეირა (ცენტრი, ბრაზილია)
რუდი გობერი (ცენტრი, საფრანგეთი)

**დრაფტზე უარი განაცხადეს**

ფილიპ ნოიმანი (ცენტრი, გერმანია)
არტიომ პუსტოვოი (ცენტრი, უკრაინა)
ბოგდან ბოგდანოვიჩი (ფორვარდი)
ადინ ვრაბაჩი (მცველი, ბოსნია)
ვალტერ ტავარესი (ცენტრი, ესპანეთი)
აფია ამბადიანგი (ცენტრი, საფრანგეთი)
ნემანია ბესოვიჩი (ცენტრი, სერბეთი)
მატიას ბორტოლინი (ცენტრი, არგენტინა)
ჯორჯე დრენოვიჩი (ფორვარდი, სერბეთი)
მარკო რამლიაკი (ფორვარდი, ხორვატია)
ლინას ხრისიკოპულოსი (ფორვარდი, საბერძნეთი)
ვიქტორ გადეფორსი (ფორვარდი, შვედეთი)
მუამადუ ჟეტე (ცენტრი, საფრანგეთი)
ლუის ლაბეირი (ფორვარდი, საფრანგეთი)
აქსელ ტუპანი (ფორვარდი, საფრანგეთი)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. NHL ფინალი. III მატჩი

# ფენომენალური ფინელი

ფინალური სერიის პირველ საშინაო შეხვედრას „ბოსტონის" მოთამაშეები და გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ. სტუმრად ერთი მატჩის მოგების შემდეგ, „დათვებმა" საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვეს, გარდა ამისა, ყველანაირი წინასამატჩო სტატისტიკა მასპინძლების მხარეს იყო. „ჩიკაგოს" წლევანდელ პლეი ოფში არც ერთხელ არ მოუგია მესამე მატჩი. გარდა ამისა, 2011 წელს, როცა „ბოსტონმა" ტრიუმფალურად დაასრულა სეზონი, სწორედ ფინალური სერიის მესამე მატჩი გახდა პირველი ნაბიჯი სტენლის თასისკენ - მაშინ, **კლოდ ჟულიენის** შეგირდებმა 8:1 დაამარცხეს „ვანკუვერი".


ტუუკა რასკი

მატჩისწინა ვარჯიში „ბოსტონისთვის" კინაღამ სავალალოდ დასრულდა, რადგან ცუდად შეეჯახნენ ერთმანეთს მცველი **ზდენო ხარა** და თავდამსხმელი **მილან ლუჩიჩი**. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორივე მოთამაშემ დაკარგა საკუთარი ჩაფხუტი, ხარას კი ნაკერები დაადეს. მოგვიანებით, სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ორივე ჰოკეისტი შეძლებდა თამაშს.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა „ჩიკაგოს" ფორვარდ **მარიან ჰოსას**, რომელმაც მონაწილეობა ვერ მიიღო მატჩში და თადარიგში დარჩა. შეხვედრის წინადღეს, სლოვაკის ტრავმის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა და როგორც შემდეგ გაირკვა, ჰოსამ დაზიანება წინასამატჩო გახურებისას მიიღო, როცა არააკურატული დარტყმის შემდეგ შაიბა მოხვდა. „ჩიკაგოს" მთავარმა მწვრთნელმა **ჯოელ კენევილმა** განაცხადა, რომ ჰოსა ძალიან მალე დაუბრუნდება მოედანს. სლოვაკის ადგილი შემადგენლობაში 24 წლის **ბენ სმიტმა** დაიკავა. ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის არყოფნა საკმაოდ დაეტყო „ბლეკჰოქსის" პოტენციალს.

თავად თამაში დაახლოებით ისეთი გამოვიდა, როგორსაც ბევრი ელოდა. ისევ ბრწყინავდა „ბოსტონის" ბრწყინვალე მეკარე **ტუუკა რასკი**, „ჩიკაგო" კვლავ უშედეგოდ ცდილობდა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას (5-დან 0 მატჩში, 11-დან 0 - სერიაში). ამ დროს კი „ბრუინზი" მეთოდურად ავითარებდა სათამაშო უპირატესობას და შეძლო გადამწყვეტი დარტყმის მიყენება მეტოქისთვის.

მეორე პერიოდის დასაწყისში **დანიელ პეიმ** (წინა მატჩში გამარჯვების გოლის ავტორი) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რამდენად მნიშვნელოვანი არიან სათასო მატჩებში მესამე ან მეოთხე შემტევი სამეულის წევრები. პეიმ მეტოქის ზონაში მოჰპარა შაიბა **დეივ ბოლანდს**, სწრაფად შებრუნდა კარისკენ და მისმა დარტყმამ პირველი გოლი მოუტანა „ბოსტონს".

დაახლოებით 12 წუთში მასპინძლებმა უპირატესობა გაამყარეს. რიცხობრივი უპირატესობისას **პატრის ბერჟერონმა** მახვილი კუთხიდან გამოიყენა **იარომირ იაგრის** პასი, რომელმაც ფინალურ სერიაში თავისი პირველი ქულა ჩაიწერა აქტივში.

„ჩიკაგომ" ამ სეზონში მეორედ ვერ შეძლო გოლის გატანა. „ბლეკჰოქსის" ყველა ვარსკვლავი გამოთიშული იყო თამაშს მასპინძელი მცველებისა და ტუუკა რასკის ბრწყინვალე თამაშის წყალობით. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ „ბოსტონის" ფინელ მეკარეს (პლეი ოფში მესამე „შათაუტი" შეასრულა) განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა: სტუმრებმა მეტოქეზე ნაკლები დარტყმა შეასრულეს და კარის წინაც იშვიათად ჩნდებოდნენ.

| ბოსტონი-ჩიკაგო | 2:0 |
|---|---|

0:0, 2:0, 0:0

**გოლები**: 1:0 პეი-4 (კ. კელი-1, სეგუინი-6), 2:0 პ. ბერჟერონი-7 (იაგრი-8, ხარა-10).

**სერია**: 2-1

ფორმულა 1

# ბაჰრეინით გაიხსნება



მელბურნის ტრასა

მელბურნში ადასტურებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ავსტრალიის გრანპრი დაკარგავს იმ რბოლის სტატუსს, რომლითაც იხსნება სეზონი ფორმულა 1-ში. როგორც ირკვევა, 2014 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატი ბაჰრეინის გრანპრით დაიწყება, ავსტრალიელები კი პილოტებს სეზონის მეორე რბოლაში უმასპინძლებენ. ეს მოხდება მარტის მესამე უქმეებზე, რითაც მელბურნში რბოლა კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი უნდა იყოს.

*„ჩვენ გვირჩევნია, შევინარჩუნოთ მარტის მესამე უქმეები. 2006 წელს, ჩვენი გრანპრი იმართებოდა აპრილის პირველ უქმეებზე და მაშინ, დასწრება ნორმალურ დონეზე იყო - 300 ათას ადამიანზე მეტი"*, - აცხადებს ავსტრალიის გრანპრის პრომოუტერი **ენდრიუ უესტაკოტი**.

შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით, 2014 წლის სეზონში 21 რბოლის ჩატარებაა დაგეგმილი, აქედან ორი სადებიუტოა: რუსეთსა და ნიუ ჯერსიში. მაგრამ, ამასთან, არის გარკვეული ეჭვები კალენდარში კორეისა და ინდოეთის გრანპრის შენარჩუნების თაობაზე. კორეული რბოლის ორგანიზატორებთან 2016 წლის ბოლომდეა გაფორმებული კონტრაქტი, მაგრამ ეს გრანპრი კარგავს ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერას არასაკმარისი პოპულარობის გამო.

რაც შეეხება ინდოეთის გრანპრის, ამას წინათ, გამოცემა Speed Week-მა დაწერა: *„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ინდოეთის რბოლის ჩატარება 2013 წლისთვის ფინანსურად არის გამყარებული, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით 2014 წელზე. ინდური წყაროების ცნობით, რბოლის პრომოუტერი (კომპანია Jaypee Group) ახლოა გაკოტრებასთან"*.

ამბები

## ლოტუსმა ფული იშოვა

კონსორციუმმა „ინფინიტი რეისინგმა" ფორმულა 1-ის საჯინიბოს - „ლოტუსის" აქციათა 35 პროცენტი შეიძინა, რითაც გუნდის თანამფლობელი გახდა. ამასთან, კომპანია Genii რჩება აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელად, ხოლო **ჟერარ ლორპესი** ინარჩუნებს პრეზიდენტისა და საჯინიბოს მფლობელის პოსტს, - იტყობინება „ლოტუსის" ოფიციალური გვერდი.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანული პრესის ინფორმაციით, „ლოტუსის" ფინანსურმა დანაკარგმა 2012 წელს 86 მილიონი ევრო შეადგინა.

## ბატონი ქალებს ელოდება

ბრიტანული „მაკლარენის" პილოტი **ჯენსონ ბატონი** მზად არის წარმოიდგინოს, რომ ოდესღაც ფორმულა 1-ში ქალი პილოტებიც იასპარეზებენ. მაგრამ ამისთვის საჭიროა, მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, ადრეული ასაკიდან დაიწყონ ავტოსპორტში ვარჯიში.

*„პრობლემა იმაშია, რომ ჩემი აზრით, ქალებს არ აქვთ საშუალება, ადრეული ასაკიდან ჩაერთონ სპორტის ამ სახეობაში,* - განაცხადა ბრიტანელმა პილოტმა. - *ვფიქრობ, წლებთან ერთად სიტუაცია შეიცვლება, ქალები გამოჩნდებიან „მცირე" სარბოლო სერიებში, მაგრამ ეს ძალიან რთული სახეობაა. ის ვარჯიშის სპეციალურ მეთოდიკას მოითხოვს და აუცილებელი ფიზიკური ფორმის მისაღწევად დროა საჭირო. მაგრამ, პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია"*.

## უილიამსი 20 მილიონს კარგავს

ბრიტანულ „უილიამსს" სერიოზული ფინანსური პრობლემები ელოდება, - იტყობინება Motorsport.

კომპანია იძულებულია შეაჩეროს სუპერკარების შემუშავების პროექტი, რამაც შეიძლება 20 მილიონი ფუნტი სტერლინგის დანაკარგი გამოიწვიოს. ეს ყველაფერი კი კომპანია „იაგუარის" ბრალია, რომელმაც უარი თქვა პროექტში საკუთარ წილზე.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ „უილიამსის" სუპერკარის წარმოება 2010 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, პროექტი საერთოდ არ იქნება რეალიზებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **აზია** | |
| კორეა-ირანი | 0:1 |
| უზბეკეთი-კატარი | 5:1 |
| ავსტრალია-ერაყი | 1:0 |
| იორდანია-ომანი | 1:0 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21. ფინალი** | |
| იტალია-ესპანეთი | 2:4 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| რუბინი-მიიავა | 3:1 |
| მორავცე-ტრნავა | 2:3 |
| რაუფოსი-ვოლერენგა | 2:2 |
| ჰუმბლე-ოდენსე | 0:8 |
| მატერსბურგი-ნიტრა | 1:3 |
| ვინერი-ჰორნი | 2:1 |
| როსკილდე-ბრონდბიუ | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იულუ-ჰაკა | 0:1 |
| კტპ-პკ35 | 0:0 |
| **ისლანდია** | |
| ვალური-ვესტმანაიეარი | 1:1 |
| **ლიტვა** | |
| ჟალგირისი-სუდუვა | 2:0 |
| ატლანტასი-ბანგა | 3:0 |
| **ესტონეთი** | |
| ტალინა-ტამეკა | 0:2 |
| ტრანს ნარვა-ლევადია | 1:0 |
| კალიუ-სილამაე | 0:0 |
| პაიდე-კურესაარე | 3:0 |
| **პერუ** | |
| სენსიანო-კომერსიო | 0:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| ტომიჩი-უორდი | 6:3, 6:4 |
| ფ. ლოპესი-ნიემინენი | 7:6, 7:6 |
| ისტომინი-დოდიგი | 3:6, 4:6 |
| ტროიცკი-კლიჟანი | 3:6, 2:6 |
| შტეპანეკი-მატოშევიჩი | 6:3, 6:2 |
| ანდერსონი-ბენეტო | 6:7, 2:6 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| შარდი-პუიე | 7:5, 6:4 |
| როჟე ვასელენი-ლუ | 1:6, 6:7 |
| დუტრა და სილვა-კოპილი | 7:6, 4:6, 2:6 |
| ფერერი-მალისე | 6:7, 3:6 |
| ჰერნიხი-გოფენი | 6:3, 3:6, 7:6 |
| მაუ-ბერანკისი | 6:1, 6:4 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| კერბერი-კირსტეა | 6:4, 6:4 |
| კონტა-ჰსიე | 4:6, 3:6 |
| ვოზნიაცკი-პაჩეკი | 6:2, 2:2 უარი |
| ზაკოპალოვა-საფაროვა | 4:6, 6:7 |
| ბალტაჩა-კრის. პლიშკოვა | 7:5, 7:6 |
| კვიტოვა-ნიკულესკუ | 6:4, 6:1 |
| კორნე-ნა ლი | 2:6, 4:6 |
| პუჩკოვა-მაკაროვა | 3:6, 0:6 |
| სტოსური-პეტროვა | 6:2, 6:3 |
| ბეიგელციმერი-რობსონი | 3:6, 2:6 |
| ა. რადვანსკა-ჰემპტონი | 6:7, 2:6 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ვინჩი-კანეპი | 6:3, 6:3 |
| ოპრანდი-ჰანტუხოვა | 5:0 უარი |
| სუარეს ნავარო-არვიდსონი | 6:3, 6:4 |
| ბეგუ-პირონკოვა | 6:7, 2:6 |
| ფლიპკენსი-სკიავონე | 3:6, 6:3, 6:0 |
| უ. რადვანსკა-რიბარიკოვა | 6:3, 6:0 |

TV პროგრამა

**19 ივნისი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**22:50** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია (LIVE).
**01:50** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-იაპონია. ბრაზილია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. მეტალისტი-ლევერკუზენი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰანოვერი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ფეიენოორდი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVIII ტური. რაფაელა-ნიუელსი.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
**01:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. VI მატჩი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლეკინსი-კონახტი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლეიკერსი 1986-87 წლები. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. VI მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**13:10** სპორტ-NEWS.
**13:40** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**15:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ინდიანა.
**17:45** სპორტ-NEWS.
**18:15** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**20:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-პორტლენდი.
**22:45** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**00:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 31 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 24 | (მზე) |
| ბათუმი | 19 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქობულეთი | 17 | 22 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 18 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 18 | 28 | (მზე) |
| თელავი | 18 | 28 | (მზე) |
| სიღნაღი | 17 | 30 | (მზე) |
| ბაკურიანი | 10 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 14 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 13 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2079 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6556 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6008 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2262 |

ჰოკეი

# დაციუკი: კიდევ სამი წელი დეტროიტში

„დეტროიტ რედ უინგზის" ერთ-ერთმა ლიდერმა, რუსმა ფორვარდმა **პაველ დაციუკმა** კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება სამწლიანია და ის 2014-15 წლების სეზონიდან შევა ძალაში.

ცნობილი გახდა, რომ ახალი კონტრაქტის პირველ წელს, რუსი ვარსკვლავი 10 მილიონ დოლარს მიიღებს, მეორე წელს - 7.5 მილიონს და მესამე წელს - 5.5 მილიონს.

შეგახსენებთ, რომ ზამთარში, ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 34 წლის ჰოკეისტი მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებოდა და კჰლ-ის ლიგაში დაასრულებდა კარიერას, თუმცა, თავად ჰოკეისტი „რედ უინგზში" დარჩენის სურვილს გამოთქვამდა.

დაციუკი „დეტროიტში" 2001 წლიდან თამაშობს და ამ გუნდთან ერთად ორჯერ მოიგო სტენლის თასი, სამჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" და სამჯერ გახდა დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდის პრიზის მფლობელი.


პაველ დაციუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მალე უიმბლდონი მოვა

**როლან გაროსის შემდეგ ვნებები ჯერ არ ჩამცხრალა და ჩოგბურთელებს კარს მოადგა „დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირი. 24 ივნისს, ლონდონის მშვიდ გარეუბანში საჩოგბურთო სიგიჟე იწყება - მას უიმბლდონი ჰქვია. ეს არის მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული, ძველი და მდიდარი ტურნირი.**

ბევრ ჩოგბურთელს არ უყვარს უიმბლდონი. რაც უნდა იყოს, ჩვენს დროში ბალახის კორტები ერთგვარ ანაქრონიზმს წარმოადგენს. მთელი სეზონის განმავლობაში, პროფესიონალი ჩოგბურთელები ბალახზე ზუსტად ოთხი კვირა თამაშობენ. აქ არ არის გრძელი გათამაშებები, რაც ასე უყვარს პუბლიკას. და ბალახიც, ტურნირის მეორე კვირის დასაწყისისთვის, თითქმის მთლიანად გადათელილია. ყველას ახსოვს ლეგენდარული **ივან ლენდლის** სიტყვები - ბალახი კარგია ძროხებისთ-



ვის, ჩოგბურთში კი, ბევრი სხვა საფარი არსებობსო. ყოფილმა ჩეხოსლოვაკიელმა ისე დაასრულა კარიერა, ერთხელაც ვერ მოიგო უიმბლდონი, თუმცა ორჯერ ფინალში გაღწევა შეძლო.

ეს ყველაფერი კარგად იციან All England Lawn Tennis & Croquet Club-ის მფლობელებმაც, რომლებიც ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებენ უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არც მათ აქვთ ყოველ წელიწადს ახალი გაზონის (ბალახს სპეციალურად ზრდიან იორკშირის ერთ-ერთ ფერმაში) დაგების დიდი სურვილი. მაგრამ ეს ხომ ინგლისია - აქ დიდი მონიწებით ეპყრობიან ყველაფერს, რაც ცოტათი მაინც უკავშირდება ისტორიას.

უიმბლდონს კი, ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი ტურნირი 1877 წელს გაიმართა. მაშინ პირველობა მხოლოდ მამაკაცებს შორის ერთეულთა თანრიგში გათამაშდა და ერთბაშად 500 მაყურებელს მოუყარა თავი. ყოველმა მათგანმა თითო შილინგი დახარჯა მატჩების სანახავად.

მაყურებლების რაოდენობას რაც შეეხება, უიმბლდონის არსებობის 131 წლიან ისტორიაში, ის დაახლოებით ათასჯერ გაიზარდა - ყოველწლიურად, ორი კვირის განმავლობაში, კორტებს ნახევარი მილიონი გულშემატკივარი სტუმრობს. აჟიოტაჟი მართლაც დიდია. ეს არის, ალბათ, „დიდი სლემის“ ერთადერთი ტურნირი, სადაც საჩოგბურთო კომპლექსის გარშემო კარვების ქალაქები იშლება. ტურნირის დღეებში, ლონდონის საშუალო დონის სასტუმროებში თავისუფალი ოთახების სერიოზული დეფიციტი შეინიშნება, ხოლო ძვირფას სასტუმროში გაჩერების საშუალება ბევრს არ აქვს.

გარდა ამისა, უიმბლდონი ერთ-ერთი იშვიათი ადგილია ბრიტანეთში, სადაც შეიძლება ბილეთებზე უგრძესი რიგები ნახოთ. რიგში კვლავ ის ადამიანები დგანან, რომლებიც სიმდიდრით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ძალიან სურთ ცენტრალურ ან პირველ კორტზე კარგი საჩოგბურთო მატჩის ნახვა. ყოველდღიურად, გასაყიდად გამოაქვთ არა უმეტეს 500 ბილეთისა (დანარჩენი ადრე იყიდება) და აქ ფასები უფრო დაბალია, ვიდრე ამას ავტორიზებული სააგენტოები გვთავაზობენ. სხვაობა დაახლოებით 30 პროცენტია: ტურნირის პირველ 10 დღეს ბილეთი 40 დოლარი ღირს, ბოლო ოთხ დღეს, ანუ გადამწყვეტ მატჩებზე - 130 დოლარი. ზედმეტი ბილეთისთვის ნადირობა - ეს საჩოგბურთო ექსტრემალების გზაა. ხელზე ბილეთის ყიდვა მაინც რისკთან არის დაკავშირებული - გამორიცხული არაა, რომ ყალბი ბილეთი შემოგაჩეჩონ.

უფრო მშვიდი და ბანალური გზაა - შეიძინოთ ტური უიმბლდონზე. თუმცა ეს ძვირი სიამოვნებაა. მაგალითად, ტურნირის პირველ კვირაზე დასწრება, ორ ადამიანს ჯამში 5560 დოლარი დაუჯდება. ამ თანხაში არ შედის თვითმფრინავის ხარჯები. მეორე კვირისთვის, ასეთი პაკეტი უკვე 7360 დოლარს უტოლდება (ასევე ორი ადამიანისთვის). ხოლო იმავე მეორე კვირას, უმაღლეს დონეზე მომსახურება 20 ათასი დოლარი ღირს (და კვლავ, თვითმფრინავის ხარჯების ჩაუთვლელად).

ასეთი დიდი თანხის გადახდის მიუხედავადაც, VIP მომსახურებას მაინც ვერ მიიღებთ. უიმბლდონი, არა როგორც ტურნირი, არამედ როგორც ორგანიზაცია, წინა პლანზე თავის წევრებს აყენებს. სულ კლუბში 375 მუდმივი და დაახლოებით ასამდე დროებითი წევრი არსებობს, რომლებსაც ყოველწლიურად გადაირჩევენ ხოლმე. ამ ელიტისთვის, აგრეთვე საერთაშორისო საჩოგბურთო ფედერაციების უმაღლესი რანგის ფუნქციონერებისთვის არსებობს სამეფო ლოჟა, რომელიც მხოლოდ 75 სტუმარს იტევს (სხვათა შორის, თავად დედოფალი სამჯერ სტუმრობდა უიმბლდონს - 1957, 1962 და 1977 წლებში) და ოდნავ მოკრძალებული - International Box.

მაგრამ ასეთი კარჩაკეტილობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არაარისტოკრატული წარმოშობის მდიდარ მოქალაქეებს არ შეუძლიათ საკუთარი თავისთვის სამეფო კომფორტის შექმნა.

ოფიციალურად, უიმბლდონზე VIP-ადგილები არ იყიდება. მათ ნაცვლად შესაძლებელია ობლიგაციების შეძენა. კლუბის მფლობელებმა პირველად ასეთი ნაბიჯი 1920 წელს გადადგეს. იმ მომენტისთვის ტურნირი უკვე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა და არენა ყველა მსურველს ვერ იტევდა. იმისთვის, რომ სტადიონი გაეფართოებინათ, საჭირო იყო უიმბლდონის პარკის მიმდებარე მიწების შეძენა - სულ 53 ჰექტარი, რაშიც 75 ათასი ფუნტი უნდა გადაეხადათ.

50 ფუნტად ღირებული ობლიგაციები სწრაფად გაიყიდა. უფრო მეტიც, ყველას არ ეყო და დამატებით დაბეჭდვა დასჭირდათ. ობლიგაციას რაღაც მოგებაც მოჰქონდა, მაგრამ მას ამისთვის არ ყიდულობდნენ. ამ „ფასიანი“ ქაღალდის მფლობელს გარანტირებული ჰქონდა ცენტრალურ ან პირველ კორტზე გასამართ ყოველ მატჩზე პირველი კლასის ბილეთის შეძენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ობლიგაციის მფლობელს შეეძლო პუბლიკისთვის დახურულ ადგილებზე შეღწევა. მოკლედ, ექსპერიმენტი იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ობლიგაციებს დღემდე ყიდიან. უკანასკნელად ასეთი აქცია 2006 წელს ჩატარდა. ხუთწლიანი ობლიგაციები 9 ათას ფუნტად გაიყიდა და საერთო შემოსავალმა 460 ათასი ფუნტი შეადგინა. ასეთი ქაღალდის მფლობელს, ძველებურად უნარჩუნდებათ ტურნირის დასწრებისას ყველაზე კომფორტული პირობები.

ობლიგაცია არა მხოლოდ კარგი ბილეთის შეძენის საშუალებას იძლევა. უფლება გაქვთ Renshaw Restaurant-ში ან ორ სპეციალურ ბარში ისადილოთ. ინტერიერის მხრივ, განსაკუთრებული არაფერია - საკმაოდ უბრალო, მაგრამ გემოვნებიან რესტორანში, ძირითადად იასამნისფერი და მწვანე ჭარბობს - უიმბლდონის ოფიციალური ფერები. სხვათა შორის, ფასები არც ისე მაღალია. ყველაზე ძვირფასი ღვინო დაახლოებით 28 ფუნტი ღირს, შამპანური უფრო ძვირია - 50 ფუნტი. კერძებს რაც შეეხება, მაგალითად შოტლანდიური ლობსტერი ანანასითა და მანგოთი 26 ფუნტი დაგიჯდებათ. ხოლო ცნობილი უიმბლდონური მარწყვი ნაღებით, რაც ორი კვირის განმავლობაში 150 ათასი პორცია იყიდება, სულ რაღაც 2 ფუნტი ღირს.

რა თქმა უნდა, სასურველი ობლიგაციები უკვე გაყიდულია, მაგრამ მეორად ბაზარზე მაინც შეიძლება მათი შოვნა. ლონდონში ბევრი ისეთი სააგენტო არსებობს, რომლებიც მათ ხელთ არსებულ „ფასიან“ ქაღალდებს არენდით იძლევიან. მაგალითად, მისამართზე www.tickets4tennis.com, 9 ათას ფუნტად შეგიძლიათ მოიწყოთ უიმბლდონზე დაუვიწყარი 4-დღიანი ტური (რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება გადამწყვეტი მატჩების დღეები).

ბუნებრივია, All England Lawn Tennis & Croquet Club-ში ყოფნა მხოლოდ ჩოგბურთის მატჩების ყურებით არ შემოიფარგლება. აქ მარტო სეირნობაც საინტერესოა. ბევრი რამის დათვალიერება შეიძლება - ძეგლების, მუზეუმის, სადაც უკვე რამდენიმე ათასი ექსპონატი ინახება. ტურები ყოველდღე ეწყობა. ღირებულება 15 ფუნტს შეადგენს. აქვეა ძალიან ლამაზი ბაღები, სადაც ყვავილებს ყოველ წელიწადს თავიდან რგავენ. ამ საკითხით უკვე 30 წელია, კომპანია Denny & Son არის დაკავებული, რომელიც ყოველწლიურად 57 ათას სხვადასხვა ყვავილს აწვდის კლუბს. ტურნირის დასრულების შემდეგ, მათი ძირითადი ნაწილი იყიდება, ასე რომ, ყველას შეუძლია შინ უიმბლდონის ცოცხალი ნაწილით ხელდამშვენებული დაბრუნდეს.

ჩოგბურთი



როჯერ ფედერერი

# ფედერერი მზად არის

შვეიცარიელი ლეგენდა **როჯერ ფედერერი** კმაყოფილია იმ სპორტული ფორმით, რომლითაც „დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირს - უიმბლდონს ხვდება.

როგორც იცით, ფედერერმა უკვე გამართა ერთი ტურნირი ბალახისსაფრიან კორტზე - გასულ კვირას მოიგო ტურნირი გერმანიის ქალაქ ჰალეში. ეს ტიტული 77-ე იყო როჯერის კარიერაში და ახლა, ის ამ მაჩვენებლით ყველა დროის სიაში მესამე ადგილს იყოფს ლეგენდარულ ამერიკელთან **ჯონ მაკინროისთან**.

*„გასული კვირით ძალიან კმაყოფილი ვარ და ვღელავ იმის გამო, თუ რა იქნება მომავალში. თავს დამაჯერებლად ვგრძნობ, ჯანმრთელი და დასვენებული ვარ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სეზონის ამ ნაწილში“*, - განაცხადა ფედერერმა.

როჯერს შეეძლო გაცილებით ადრე დასწეოდა ტიტულების რაოდენობით მაკინროის, მაგრამ ჰალეში მოპოვებული ტიტული პირველი იყო მისთვის მიმდინარე სეზონში.

*„იმედგაცრუებული არ ვარ განვლილი ექვსი თვის გამო. შესაძლოა, ჩემი გამოსვლების კალენდარი რომ შემეცვალა, მეტი ტურნირი მომეგო, მაგრამ ასეთ მიზანს არ ვისახავდი“*, - მოჰყავს ფედერერის სიტყვები ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

შესაძლოა, შვეიცარიელმა სწორედ წლევანდელი უიმბლდონის შემდეგ გაუსწროს მაკინროის. ყოველთვის, როცა ის ჰალეში იმარჯვებდა, შემდეგ ლონდონშიც ახერხებდა მოგებას. ასეთი რამ, ხუთიდან ხუთ შემთხვევაში მოხდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)**, **ერემო მახათაძე (1952-53)**, **ირაკლი უგულავა (1953-64)**, **ანზორ ბასილაია (1976-83)**, **არჩილ გოგელია (1984-85)**, **თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)**.
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:15. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**